საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№38 (414)
18 - 24 ოქტომბერი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



სააკაშვილი «სამას სპარტელს» 8 ეძებს პოროშენკოს დასამხობად

## «ოცნების ხუთწლედი»

«ადამიანები, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმი მოიშორეს, ხელისუფლებაში არ არიან. «ქართული ოცნების» ელიტა მზამზარეულზე მოვიდა. მაგალითად, კვირიკაშვილი სახლში იჯდა და უმუშევარი კაცი ჩვენ მოვიწვიეთ. არც სხვები მონაწილეობდნენ პროცესებში. რეჟიმის გასტუმრება, რომელიც ერთადერთ აქტივად ეთვლებათ, სხვა «ოცნების» გაკეთებულია» 8



## სალათას ძილის ეროვნული თავისებურებები 5



«ქართული ოცნების» პროპორციული თუ მაჟორიტარული სიების 60 პროცენტი «ნაციონალური მოძრაობის» წევრებით არის დაკომპლექტებული 2

«რა მნიშვნელობა აქვს, მათ «ნაციონალური მოძრაობის» წევრები ერქმევათ თუ «ქართული ოცნების»?! მწამებელი, ზონდერი და მკვლელი, რომელ პარტიაშიც უნდა იყოს, თავისას არ მოიშლის»

«ისინი ხელახლა მორწყავენ ქუჩებს სისხლით. აი ამას ვებრძვი, ეტლით დღეში 7-8 შეხვედრას ვმართავ და ვუხსნი ამომრჩეველს, ვისთან გვაქვს საქმე»

12 აშშ-ის «იმედგაცრუებული» ელჩი სირაქლემის პოზაში

ამოვიღოთ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან «სტუმარ-მასპინძელი», «შვლის ნუკრის ნაამბობი» და «ხმელი წიფელი» 12

13 «გამოაცხადონ საჯაროდ, რომ მრუშების, მეძავების, ლესბოსელებისა და ჰომოსექსუალების ხელისუფლებაა და ხალხი გააკეთებს არჩევანს»

«წესიერებამ არ უნდა გაგვაკეთებინოს ის, რისი უფლებაც შეიძლება კანონმა მოგვცეს» 14

11 შევარდნაძეები, სააკაშვილები, ივანიშვილები მიდიან და მოდიან — ქართული მიწა კი ქართველ ერს უნდა დარჩეს!

«იუსტიციის სამინისტრო საქართველოში ბინადრობის უფლებას 35 ათას დოლარად ყიდის» 7



10 ქართველი ერის სუიციდი დემოკრატიის სახელით

რა ეშველება მიწის იმ ფართობებს, რომლებიც უკვე გაყიდულია? ან იმ მიწებს, რომლებზეც უკვე დასახლდნენ უცხოელები? 6

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ეპოქაში დავბრუნდით თუ რა ხდება ჩვენს თავს?! ამისთვის შეიცვალა ის ხელისუფლება, რომელიც სისხლიანი რეჟიმის სახელითაა განთქმული?! რა აზრი ჰქონდა ბრძოლას, თუ ეს ადამიანები ხელისუფლებაში დაბრუნდებოდნენ?**

# როგორ მოვიდა ამდენი ნაციონალი ხელისუფლებაში, უფრო ზუსტად, «ქართულ ოცნებაში» და რატომ არის სავსე მუნიციპალიტეტები ნაციონალებით?

**„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილ საშინელ დანაშაულებს — ციხეებში პატიმრების არაადამიანურ, სასატიკ მოპყრობას, წამებასა და გაუპატიურებას, აგრეთვე, „ქართულ ოცნებასთან“ კოაბიტირებული ამ ანტიქართული ძალის მზაკვრობებსა და თვით ხელისუფლების უპასუხისმგებლო ქმედებებს ინტერვიუში ნათლად წარმოაჩენს რესპონდენტი, ამჟამად ზესტაფონის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი, ბატონი გიორგი გოგლიჩიძე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ეტლს მიაჯაჭვა.**

**— ბატონო გიორგი, როდის და როგორ დაიწყო თქვენი ცხოვრების მძიმე პერიოდი, რომელსაც თქვენი დაპატიმრება და წამება მოჰყვა?**

— 2011 წლის 9 ოქტომბერს დამიკავშირდა ჩემი მეგობარი და მითხრა, ივანიშვილის ხალხს უნდა შენთან შეხვედრაო. შეგახსენებთ: 7 ოქტომბერს ბიძინამ განაცხადა, რომ პოლიტიკაში შესვლასა და პარტიის ჩამოყალიბებას აპირებდა. დაახლოებით ერთ საათში მეორე მეგობარმაც დამირეკა იმავე საკითხზე. აქვე გეტყვით, რომ 2003-2006 წლებში ზესტაფონის რაიონის საკრებულოს წევრი ვიყავი ლეიბორისტული პარტიიდან. 2008 წელს საპარლამენტო არჩევნებში ვმონაწილეობდი და დაპირისპირებული ვიყავი „ნაციონალურ მოძრაობასთან“. მათ შეფასებული ჰქონდათ ჩემი შესაძლებლობებიც და რეიტინგიც. ნაციონალებმა, სავარაუდოდ, მოისმინეს ეს სატელეფონო საუბრები, სადაც ჩემი მეგობრები მთხოვდნენ, საჯაროდ დაგვეჭირა მხარი იმ გუნდისთვის, რომლის ჩამოყალიბებასაც ბიძინა ივანიშვილი გეგმავდა. 11 თუ 12ოქტომბერს, ზუსტად არ მახსოვს, მოდულის შენობაში დამიბარეს; განმიმარტეს, რომ, **დავით ჩხატარაშვილის** დავალებით, იმართებოდა ჩემთან შეხვედრა. **მითხრეს, ჩვენთან იმეგობრეო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათი აგენტი უნდა ვყოფილვიყავი. მაშინვე უარი განვაცხადე, რადგან ღირსებას მატერიალურ კეთილდღეობაზე ვერ გავცვლიდი.** ერთი დღე მაინც მომცეს მოსაფიქრებლად. 25 ოქტომბერს დამიკავშირდა იმხანად, მგონი, გამომძიებელი, ზუსტად არ მახსოვს, **ალეკო მგელაძე** და მითხრა, მივსულვიყავი პროკურატურაში. განვუცხადე, რომ მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტების მიღების შემთხვევაში მივიდოდი პროკურატურაში. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დამირეკეს პროკურატურიდან, არც გვარი მითხრა და არც სახელი. მანაც იგივე განმიცხადა, რომ დაბარებული ვიყავი. მასაც იგივე პასუხი გავეცი. მას შემდეგ აღარ შემხმიანებიან...

**— სად და რა ვითარებაში დაგაპატიმრეს?**

— პირად საქმეზე გავემგზავრე სომხეთში, გადავკვეთე საქართველოს საზღვარი, შემდეგ — სომხეთის და, სომხეთის საზღვრის გადაკვეთიდან დაახლოებით ნახევარ საათში დამეწია მანქანა, რომელში მსხდომებმაც მითხრეს, საბუთები არ გაქვს წესრიგში და სომხეთის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში უნდა დაბრუნდეო. რადგან საქართველოდან წავედი, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ უკან აღარ დავბრუნდებოდი. საზღვართან დამხვდა „შკოდა“ ქართული სანომრე ნიშნებით, დამადეს ბორკილი და გადმომიყვანეს საქართველოს საზღვარზე. **როგორც იურისტი, განვმარტავ, რომ მათ არ ჰქონდათ ჩემი დაკავების უფლება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ინტერპოლის მიერაც რომ ვყოფილვიყავი ძებნილი, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა დავეკავებინე.** სადახლოს პოლიციის მაშინდელმა უფროსმა, გვარად **ესაკიამ**, და მისმა თანმხლებმა პირმა, თუ არ ვცდები, ვინმე **შამილოვმა** პროკურატურაში მიმიყვანეს. პროკურატურაში ჩემი დაკავების ორდერი, რა გასაოცარიც უნდა იყოს, საგამოძიებოს უფროსის მოადგილე **ჯარჯი წიკლაურმა** გამოწერა. ბრალად წარმიდგინეს 210-ე მუხლი — საბუთების გაყალბება. გამეცინა და ვიკითხე: ეს რა არის-მეთქი და ბატონმა ჯარჯიმ მიპასუხა: ჩვენ ყველაფერი კარგად ვიცით და გაიხსენებ იმ წლებს, როდესაც კომპანია „ვისოლში“ მუშაობდიო.

**— რას გულისხმობდა?**

— „ვისოლში“ მუშაობდა ჩემი ნათესავი, ჩემი მოგვარე და სეხნია. ჩათვალეს, რომ ის მე ვიყავი და ასე დაიწყო საქმის შეკერვა. დაკავებიდან მეორე დღეს ისევ შემომთავაზეს თანამშრომლობა და მითხრეს, რომ, თანხმობის შემთხვევაში, ჩხატარაშვილი შეათანხმებდა **ადეიშვილთან** ჩემ გათავისუფლებას იმავე დღეს. განვაცხადე, რომ მათთან თანამშრომლობაზე არასდროს მოვაწერდი ხელს, ამაზე ალეკომ მიპასუხა, — ძალიან ინანებო.

**— ინანეთ?**

— არასდროს მინანია, რომ ღირსება არ დავკარგე! როგორიც ვარ, ასეთი ვარ და ასე გავზრდი ჩემს შვილებსაც. რომც მცოდნოდა ვინმეს დანაშაულის შესახებ, მაინც ძალიან მძიმე იქნებოდა, პირზე დადგომა... ჩემგან ითხოვდნენ ჩვენებას „ვისოლის“ დამფუძნებლებისა და ამ კომპანიის გაყიდვების მენეჯერის **გიორგი კირთაძის** წინააღმდეგ. უნდა „მეღიარებინა“, თითქოს მე კირთაძეზე ვახდენდი ზემოქმედებას და აღურიცხავ ტვირთს ვატვირთვინებდი ბენზინმზიდებში, შემდეგ კი სხვადასხვა ადგილებში ვასაღებდით. აქვე გეტყვით, რომ არც ძმებ **ფხაკაძეებს** ვიცნობ, არც **გიორგი კირთაძეს** და ერთი დღეც კი არ მიმუშავია „ვისოლში“. მას შემდეგ, რაც ჩემი ადვოკატის, **ნათია კორკოტაძის**, დაუღალავი შრომის შედეგად შეიტყვეს, რომ კომპანია „ვისოლში“ ერთი დღეც არ მიმუშავია, საქმეში ახალი კომპანია გამოჩნდა.

**— კონკრეტულად?**

— სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისი“, რომლის მფლობელიც არის ორი მოწვევის პარლამენტის წევრი **დემურ გადელია**. მას ვიცნობდი, მაგრამ არც ამ კომპანიაში მიმუშავია. **„არქეოპოლისის“ ერთ-ერთ თანამშრომელს ათქმევინეს, რომ თითქოს ის იყო დირექტორი და მთხოვა, ორგანიზაციისთვის მოგების გაზრდის მიზნით დოკუმენტაცია გამეყალბებინა. მოკლედ, ამ პიროვნებას ეს ჩვენება დააწერინეს ნოტარიუსთან ისე, რომ სასამართლოშიც არ გამოცხადებულა.** საქმის მასალების მიხედვით, მე ვიყავი სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ მომარაგების უფროსი და ვასრულებდი დირექტორის დავალებას.

**— არც ამ კომპანიაში გიმუშავიათ არასდროს?**

— რა თქმა უნდა, არა! სააპელაციო სასამართლოში იმ ბატონმა — **ვახო ნოდიამ** — მოყვა, როგორ ავარჯიშებდნენ მაშინდელი პროკურორები კითხვა-პასუხში და სცენარის მიხედვით როდის რა ეთქვა. ამ საქმეში ჩარეული იყვნენ ძმები **დემურ** და **აპოლონ გადელიები**, რომლებმაც ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე ხელი, როგორც ჩანს, იმიტომ მოაწერეს, რომ მათ ფინანსურ კეთილდღეობას რამე ზიანი არ მისდგომოდა. ჩემი დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში პრეზიდენტმა **სააკაშვილმა** მადლობა გადაუხადა თემურ გადელიას, ორდენი კი გადასცა ინფრასტრუქტურის იმჟამინდელმა მინისტრმა **რამაზ ნიკოლეიშვილმა. თუ კომპანია გადასახადებს მალავდა და სახელმწიფო ბიუჯეტს აზარალებდა და მე, მართალია, ფიქტიური, მაგრამ რიგითი თანამშრომელი, სასჯელს ვიხდიდი, რატომ დააჯილდოვეს მისი დამფუძნებელი?!**



## «ქართული ოცნების» პროპორციული თუ მაჟორიტარული სიების 60 პროცენტი «ნაციონალური მოძრაობის» წევრებით არის დაკომპლექტებული

**— დაკავების შემდეგ გლდანის ციხეში ჩაგსვეს?**

— მერვე საპყრობილეში — გლდანის ციხეში, მცემდნენ და მაწამებდნენ. 2012 წლის 1 ოქტომბერს მეორედ დავიბადე, ფაქტობრივად, მიცვალებული გავცოცხლდი, რასაც ნამდვილად ვერ დავუკარგავ, უწინარესად, ბატონ **ბიძინა ივანიშვილს** და მასთან ერთად ყველა იმ ადამიანს, რომლებიც რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. წელიწადი და 10 დღე ვიყავი იმ ჯოჯოხეთში. უკანონო პატიმრობა ისე გავატარე, რომ ჩემთვის ჩვენება არ ჩამოურთმევიათ. ჩემი ჩვენების ოქმი არ არსებობს, ჩემი ხელმოწერა არ არსებობს. როცა მიხვდნენ, რომ ჩემთან ცემით არაფერი გამოვიდოდა, ციხის საავადმყოფოში გადამიყვანეს.

**— ციხის საავადმყოფოში რატომ გადაგიყვანეს?**

— წლებია, ჰიპერტონიკი ვარ, მაგრამ გამიკვირდა წნევის გამო ციხის საავადმყოფოში ჩემი გადაყვანა, რადგან მძიმე ავადმყოფებიც კი არ გადაჰყავდათ ე.წ. რესბალნიცაზე. მითხრეს, რადგან ასეთი მაღალ წნევა გაქვს, რამე სავალალო შედეგი არ დადგესო.

**— თქვით, მიხვდნენ, ცემით ვერაფერს გახდებოდნენო... ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც თქვენზე ფიზიკურად ძალადობდნენ?**

— უსაფრთხოების სამსახურის უფროსი **ვიქტორ ყაჭეიშვილი**, მას ბრალი სხვა საქმეებზე ჰქონდა წაყენებული, შემდეგ ითანამშრომლა გამოძიებასთან და ახლა თავისუფალია; აგრეთვე, სამართლებრივი რეჟიმის იმჟამინდელი უფროსი **ოლეგ ფაცაცია.** როგორც ჩანს, **ყაჭეიშვილს ჰქონდა დავალებული ჩემი ცემა და ის და მისი ოფიცრები, ყოველდღე თუ არა, ყოველ მეორე დღეს მაინც მცემდნენ. ცემით რომ ვერ მიაღწიეს მიზანს, გადავიდნენ ე.წ. მკურნალობაზე — გამოიყენეს რაღაც ვაქცინა, რომელმაც გამოიწვია ჩემი პარალიზება, მეტყველების უნარის დაკარგვა. იმ პერიოდიდან ბევრი რამ არც მახსოვს, აი ეს იყო მათი მკურნალობა...**

**— რით ახსნეს ის, რაც დაგმართეს? რა უთხრეს თქვენს ოჯახს, როდესაც სასამართლო პროცესზე ეტლით მიგიყვანეს?**

— ოჯახის წევრებს განუმარტეს, ყველაფერი ნერვიულობის შედეგიაო.

**— მას შემდეგაც გცემდნენ, რაც ციხის საავადმყოფოში გადაგიყვანეს?**

— ციხის საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ აღარ მცემდნენ. მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ: რადგან დამოუკიდებლად გადაადგილება მიჭირდა, მეხმარებოდნენ ხოლმე. ერთხელაც გადაადგილებაში დამეხმარა პიროვნება, რომელსაც არც მაშინ ვიცნობდი, არც მანამდე და არც მას შემდეგ შევხვედრივარ. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ის იყო **თამაზ თამაზაშვილი.** ციხის საავადმყოფოდან ერთად მოგვიწია სასამართლოში წაყვანა და, როგორც გითხარით, რადგან დამოუკიდებლად გადაადგილება მიჭირდა, დამეხმარა. არ ვიცოდი, რომ ეს პიროვნება თამაზ თამაზაშვილი იყო, რომც მცოდნოდა, მისი გვარ-სახელი მაშინ არაფერს მეუბნებოდა. როდესაც სასამართლოდან ისევ ციხის საავადმყოფოში მიმიყვანეს, ოლეგ ფაცაციამ და, მგონი, ყაჭეიშვილმაც, კინაღამ ცემით მომკლეს, — რა საქმე გქონდა თამაზ თამაზაშვილთანო... ამ ერთი შემთხვევის გარდა, ციხის საავადმყოფოში არ ვუცემივარ, ადმინისტრაციულ შენობაში კი ცემა და წამება ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო.

**— ბატონო გიორგი, თქვენც გამოიარეთ ე.წ. წითელი პარასკევი?**

— რა თქმა უნდა! საკუთარ თავზე ვიწვნიე თითქმის ყველა ის სისასტიკე, რომელსაც ის რეჟიმი პატიმრების წინააღმდეგ იყენებდა,

## «ამ ადამიანებმა 2012 წელს კრახი განიცადეს, ახლა ხდება მათი რეაბილიტაცია და ისინი ხელახლა მორწყავენ ქუჩებს სისხლით. აი ამას ვებრძვი, ეტლით დღეში 7-8 შეხვედრას ვმართავ და ვუხსნი ამომრჩეველს, ვისთან გვაქვს საქმე»

**ამ ყველაფერს ქირურგიული ჩარევა სჭირდება, თერაპიული მკურნალობა ველარ უშველის, ფაქტობრივად, ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობაში ვექცევით, იმ ზონდერებისა და მწამებლების მმართველობის ქვეშ, რომლებიც წლების განმახვლობაში აუპატიურებდნენ და ნამუსს ხდიდნენ საქართველოს!**

ინტერვიუ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «რა მნიშვნელობა აქვს, მათ «ნაციონალური მოძრაობის» წევრები ერქმევათ თუ «ქართული ოცნების»?! მწამებელი, ზონდერი და მკვლელი, რომელ პარტიაშიც უნდა იყოს, თავისას არ მოიშლის»

ამასთანავე, ყოველდღე ვუყურებდი, ადამიანების წამებას. როდესაც „ჰეროკრატია“ გავიდა ეთერში, მეგობრები მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ, მართლა ხდებოდა თუ არა ციხეებში მსგავსი სისასტიკე, რაც ფილმში იყო ნაჩვენები. მე ვერ შევძელი ამ ფილმის ყურება, მაგრამ გადმოცემით რაც ვიცი ფილმის შესახებ, გეტყვით, რომ გაცილებით უარესი ვითარება იყო ციხეებში.

**— როგორი იყო ეს გაცილებით უარესი ვითარება?**

— **ადამიანს ცემით რომ ამოხდი სულს და მერე ჩამოკიდებ, თითქოს თავი ჩამოიხრჩო, ან მამაკაცი ნამუსს რომ აყრის მამაკაცს, უფრო მძიმე რა შეიძლება იყოს?! ხორცკომბინატში პირუტყვს რომ კლავდნენ ხოლმე, იქ მსმენია ისეთი ხმები, როგორიც ციხეში პატიმრების არაადამიანური წამებისას მესმოდა.** იყო წამების ასეთი მეთოდიც: პატიმარს მიაბამდნენ მიცვალებულზე და რამდენიმე დღეს ასე ტოვებდნენ. ამ **არაადამიანურ მოპყრობას, სისასტიკეს, ძალადობას კამერით იღებდნენ და შემდეგ იყენებდნენ ოჯახის წევრების, მეგობრებისა და თვით პატიმრების დასაშანტაჟებლად.** 300 ათასზე მეტი პრობაციონერი ჰყავდა ქვეყანას და უამრავ ადამიანს პირობითი სასჯელი ჰქონდა შეფარდებული. რისთვის სჭირდებოდათ ეს ყველაფერი? — საარჩევნო ხმების მოსაგროვებლად. დაუძახებდნენ მათ არჩევნების წინ და ავალებდნენ, რამდენი ხმა უნდა მოეტანათ. ჩემი ორი თანამესაკნე ოქტომბრის არჩევნების წინ გაიყვანეს და უთხრეს, რომ, თუ 500 ხმას მიუტანდნენ არჩევნებში, სასჯელს შეუმსუბუქებდნენ.

**— საუბრის დასაწყისში ჯარჯი წიკლაური ახსენეთ, რომელიც სხვა საქმეებშიც ფიგურირებდა და რომელიც დღესაც მოქმედი მაღალჩინოსანია... შეკერილი საქმეების გამო თითქმის არავინ დასჯილა, გაქვთ იმის განცდა, რომ თქვენთვის სამართლიანობა არ აღდგა?**

— მე ორი სარჩელი შევიტანე პროკურატურაში 2013 წელს. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინათ დამიბარეს. დაახლოებით 5 საათს გაგრძელდა ჩემი დაკითხვა, ძალიან კარგად დამხვდნენ, მოწესრიგებული იყო ყველაფერი, მითხრეს, რომ მიმდინარეობდა საქმეების გადახედვა და ძალიან მალე აღდგებოდა სამართლიანობა. ჯერ კიდევ არ მინდა გვარის დასახელება იმ პროკურორისა, რომელმაც დამირეკა და მითხრა, რომ დამიბარებდა კიდევ ორ კვირაში და მეტყოდა, რა ხდებოდა ჩემს საქმეზე. გარკვეული პერიოდი მშვიდად ველოდებოდი პასუხს. **ერთხელაც ამ პროკურორის „ფეისბუქგვერდი“ დავათვალიერე და ვნახე, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ის „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა საზოგადოებას. ისეთი გათავხედებულები არიან, რომ ეს მოწოდებაც კი არ წაშალა სოციალური ქსელიდან.**

**— თქვენ ამჟამინდელ ადგილობრივ არჩევნებში ზესტაფონის მერის პოსტზე იყრით კენჭს, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი. რატომ ხართ დამოუკიდებელი კანდიდატი?**

— არ დაგიმალავთ, რომ იყო ინიციატივა, კენჭი მეყარა ზესტაფონის მერის პოზიციაზე. შემდეგ მეგობრებს ვუთხარი, რომ ეტლს ვარ მიჯაჭვული და არ იქნებოდა კომფორტული ჩემი პოლიტიკური აქტივობა. ვფიქრობდი, უანგაროდ დამეჭირა მხარი „ქართული ოცნების“ კანდიდატისთვის და ამით ვალი მომეხადა იმ გუნდის წინაშე, რომელმაც სიცოცხლე მაჩუქა. შემდეგ მოხდა პარადოქსული რამ: მერობის კანდიდატად წარადგინეს **კახა მახათაძე**, რომლის ძმაც თავის დროზე ნაციონალი **გეწაძის** საარჩევნო შტაბის უფროსი და ზონდერი იყო. **ღმერთმა არ ქნას, არჩევნები გააყალბონ და კახა მახათაძე მოგვევლინოს ზესტაფონის მერად! ის არის ადამიანი, რომლის ძმასაც სხვების წამებისა და შეურაცხყოფის მეტი არაფერი უკეთებია; ადამიანი, რომელიც დაკავებულია მომხვეჭელობით, რომელიც ისე ამოსვრის შენს სახელს ლაფში, წამით არ დაფიქრდება, რამხელა მორალურ ზიანს გაყენებს.**

**— რატომ შეარჩია „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი პიროვნება?**

— ყველა ადამიანი, რომლებმაც რეკომენდაცია გაუწიეს კახა მახათაძეს, არის მოღალატე! რა აქვს საერთო კახა მახათაძესა და მის ძმას, ნაციონალების ზონდერ **ალეკო მახათაძეს** „ქართულ ოცნებასთან“?! ასეთი ადამიანები წარმოადგენენ დღეს „ქართულ ოცნებას“. საკოლმეურნეო ბაზარში შეხვედრაზე ხალხს ეგონა, მე ვიყავი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი და, როდესაც შეიტყვეს, რომ კახა მახათაძეა „ქართული ოცნების“ კადიდატი, საშინელი აგრესია წამოვიდა.

**— არჩევნების წინ როგორია საზოგადოების განწყობა?**

— არჩევნები ხვალ რომ ტარდებოდეს, მერწმუნეთ, პირველივე ტურში გავიმარჯვებდი, მაგრამ, რასაც 2007-2008 წლებში აკეთებდნენ, იმავე მეთოდებს მიმართავენ დღესაც — დაშინებას, მოსყიდვას, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. ამ ადამიანებს მენტალიტეტი არ შეუცვლიათ და ძველებურად მოქმედებენ. ამ ყველაფრის სულის ჩამდგმელი და შემოქმედი კი იყო მერობის ამჟამინდელი კანდიდატის ძმა **ალეკო მახათაძე**. დღეს ზესტაფონში მუნიციპალიტეტი, ფაქტობრივად, არ მუშაობს, მუშაობს მათი შტაბი, საიდანაც გაიცემა ბრძანებები. სამსახურების უფროსებს ჩამორთმეული აქვთ უფლება-მოვალეობები, ისინი შტაბიდან გასცემენ ბრძანებებს და ამ ბრძანებების მიხედვით მოქმედებს მუნიციპალიტეტი. **„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ეპოქაში დავბრუნდით თუ რა ხდება ჩვენს თავს?! ამისთვის შეიცვალა ის ხელისუფლება, რომელიც სისხლიანი რეჟიმის სახელითაა განთქმული?! რა აზრი ჰქონდა ბრძოლას, თუ ეს ადამიანები ხელისუფლებაში დაბრუნდებოდნენ?** ამიტომ საზოგადოებამ უნდა ამოიღოს ხმა. როგორც 2012 წელს გაერთიანდა, ასევე უნდა გაერთიანდეს დღესაც. **ვერ გადმოგცემთ, როგორ უხარიათ ზესტაფონელებს, არჩევნებში რომ ვმონაწილეობ და ვიბრძვი, ჩვენი რაიონი პორტირებულ ნაციონალებს არ ჩავუგდოთ ხელში.**

**— ფიქრობთ, რომ არჩევნები შეიძლება გაყალბდეს?**

— პარტია „ქართული ოცნება“ ზესტაფონში, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ძალიან ბევრმა დატოვა საარჩევნო შტაბი. პრემიერმინისტრმა შესაბამის ორგანოებთან უნდა დასვას საკითხი, **რა ხდება, როგორ მოვიდა ამდენი ნაციონალი ხელისუფლებაში, უფრო ზუსტად, „ქართულ ოცნებაში“ და რატომ არის სავსე მუნიციპალიტეტები ნაციონალებით?** როგორ შეიძლება ადამიანი, რომელიც იყო მწამებელი და ზონდერი, დღეს „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდეს, შტაბს განაგებდეს?! სხვათა შორის **თეა წულუკიანს** ზესტაფონში იუსტიციის სახლის გახსნისას გადავეცი ჩვენი რეგიონის „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული ნაცების სრული სია. **„ქართული ოცნების“ პროპორციული თუ მაჟორიტარული სიების 60 პროცენტი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებით არის დაკომპლექტებული.**

**— რა გითხრათ თეა წულუკიანმა, როდესაც სია გადაეცით და უთხრით, რომ მისი გუნდის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატების 60 პროცენტი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი იყო?**

— შეშფოთდა. მან არ იცოდა ამის შესახებ, რადგან, როგორც თვითონ განაცხადა, პარტიის საშინაო საქმეებში არ ერევა, მაგრამ თქვა, რომ დასვამდა საკითხს პრემიერმინისტრთან.

**— დავუშვათ, ეს არ იცის თეა წულუკიანმა, მაგრამ შეიძლება, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა არ იცოდნენ, ვის უჭერენ მხარს?**

— ყველა, ვინც ეს ჩაიდინა, მოღალატეა. ძალიან მძიმე შედეგებს მივიღებთ, თუ ამ ადამიანების რეაბილიტაცია მოხდება. **რა მნიშვნელობა აქვს, მათ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ერქმევათ თუ „ქართული ოცნების“?! მწამებელი, ზონდერი და მკვლელი რომელ პარტიაშიც უნდა იყოს, თავისას არ მოიშლის.** ამას მას შემდეგ ვებრძვი, რაც მერობის კანდიდატად კახა მახათაძე დასახელდა, მაქვს ძალიან ბევრი დოკუმენტი, რომლებშიც მასზე, მის ძმაზე, მისი გუნდის წევრებზეა მასალები. **ამ ადამიანებმა 2012 წელს კრახი განიცადეს, ახლა ხდება მათი რეაბილიტაცია და ისინი ხელახლა მორწყავენ ქუჩებს სისხლით.** აი ამას ვებრძვი, ეტლით დღეში 7-8 შეხვედრას ვმართავ და ვუხსნი ამომრჩეველს, ვისთან გვაქვს საქმე.

**— როგორ ხვდება ამ ყველაფერს ამომრჩეველი?**

— ხალხს ბაზარში შევხვდი. ჩემ შემდეგ მათთან მისულა ის ვაჟბატონი და გაუგდიათ. აქ ხალხი ფულზე არ იყიდება, ამიტომ მიმართავენ ჩვეულ ტერორს — გამოითხოვეს საბუთები, რომელი სოფლიდან ვინ მუშაობს ფეროშენადნობთა ქარხანაში და თანამშრომლებზე დაიწყეს ზემოქმედება. **ველარ გამიგია, ზესტაფონში 2007 წელია თუ 2017?** როდესაც შარშან არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ ვუჭერდი მხარს, ეს ადამიანები, მივრცელებდნენ ხმას, — ბიძინა ივანიშვილმა მილიონი გადაუხადაო. არადა, ბატონ ბიძინას საერთოდ არ ვიცნობ... ის ადამიანები, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დამარცხებაში წვლილი მიუძღვით, გარიყულები არიან, სამაგიეროდ, ნაციონალები მართავენ სიტუაციას. ნორმალურ ქვეყანაში ეს ადამიანები ციხეში უნდა ისხდნენ.

**— თუ თქვენ მიმართ სამართლიანობა არ აღდგა, რას აპირებთ? როგორც ვიცი, ამ საქმეების გასაჩივრების ვადა სტრასბურგის სასამართლოში უკვე დაგვიანებულია...**

— დიახ, ვადა ამოწურულია. როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, სტრასბურგში სარჩელი არ გავგზავნე, რადგან, მოგეხსენებათ, როდესაც სტრასბურგში შედის სარჩელი და გამამტყუნებელი განაჩენი დგება, მოპასუხე მხარე საქართველოა და იმ გუნდის წინააღმდეგ ვერ გავილაშქრებდი, რომელმაც სიცოცხლე მაჩუქა. ალბათ, დავაშავე, სარჩელი რომ არ შევიტანე, რადგან **საქართველოში სამართლიანობის აღდგენამ ძალიან დაიგვიანა.**

**— რას ეტყვის გიორგი გოგლიჩიძე საქართველოს ხელისუფლებას?**

— რადგან მგონია, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას, არ ვიცი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, დამნაშავე ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუძლია, მივმართავ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც პოლიტიკიდან წასვლისას განაცხადა, რომ დაბრუნდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა სწორად ვერ განვითარდებოდა: დღეს ძალიან ცუდ დღეშია საქართველო და მინდა, ვთხოვო ბიძინა ივანიშვილს ქვეყანა გადაარჩინოს. როგორც 2012 წელს იყო საქართველო უფსკრულში გადაჩეხვისგან გადასარჩენი, ისეა დღესაც. უარეს დღეში აღმოვჩნდებით, თუ ბიძინა ივანიშვილი არ ჩაერევა ვითარების გამოსასწორებლად. ამ ყველაფერს ქირურგიული ჩარევა სჭირდება, თერაპიული მკურნალობა ველარ უშველის, ფაქტობრივად, ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობაში ვექცევით, იმ ზონდერებისა და მწამებლების მმართველობის ქვეშ, რომლებიც წლების განმახვლობაში აუპატიურებდნენ და ნამუსს ხდიდნენ საქართველოს!

**ესაუბრა**
**ნიკა გელაშვილი**



## Euronews: სირია აშშ-ის მეთაურობით შექმნილი კოალიციის დაშლას მოითხოვს

**დამასკო მოითხოვს სირიაში მოქმედი კოალიციის დაშლას, რომელსაც სათავეში აშშ უდგას, რადგან იგი ებრძვის და ანადგურებს ყველაფერს, გარდა ტერორისტებისა, — განაცხადა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალიდ მუალემმა მოსკოვში გამართული მოლაპარაკებისას. ამასთანავე, მან შეშფოთება გამოთქვა აშშ-ის მიერ ქურთი მოხალისეების მხარდაჭერის გამო.**

ვალიდ მუალემის თქმით, ამერიკის დახმარებამ ამჟამად კი გააბრუა ქურთები, მაგრამ მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ეს დახმარება მუდმივი არ იქნება. სირიელი ქურთები დამასკოს ნავთობით მდიდარ რაიონებზე კონტროლის დაწესებაში ექიშპებიან. რუსეთის ავიაცია განაგრძობს სირიის ჯარების დეირ-ეზ-ზორის რაიონში განხორციელებული ოპერაციების მხარდაჭერას.

ამ ფონზე ორივე მხარის ურთიერთობა ვაშინგტონთან უაღრესად მწვავდება: ახლახან რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აშშ-ს ბრალი დასდო, რომ მან ჩაშალა სამშვიდობო პროცესი დეესკალაციის ერთ-ერთ ზონაში. მოსკოვის მონაცემებით, ამერიკელების კონტროლს დაქვემდებარებული რაიონებიდან „ბოევიკების“ რამდენიმე ასეული დაუბრკოლებლად გავიდა და ტერორისტებმა შეძლეს, ხელთ ეგდოთ ორი ავტოკოლონა ჰუმანიტარული ტვირთით.

## The National Interest: ყველაზე მძლავრი რუსული იარაღი

ანალიტიკოსმა **ნიკოლას მაიერმა** ჩამოთვალა ყველაზე მძლავრი და თანამედროვე შეიარაღების სახეობები, რომლებითაც აღჭურვილია რუსეთის არმია. მას მიაჩნია, რომ აშშ-ისა და მისი მოკავშირე ქვეყნებისთვის პოტენციურად ყველაზე უფრო საშიშია დიდი და საშუალო სიშორის საზენიტო რაკეტების სისტემა „ტრიუმფი“ (C-400), ასევე ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი „ისკანდერ-7“ და სანაპირო სარაკეტო კომპლექსი „ბალი“.

მეიერმა მათთან ერთად დაასახელა ფრთიანი რაკეტები „კალიბრი“ და რადიოელექტრონული დაზვერვის უახლესი სისტემები, აგრეთვე, კომპლექსი „სტრელეცი“ და უპილოტო საფრენი აპარატები.

ამ იარაღის გამოცდა („კალიბრის“ გამოკლებით) გაიმართა 14-20 სექტემბერს რუსეთ-ბელარუსის ერთობლივი სწავლებისას, სახელწოდებით „დასავლეთი-2017“. 14 სექტემბერს წყალქვეშა ნავებმა: „ველიკი ნოვგოროდმა“ და „კოლპინომ“, ხმელთაშუა ზღვიდან ფრთიანი რაკეტებით დაბომბეს სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ ობიექტები.

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**არ შეიძლება ადამიანი, რომელსაც 25 წელიწადი ფეხების ქნევის მეტი არაფერი უკეთებია, ადგე და პირდაპირ ენერგეტიკის მინისტრად დანიშნო, შემდეგ კი მისი კანდიდატურა დედაქალაქის მერად წამოაყენო.**

# «თუ 21 ახალი ჰესი აშენდა, დენი რატომ გაძვირდა?»

**წინასწარ გისამძიმრებთ, ჩემო თბილისქალაქელებო: 21 ოქტომბერს საქართველოსა და, კერძოდ, თბილისის ისტორიაში კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩაიწერება. ჩვენი დედაქალაქის მერი გახდება ადამიანი, რომელსაც, 25 წელიწადია, ფეხების ქნევის მეტი არაფერი უკეთებია. კი, ბატონო, საოცრად წარმატებული იყო ეს ფეხების ქნევა, მაგრამ, წესით, ნორმალურ და თავმოყვარე საზოგადოებაში ფეხების თუნდაც მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ქნევა არ უნდა იყოს არც ენერგეტიკის მინისტრობისა და არც დედაქალაქის მერობის წინაპირობა.**



ამთავითვე ვაცხადებ, რომ არ ვეთანხმები და არ ვიზიარებ მათ აზრს, ვინც კახა კალაძის „ორ ავტოგოლზე“ ლაპარაკობს გამუდმებით. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ წავიკითხე და მოვისმინე მისი მომხრეების აზრები, იმის შესახებ, თითქოს კალაძის წინააღმდეგ ოპონენტების ერთადერთი არგუმენტი მხოლოდ ორი ავტოგოლია. მესმის, რომ ძალიან სურთ ამის დახატვა, თითქოს მათი კერპის, როგორც ენერგეტიკის მინისტრობის, ასევე დედაქალაქის მერობის საწინააღმდეგოდ, არგუმენტი არ არსებობდეს.

სამწუხაროდ, ეს ასე არ არის და კალაძის მეხოტბეებს, თუკი ინებებენ, წინამდებარე საგაზეთო სტატიაში, არაერთი არგუმენტის წაკითხვა მოუწევთ სათაყვანაბელი „პოლიტიკური ლიდერის“ წინააღმდეგ. რაც შეეხება ორ ავტოგოლს, პირდაპირ ვამბობ: უდიდესი ქართველი ფეხბურთელის — კახა კალაძისთვის საკუთარ კარში გატანილი ბურთების წამოძახება, უბრალოდ, ღორობა და უმადურობაა! ჯერ ერთი, კალაძეს რომ არ ჰქონოდა მცდელობა, მეტოქის მიერ დარტყმული ბურთები საკუთარი კარისთვის აერიდებინა და, ასე ვთქვათ, ფეხებზე დაეკიდებინა მოვალეობა, მაშინ ის ორი ავტოგოლიც აღარ იქნებოდა მის ანგარიშზე. ეს განაპირობა კალაძის დიდმა პასუხისმგებლობამ და ის, ფაქტობრივად, უიმედო მდგომარეობაში მაინც შეეცადა საკუთარი კარის გადარჩენას. ეს კი დასაფასებელია და არა საქილიკო. რაც მთავარია, უხერხულია, ელაპარაკო საკუთარ კარში გატანილ ორ ბურთზე ადამიანს, რომლის დამსახურებაც არის ამავე კარში მოწინააღმდეგის მიერ ვერგატანილი, ალბათ, ორასი ბურთი!

და, საზოგადოდ, სრული სიბეცე და შტერობაა მცდელობა, რომ ადამიანის მოღვაწეობა ამა თუ იმ თანამდებობაზე, მისი სპორტული ან სახელოვნებო მოღვაწეობის მიხედვით შევაფასოთ, გინდაც დადებითად და გინდაც უარყოფითად.

ჩვენში დღეს მართლაც არის მსგავსი ტენდენცია, რომ ადამიანს, პასუხსაგებ თანამდებობაზე როცა ნიშნავენ, ზოგი იწუნებს იმიტომ, რომ (დავუშვათ) იგი ცუდი პოეტია, ხოლო დანარჩენები პირიქით — მის თანამდებობაზე დანიშვნას იმით ამართლებენ, რომ კარგი პოეტია.

ასევეა კალაძის შემთხვევაშიც: **ადამიანების ნაწილი მას თანამდებობისთვის შეუფერებლად მიიჩნევს, იმიტომ, რომ „საკუთარ კარში გოლები გაიტანა“, ხოლო სხვა ადამიანები კალაძის თანამდებობაზე ყოფნას მხარს უჭერენ იმ არგუმენტით, რომ იგი „ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ფეხბურთელია“.**

კიდევ ვიმეორებ: ეს ორივე „არგუმენტი“ სრული ტუტუცობაა და **ადამიანის თანამდებობაზე დანიშვნა-არდანიშვნასთან საერთო არ შეიძლება ჰქონდეს იმას, იგი წარსულში კარგი ფეხბურთელი ან პოეტი იყო თუ ცუდი!**

ამაზე ამდენიც რომ ვისაუბრეთ და ამდენის ახსნა დაგვჭირდა, მიუთითებს რომ ჩვენი საზოგადოება (ყოველ შემთხვევაში, დიდი ნაწილი) ავად არის. პირდაპირ ვთქვათ: ეს არის ჯერაც ჩამოუყალიბებელი საზოგადოება, რომელსაც აქსიომების ახსნაც კი სჭირდება.

ამჯერად კალაძესთან დაკავშირებულ ელემენტარულ აქსიომებს მივყვეთ. აქსიომაა ის, რითაც ეს წერილი დავიწყეთ: **არ შეიძლება ადამიანი, რომელსაც 25 წელიწადი ფეხების ქნევის მეტი არაფერი უკეთებია, ადგე და პირდაპირ ენერგეტიკის მინისტრად დანიშნო, შემდეგ კი მისი კანდიდატურა დედაქალაქის მერად წამოაყენო.**

მთელი თვეა, გულისყურით ვკითხულობ კალაძის მომხრეთა „არგუმენტებს“. მინდოდა, მეპოვა ერთ მარცვალი მაინც, რომლითაც კახა კალაძის გინდ ენერგეტიკის მინისტრად და გინდ თბილისის მერად დანიშვნა (დიახ, დანიშვნა და არა არჩევა) იქნებოდა გამართლებული.

**ყველაზე „წონიანი არგუმენტი, რომელიც წავიკითხე, არის ის, რომ „კახა ძალიან შრომისმოყვარეა, გარდა ამისა, კარგი ადამიანია, მეგობრების გატანა შეუძლია და აფასებს თანამშრომლებს“.**

საოცარი არგუმენტაციის პიკია ის, რომ „კახა ძალიან ბეჯითია, ყველა საქმეს ძალიან იოლად ითვისებს და ნებისმიერ თანამდებობაზე, ნებისმიერ სფეროში, სადაც უნდა დანიშნონ, იგი აუცილებლად მიაღწევს წარმატებას, ამიტომ გამართლებულია კახა კალაძის დანიშვნა ყველგან!“

**რა ხდება, რა გაუჭირდა ამ ქვეყანას ისეთი, რომ ადამიანებმა ჯერ შეისწავლონ სფერო, აითვისონ დარგი და მხოლოდ ამის შემდეგ დაინიშნონ მაღალ თანამდებობებზე, მით უმეტეს — მინისტრებად?! მინისტრის სავარძლიდან სფეროსა და დარგის ათვისება რაღაც ახალი სპორტია და ქართველების მსოფლიო «ნოუ-ჰაუა» თუ რა?**

აქ კითხვა, რომელიც შეიძლება დაისვას, არის ერთადერთი: **ნეტავ, ჩვენი საზოგადოების რამდენი პროცენტი აზროვნებს ასე არაჯანსაღად?**

თუ ეს პროცენტი 20-25-ს მაინც აღწევს, მაშინ ჩვენ სავსებით ვიმსახურებთ იმ „ქაქს“, რომელშიც, უკვე 25 წელიწადია, ვართ და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერც ვერასოდეს ამოვალთ ამ „ქაქიდან“; ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, სანამ საზოგადოებაში თავმოყვარეობა არ გაიღვიძებს და ვიდრე უზნეო მილიარდერები არ მიხვდებიან, რომ ქვეყანაში შექმნილი არანორმალური ვითარების ასე ბოროტად სათავისოდ გამოყენება არ შეიძლება, რადგან საბოლოოდ ეს პირადად მისთვისაც ცუდ შედეგებს მოიტანს(!).

რას ჰქვია, გინდაც, კახა კალაძეს და, გინდაც, ვინმეს **„ნებისიერ სფეროში წარმატება ექნება“?** რა ფორმულაა ეს? როდის უნდა ამოვიდეს ჩვენი საზოგადოება ასეთი „ყველაფერშჩიკების“ არსებობის მითიდან?

ან **რას ჰქვია „შრომისმოყვარეა“ და ამიტომ საუკეთესო კანდიდატია?!**

**ეს ხომ იგივეა, რომ ადამიანი, რომელიც შრომისმოყვარეა, მაგრამ ბურთისთვის ფეხი არასოდეს დაუკარებია, ავდგეთ და, პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის დასკვნით ეტაპზე შევუშვათ მოედანზე სათამაშოდ: შრომისყვარეა, კაცო, მაგი და ისეთი ბეჯითი, პირველ ტაიმშივე ისწავლის ფეხბურთის თამაშსო!**

განა შეიძლება ასეთი შტერული არგუმენტით ვნიშნავდეთ მინიტრებს ან ვასახელებდეთ დედაქალაქის მერობის კანდიდატს?!

„ზუსტად გეუბნებით, ჩემი ახლობელი მუშაობს ენერგეტიკის სფეროში და მისგან ვიცი, კახა, მინისტრად დანიშნეს თუ არა, იმ დღიდანვე შეუდგა ამ სფეროს შეწავლას ძალიან ბეჯითად, თავი არ აუღია და ენეგრეტიკის ექსპერტებისგან ვიცი, რომ ძალიან მალე და კარგად ითვისებდა“, — მიწერს „ფეისბუქის“ გვერდზე კომენტარს ერთ ქალბატონი და ჰგონია, რომ „მკვლელი არგუმენტი“ დამიდო და ჩამაჩუმა. კომიკური ისაა, რომ მეხვეწება, ვენდო და დავუჯერო, რომ არ მატყუებს, და ეს ყოველივე მართლაც ასე იყო.

მჯერა, ჩემო ქალბატონო, მე მაგი და, რომ მჯერა, ზუსტად ეგ არის უბედურება. და თქვენ რომ ვერ ხვდებით, უბედურება რატომ არის, ეგ კიდევ ორმაგი უბედურებაა!

**რა ხდება, რა გაუჭირდა ამ ქვეყანას ისეთი, რომ ადამიანებმა ჯერ შეისწავლონ სფერო, აითვისონ დარგი და მხოლოდ ამის შემდეგ დაინიშნონ მაღალ თანამდებობებზე, მით უმეტეს — მინისტრებად?! მინისტრის სავარძლიდან სფეროსა და დარგის ათვისება რაღაც ახალი სპორტია და ქართველების მსოფლიო „ნოუ-ჰაუა“ თუ რა?**

ეს რაც შეეხება იმას, როგორ აღიქვამს საზოგადოება კახა კალაძეს, მაგრამ უმთავრეს პრობლემად მე თვით ამ ადამიანის გაუმართლებელი ამბიციურობა, თვალშისაცემი ამპარტავნება და თავხედობა მიმაჩნია.

ყველა ტელეეთერში, სადაც კი კახა კალაძე საკუთარ თავზე ლაპარაკობდა და საკუთარი გუნდს წარადგენდა, საუბარს იწყებდა ამ სიტყვებით: **„ჩემზე ზუსტად ასე ლაპარაკობდნენ, როდესაც მე ვინიშნებოდი ენეგრეტიკის მინისტრად. ამბობდნენ: რა უნდა ფეხბურთელს ენერგეტიკის მინისტრად? მან ხომ ეს სფერო საერთოდ არ იცის? ამან მე მომცა დამატებითი სტიმული და დავიწყე ამ სფეროს შესწავლა. ჰოდა, აი, ჩემი მინისტრობის 4 წლის შემდეგ მე მივაღწიე იმას, რომ...“** და ამის შემდეგ იწყებდა თავისი „წარმატებული“ ენერგეტიკოსობის შესახებ საუბარს, ანუ თვითონაც დარწმუნებულია, რომ მისი ენერგეტიკის მინისტრობა წარმატებული იყო და ამ 4 წელიწადში ენერგეტიკოსობა „გლეჯვაზე“ აითვისა! „აი ასეთ ნიჭიერი ბიჭი ვარ მე!“ — ეს გამოსჭვივის მისი ყოველი სიტყვიდან...

მე აქ არაფერს ვიტყვი, მხოლოდ შემოგთავაზებთ მონოლოგს, რომელიც ტაქსის მძღოლმა წარმოთქვა, ვიდრე დანიშნულების პუნქტამდე მიმიყვანდა:

„მე, ძამია, რომ ღადაობენ, ყველა ტაქსის შოფერს ორი დიპლომი აქვსო, არ ვარ მაგფერი. არანაირი დიპლომი არ მაქვს და არც მჭირდება. რა ჭირად მინდა, ჩემო კაი კაცო?! ადამიანი თუ შეუგნებელია და ვერ აზროვნებს, ცხრა დიპლომი მიეცი, თუ გინდა. და, თუ კაცი გონიერია, სულ რომ არ ჰქონდეს დიპლომი, ვისზე ნაკლებია? **აგერ კახა კალაძეზე რომაა ახლა ერთი ამბავი, მე გეტყვი ჩემსას. წარმატებული ენერგეტიკის მინისტრი ვარო, რომ იძახის, მაგის მინისტრობის დროს არ გაიზარდა გადასახადები დენზეც და გაზზეც? როგორ შეიძლება მინისტრი, რომლის დროსაც გადასახადები გაიზარდა, იყოს წარმატებული?!** მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ასეთ დროს მინისტრის რეიტინგი დაბლა ვარდება, ძამია. ენერგეტიკის მინისტრი, რომლის დროს გადასახადები გაიზარდა, გადადგომის მერე ვერსად ველარ დაინიშნება მაღალ თანამდებობაზე. მისი იმიჯი ნადგურდება. ჩვენ კიდევ, აგერ, ჩემო კაი კაცო, ამისთანა ჩასვრილ მინისტრს კიდევ არჩევით თანამდებობაზე გვიყენებენ, დედაქალაქის მერად. თვითონ რაფრა იქცევა? გამოდის თავხედურად და მე წარმატებული მინისტრი ვარ, ჩემ დროს 21 ახალი ჰესი აშენდაო. **შე კრისა შენ, თუ 21 ახალი ჰესი აშენდა, დენი რატო გაძვირდა?** ახალი ჰესების აშენების მიზანი ხომ იგია, რომე ელექტროენერგია გარედან არ ვიყიდოთ, ჩვენ თვითონ გამოვიმუშაოთ და ჩვენს მოსახლეობას იაფად მივყიდოთ? ასე არაა მაგი, ძამია? ჰოდა, **თუ მე დენს გამიძვირებ, რა ჯანდაბად მინდა ის შენი ჰესები, გინდა, 21 იყოს და, გინდა, 41?** ა, ამაშია, ჩემო კაი კაცო, საქმე. ახლა არ დამიწყო ნაცების მომხრე ხარო და ეგეთები. მაგენს მოუკვდა დამფუძნებელიც და მყვარებელიც, მაგენზე საზიზღარი ხალხი არ არსებობს, მარა, აგი ბიძინა რასაც შვება, არ შეიძლება მაგიც. ხედავს, რომ ხალხი უთავმოყვარეოა და გვასვამს თავზე, ვისაც უნდა. როდესაც ხალხს თავმოყვარეობა მოემატება, მერე ველარ გაბედავს მაგას. მაგრამ ამასობაში ქე დევიღუპებით და...“

მგონი, აღარც საჭიროებს არაფრის დამატებას...

მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ **ამ ქვეყანას მართლაც არაფერი ეშველება, სანამ საზოგადოება რომელიმე თანამდებობაზე ვინმეს დანიშვნას, „ეს ხომ ჩვენი კარგი და კუტუნია ბიჭია“-ს მსგავსი არგუმენტებით გაამართლებს!**

ბევრ ამომრჩეველს ესმის, რომ ქვეყნის განვითარების კონტექსტში „ქართული ოცნება“, არა უბრალოდ წარსული, არამედ ნამდვილი ქვის ხანაა, თავისი არაფორმალური მმართველობით, ამაზრზენი ნეპოტიზმით, სიცრუით, პრემია-დანამატებით და ა.შ. მაგრამ, „ნაცმოძრაობის“ არსებობის გამო, მას ისე აქტიურად არ უპირისპირდება, როგორც ამას ვითარების დრამატულობა მოითხოვს.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არჩევნებამდე, სულ რაღაც, სამი დღე დარჩა, თუმცა, ძველი ტრადიციის საპირისპიროდ, ნევროტული ალტკინება საზოგადოებაში ნაკლებად შეინიშნება. ელექტორატის დიდი ნაწილი 21 ოქტომბერს უკიდურესად გადაღლილი ადამიანის ფატალიზმით ელოდება, სურს, რომ პროცესი რაც შეიძლება მალე დასრულდეს და სახელისუფლო პარტიის რიგით მეხუთე გამარჯვებას თითქმის შეგუებულია. საინტერესოა, რა არის უფრო საშიში: ასეთი განწყობა თუ არარეალისტური ილუზიები?**

# საღათას ძილის ეროვნული თავისებურებები



## ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად შევა ქართული პოლიტიკის ისტორიაში, როგორც «ზომბი-ოპოზიციის» გამომგონებელი

ხელისუფლების დიდი უპირატესობა აშკარა იყო 2010 წლის არჩევნების წინაც, როდესაც ოპოზიცია გახლეჩილი და დასუსტებული იყო, ხოლო თბილისის მერობის ძირითადმა ოპოზიციურმა კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ წინასაარჩევნო პერიოდში ბევრი შეცდომა დაუშვა (ბლოკში „ალიანსი საქართველოსთვის“, „თავისუფალ დემოკრატებთან“ ერთად, მაშინ რესპუბლიკელები, „მემარჯვენეები“ და „საქართველოს გზა“ შედიოდნენ). კიდევ ორი ოპოზიციური კანდიდატი — ზვიად ძიძიგური (8,31%) და გოგი თოფაძე (5,19%) ცალკე გამოდიოდნენ. ხმების 10,7% ქრისტიან-დემოკრატების მიერ წარდგენილმა გიორგი ჭანტურიამ „წაიღო“. მნიშვნელობა არ აქვს, ჩავთვლით თუ არა ასეთ ვითარებაში ალასანიას 19,05%-ს მაღალ თუ დაბალ მაჩვენებლად – გამარჯვების რეალური შანსი მაშინ პრაქტიკულად არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში არ იგრძნობოდა ისეთი ნიჰილისტური განწყობა, როგორიც დღეს. ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეები გამოსავალს ეძებდნენ, სასწაულის იმედი ჰქონდათ. მათი უმრავლესობა საკმაოდ დათრგუნული ჩანდა მას შემდეგ, რაც ალასანიამ გიგი უგულავას არჩევნებში გამარჯვება მიულოცა, რადგან სააკაშვილის რეჟიმმა არჩევნები საზოგადოებაზე აშკარა ზეწოლის პირობებში ჩაატარა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არჩევნების შემდეგ ბრძოლის სხვა გზებზე, სხვა კანდიდატებზე ფიქრი დაიწყო. მაშინ ოპოზიციურ საზოგადოებაში გავრცელებული იყო უცნაური, მნიშვნელოვანწილად ირაციონალური ოპტიმიზმი, რომელიც დღეს თითქმის არ იგრძნობა.

**რეჟიმი საქართველოში სამჯერ შეიცვალა და სამივე შემთხვევაში არსებობდა ფაქტორი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა. გამსახურდიას ძველი ელიტა ოპოზიციაში ლამის სრული შემადგენლობით ჩაუდგა, ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ პირველ პრეზიდენტს მოკავშირეები პრაქტიკულად არ ჰყავდა. „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა საგარეო ფაქტორს მიენიჭა — სწორედ მისი ზემოქმედების გამო დისკრედიტირებულ ძველ ადმინისტრაციას წინააღმდეგობა პრაქტიკულად არ გაუწევია; მისი წარმომადგენლები „რევოლუციონერებს“ ხშირ შემთხვევაში ეხმარებოდნენ. 2012-ში განმსაზღვრელი როლი შეასრულა ივანიშვილის კაპიტალმა და დასავლელი პარტნიორების გაღიზიანებამ, სააკაშვილის სულელური პოლიტიკის გამო.** ამ ორი ფაქტორის თანხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრი ფული ბადრი პატარკაციშვილსაც ჰქონდა, მაგრამ 2007-ში რეჟიმის შეცვლას ხელს სააკაშვილის მიმართ დასავლეთის ჯერ კიდევ მტკიცე მხარდაჭერა უშლიდა. ეს არ ნიშნავს, რომ „რეჟიმ ჩეინჯი“ 100%-ით გამორიცხული იყო, მაგრამ მისი ალბათობა საკმაოდ მცირე იყო.

დღეს ჩვენ არ შეგვიძლია ვისაუბროთ არათუ ორი ფაქტორის თანხვედრაზე, არამედ თუნდაც ერთის არსებობაზეც კი. **რეჟიმს არ ჰყავს ივანიშვილის ან პატარკაციშვილის მსგავსი მოწინააღმდეგე, ოლიგარქი იქნება თუ პოლიტიკოსი.** მიხეილ სააკაშვილს, მისი კოშმარული წარსულითა და შერყეული ფსიქიკით, ასეთ ფიგურად, მისი მრევლის გარდა, არავინ განიხილავს. პოლიტიკური ელიტის უდიდესი ნაწილი პროსტიტუირებული და (ან) მარგინალიზებულია; სააკაშვილისგან განსხვავებით, ივანიშვილი მასზე კონტროლს არ კარგავს. ამომრჩევლები, რომელთაც უკეთეს საქართველოში ცხოვრება სურთ, ფაქტობრივად, მარტონი დარჩნენ და ამ ეტაპზე მძლავრი მოკავშირის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

მაგრამ თქმული არ ნიშნავს, რომ 2003-12 წლების ოპოზიციონერები ძალთა ბალანსს ცივი გონებით აანალიზებდნენ ან საერთოდ ფიქრობდნენ მასზე — მათ, უბრალოდ, ჰქონდათ ბრძოლის ჟინი და სჯეროდათ, რომ სასწაული ნამდვილად შეიძლება მოხდეს. საინტერესოა, რატომ გაქრა ეს განწყობა?

აქ შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ **სააკაშვილის მმართველობის პერიოდში რეჟიმი აღქმებოდა, როგორც გიჟი სამართებლით ხელში, რომლის შეჩერება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო. საზოგადოების საუკეთესო ნაწილი განიხილავდა ბრძოლას მის წინააღმდეგ, როგორც აუცილებლობას, და ეს შესაბამის განწყობას წარმოშობდა.** ადამიანის (და საზოგადოების) ძალები კრიტიკულ ვითარებაში სრულიად მობილიზებულია და მან შეიძლება სასწაულები მოახდინოს — თუმცა ამის შემდეგ დასვენება სჭირდება და ის, მარტივად რომ ვთქვათ, იძინებს. ასეთ „ძილს“ ადგილი ჰქონდა შევარდნაძისეული „სტაბილიზაციის“ შემდეგ და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც, მაგრამ ორივე შემთხვევაში პაუზა 2-3 წელიწადს გაგრძელდა და საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა კვლავ დაინახა უსამართლობა და უკეთესი ცხოვრება მოითხოვა. დღეს კი ის (2012-ში ძალების მაქსიმალური დაძაბვის შემდეგ) ვერა და ვერ იღვიძებს.

საინტერესოა, გახანგრძლივდებოდა თუ არა მსგავსი პაუზა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თუ სააკაშვილის რეჟიმი ხელოვნურად შეინარჩუნებდა „მოქალაქეთა კავშირს“, როგორც „მთავარ ოპოზიციულ ძალას“, და პარლამენტში დასვამდა ავთანდილ ჯორბენაძეს, ვიტალი ხაზარაძეს, ლევან მამალაძეს და ა.შ. მოკლედ, მოიქცეოდა ისე, როგორც ბიძინა ივანიშვილი „ნაცმოძრაობას“ მოექცა. ტექნიკურად ეს სავსებით შესაძლებელი იყო. გამორიცხული არაა, რომ ეს სააკაშვილს „რეფორმატორულ კარტ-ბლანშს“ რამდენიმე წლით გაუხანგრძლივებდა, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო მისი რეჟიმის გამყარებისთვის, თუმცა მან სხვა გზა აირჩია და მალევე ნახევარი საქართველო გადაიმტერა.

როდესაც „მძიმე წარსულის“ განსახიერება არათუ არსებობს, არამედ ეკრანებიდან არ ჩამოდის და მისი რევანშის საფრთხე სავსებით აქტუალური ჩანს, ეს ხელს უშლის საზოგადოებას, მოქმედი ხელისუფლება წარსულს მიაბაროს. **ბევრ ამომრჩეველს ესმის, რომ ქვეყნის განვითარების კონტექსტში „ქართული ოცნება“, არა უბრალოდ წარსული, არამედ ნამდვილი ქვის ხანაა, თავისი არაფორმალური მმართველობით, ამაზრზენი ნეპოტიზმით, სიცრუით, პრემია-დანამატებით და ა.შ. მაგრამ, „ნაცმოძრაობის“ არსებობის გამო, მას ისე აქტიურად არ უპირისპირდება, როგორც ამას ვითარების დრამატულობა მოითხოვს. ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად შევა ქართული პოლიტიკის ისტორიაში, როგორც „ზომბი-ოპოზიციის“ გამომგონებელი. პანიკური შიში ამ ზომბის წინაშე ამომრჩეველთა დიდი ნაწილის ქცევაზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს.**

ფიქრი ალტერნატივაზე დანაშაულებრივ გაუფთხილებლობად ითვლება იმ პირობებში, როდესაც ერთიანი ნაციონალური ზომბი-აპოკალიფისის საფრთხე არსებობს. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ივანიშვილს „ნაცმოძრაობის“ მიწასთან გასწორების, მისი ლიდერების ჩადენილი დანაშაულისთვის გასამართლების უფლება დასავლელმა პარტნიორებმა არ მისცეს – ეს ვერსია ხელისუფლებას ხელს აძლევს, მიუხედავად იმისა, რომ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ის თავის გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი არაა. თითქმის არავინ საუბრობს იმაზე, რომ მომხდარი, უპირველესად, ივანიშვილის ინტერესებში შედიოდა.

სავარაუდოდ, სწორედ ყველა ეს ფაქტორი განაპირობებს წინასაარჩევნო პროცესის ერთგვარ „ლეტარგიულობას“; ბოიკოტის მომხრეებიც კი, იმის ნაცვლად, რომ იყვირონ „ყველა ერთი ნაგავია“, თითქოს თვლემენ. განწყობა, რომლის მოკლე შინაარსია „მაინც არაფერი შეიცვლება“ საზოგადოებას მძიმე ლოდივით აწევს.

ცხადია, „ქართულმა ოცნებამ“, იმის გათვალისწინებით, რაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გააკეთა, იმსახურებს მარცხს არჩევნებში — ხელისუფლების დაკარგვას თუ არა, „შემოლაწუნებას“ მაინც, მაგრამ, რამდენადმე რეალური ალტერნატივის არარსებობის პირობებში, ამ შედეგის მიღწევა თითქმის გამორიცხულია. სწორედ აქ საქმეში ერთვება ტრადიციული ქართული მაქსიმალიზმი – თუ ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელია, აზრი საერთოდ არაფერს აქვს.

შესაძლოა, საქართველოს სჭირდება ახალი „მცირე საქმეების თეორია“, რომელიც დაარწმუნებს საზოგადოებას, რომ ბრძოლა ლოკალური მასშტაბის შედეგების მიღწევისთვის ისეთივე ღირებულია, როგორც ბრძოლა რეჟიმის შეცვლისთვის. თუ თუნდაც 5 ათასი ადამიანი სერიოზულად „გაჭედავდა“ და გაიბრძოლებდა კონსტიტუციის რომელიმე მუხლისთვის, იმავე შემართებით, როგორც ამას სააკაშვილის მმართველობის პერიოდში აკეთებდა, ხელისუფლება, სავარაუდოდ, უკან დაიხევდა. ბრძოლას აზრი იმ შემთხვევაშიც ექნებოდა, თუ სახელმწიფო მოხელეების, მართლაც რომ ღორული, პრემია-დანამატები თუნდაც 10%-ით შემცირდებოდა, მაშინაც კი, თუ თბილისში თუნდაც ერთი მახინჯი, კორუფციასთან აშკარად დაკავშირებული კორპუსის მშენებლობა შეჩერდებოდა და ა.შ.

ზემოთ ვთქვით, რომ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა გაცილებით რეალური მას შემდეგ გახდა, რაც ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, ხოლო დასავლეთის პოლიტიკამ კორექტირება განიცადა, მაგრამ ვერც ივანიშვილი, ვერც ვაშინგტონი თუ ბრიუსელი ცალ-ცალკე ვერაფერს გახდებოდნენ (მეორე შემთხვევაში კი არაფერს მოიმოქმედებდნენ), რომ არა უბრალო ადამიანების ხანგრძლივი, მომქანცველი და ძალზე სახიფათო ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ, ცუდი პოლიტიკური ლიდერების ხელმძღვანელობით, ცალკეულ ეპიზოდებში კი — მათ გარეშე. ის, რაც მაშინ გაკეთდა, ხშირ შემთხვევაში, ცარიელი ენთუზიამით, რეჟიმის გააფთრებული წინააღმდეგობის პირობებში ნამდვილი გმირობა იყო. **ხელისუფლების გარანტირებული შეცვლისთვის პირველ და მთავარ წინაპირობას ქმნის საზოგადოების რიგითი წევრების პრინციპული პოზიცია და არა ახალი პოლიტიკური მესიის გამოჩენა, რომლის მოლოდინი არსებითად სიზარმაცისა და გაუბედაობის გამართლებას წარმოადგენს.**

**ადამიანის (და საზოგადოების) ძალები კრიტიკულ ვითარებაში სრულიად მობილიზებულია და მან შეიძლება სასწაულები მოახდინოს — თუმცა ამის შემდეგ დასვენება სჭირდება და ის, მარტივად რომ ვთქვათ, იძინებს. ასეთ «ძილს» ადგილი ჰქონდა შევარდნაძისეული «სტაბილიზაციის» შემდეგ და «ვარდების რევოლუციის» შემდეგაც, მაგრამ ორივე შემთხვევაში პაუზა 2-3 წელიწადს გაგრძელდა და საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა კვლავ დაინახა უსამართლობა და უკეთესი ცხოვრება მოითხოვა. დღეს კი ის (2012-ში ძალების მაქსიმალური დაძაბვის შემდეგ) ვერა და ვერ იღვიძებს**

წყევლაკრულვიანი საკითხავი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, — მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც“.**

# რა ეშველება მიწის იმ ფართობებს, რომლებიც უკვე გაყიდულია? ან იმ მიწებს, რომლებზეც უკვე დასახლდნენ უცხოელები?

**ილია ჭავჭავაძემ თავისი შემოქმედებითა და შრომით დაგვანახვა, რა უნდა ვაკეთოთ ქვეყნის აღორძინებისა და შემდგომი სრულყოფისთვის, ხოლო ეკონომიკური აღორძინება-გაძლიერებისა და წინსვლის საქმეში უპირატესობას სოფლის მეურნეობას ანიჭებდა, ღრმად სწამდა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის. ილიამ იცოდა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინებას ფინანსური რესურსები სჭირდებოდა. ამასთანავე, უნდა გადაჭრილიყო ერისთვის უმნიშვნელოვანესი — „მიწის ქართველთა ხელში დარჩომის“ ამოცანა. მკვიდრი მიწათმოქმედი — ქართველი გლეხი უნდა დამკვიდრებულიყო იმ მიწაზე, რომელსაც იგი ამუშავებდა და რომელიც საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა.**

**„მიწის ქართველთა ხელში დარჩომის“ საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა XXI საუკუნის საქართველოშიც.**

**დღეს, როცა ჭილყვავივით შემოგვესივნენ დოლარებით ჯიბეგატენილი ურჯულონი, ფულს დახარბებული სახელმწიფო მოხელეები კი უშურველად არიგებენ მთას, ტყეს, მდელოს, სავარგულს — ყველაფერს, რაც სიცოცხლის ფასად დაიცვა და შეგვინარჩუნა ჩვენმა მამა-პაპამ, ქართული მიწა შაგრენის ტყავივით პატარავდება. „რაკი საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეები ბინის შეძენისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, უცხოელთა დაინტერესება დიდია — მყიდველთა 80% უცხოელია. ჩამოდიან რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, ასევე, ევროპის ქვეყნებიდან და საუდის არაბეთიდან. ყველა მსურველს აქვს საშუალება, ბინა შეიძინოს ყიდვა-გაყიდვის უმარტივესი წესით“, — ამ ინფორმაციას კომპანია „რეალ პალასის“ დირექტორი ედნარ ხიმშიაშვილი თავმოსაწონებლად აწვდის ერთ-ერთ გამოცემას და თავის სიტყვებში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, ვერც ზოგიერთი პოლიტიკოსი, სამწუხაროდ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე მიყიდვის საკითხი კარგა ხანს იდგა დღის წესრიგში და ახლახან, როგორც იქნა, გადაწყდა, რომ უცხოეთის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში გადაცემა უნდა აიკრძალოს.**

**მაგრამ რა ეშველება მიწის იმ ფართობებს, რომლებიც უკვე გაყიდულია? ან იმ მიწებს, რომლებზეც უკვე დასახლდნენ უცხოელები? რა ეშველება იმას, რომ მშენებარე თუ ახალაშენებულ კორპუსებში ბინების ლამის 80 პროცენტს უცხოელები ყიდულობენ?**

**რა ეშველება ქვეყანას, როცა „თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა“ მის ხელში აღარ არის?**

**აი კიდევ ერთი წყევლაკრულვიანი საკითხავი.**

ილია ჭავჭაბაძის აზრით, „სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით იმიტომ, რომ **ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. ...ხალხის სიმდიდრეზედ კიდევ დაფუძნებულია ყოველის მთავრობის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობა. აქედამ ადვილად მისახდომია, რომ მთელს ევროპაში ყოველის ხალხის მთავრობას დიდი ყურადღება, დიდი ზრუნვა აქვს მიქცეული თვისის ხალხის სოფლის მეურნეობაზედ და დიდ ფულსაც ხარჯვენ, რომ მაგ უმთავრესს წყაროს ხალხის სიმდიდრისას ფართო, რიგიანი და შეუფერხებელი დენა ჰქონდეს“.**

„ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფეხ-მოკიდებულია და ღრმად ფესვგადგმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით კი არა, არამედ სულითაც და გულითაც; ესე იგი ზნეობითაც შემსჭვალულია. მისი სოფელი სამკვიდროა, თვითონ „მკვიდრია“ თავის სოფლისა და სხვა თავ-მოსაწონებელი სახელი არ იცის“. სწორედ ამიტომ მიაჩნდა ილიას სოფლის მეურნეობა ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამის ეკონომიკურ საძირკვლად.

ერის მოძღვარმა უპირველესი ზრუნვისა და დაცვის ობიექტად მიწათმოქმედება აღიარა: **„ერთი უდიდესი წყარო სიმდიდრისა, უფრო მტკიცე და საიმედო ხვნა-თესვაა, მიწათმოქმედებაა ყოველგვარი, იმიტომ, რომ ამ მრეწველობის ნაამაგარი შეადგენს უპირველეს საჭიროებას ადამიანის ცხოვრებისას“.**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაძღოლა ილიას ვერ წარმოედგინა ადგილობრივ მიწათმოქმედთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ათვისების გარეშე. მას არა ერთხელ შეუსყიდია გერმანიიდან თუ საფრანგეთიდან უახლესი მოდიფიკაციის მანქანა-იარაღები საკუთარ მამულში გამოსაყენებლად, მაგრამ კვალიფიციური მუშახელის არარსებობის გამო ეს ვერ მოახერხა.

ილია ჭავჭავაძე საქართველოში მრავალდარგოვანი, ფართოდ სპეციალიზებული სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობაზე საუბრობდა. ილიას აზრით, დარგობრივ სპეციალიზაციას უნდა ეპასუხა საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნებისთვის: **„ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არ აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერ კი გაუსაღებია, — სახელმწიფო ინტერესის თვალითაც კი მეტად სახეირო რუსეთისთვისაც“.**

ილიას მოსაზრება რუსეთთან პარტნიორობის შესახებ ყურადსაღებია თუნდაც იმიტომ, რომ იგი კარგად იცნობდა რუსეთის ბაზარს, ქვეყნის მასშტაბსა და შესაძლებლობებს და დარწმუნებული იყო, რომ ჩრდილოეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის შეღწევა საქართველოს ეკონომიკასა და პრესტიჟს წაადგებოდა. ფაქტია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული სავაჭრო კავშირების მოშლამ საქართველოს ეკონომიკას უდიდესი ზიანი მიაყენა.

ყურადსაღები მოსაზრება გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ თავის წერილში **„კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ“**. ევროპის მოწინავე ქვეყნების (საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, გერმანია) გამოცდილების მიმოხილვის შემდეგ ის ასკვნის: **„მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰგრძნობდეს, და მეორეს გზით —**



## «დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი დაჯდება, ვინც ირჯება, ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს, ეკონომიურად წელში გაიმართოს»

**მზად იყოს, ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გაწვდება“.**

ერის განმანათლებელი ცდილობდა, ევროპული გამოცდილების მაგალითზე ჩვენშიც დანერგილიყო ამხანაგობათა (კოოპერატივები) ჩამოყალიბების ტენდენცია. ილია მიესალმა თელავის თავადაზნაურთა მიერ შექმნილ **„კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირის“** შექმნას, მოიწონა მისი წესდების პროექტი და გამოთქვა იმედი, რომ „კავშირი“ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა: „ეს იმისთანა საქმეა, რომელიც საუკუნოდ სახსოვრად გახდის იმის სახელს, ვინც ამ საქმეს მესვეურობას და მეთაურობას გაუწევს. ესეც უნდა იცოდეს თავადაზნაურობამ, რომ აქ მცირეოდენის გაწირვა და გაცემა დიდის სიკეთის მომავლინებელია ყველასათვის ერთად და სათითაოდ ცალკე, და ყოველი დაზოგვა და არგაცემა დაკარგვაა“.

ილია ხედავდა, რომ „ერთადერთი ღონე ჩვენის ქონების გაძლიერებისა ჯერ ხანად მარტო მიწათმოქმედებაა ჩვენში“. „...თელავის თავადაზნაურობას ეს საჭიროება უგრძვნია და საგნად შემდგარ ამხანაგობისა დაუდვია განკარგება და გაძლიერება მიწათმოქმედებისა.

განკარგება და გაძლიერება სწორედ იმ მხარეს უნდა მიექცეს, რომ

მიწათმოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება აუჩინონ, გაუმრავალგვარონ კულტურა ჰავისა და მიწის შესაფერად, ყოველივე ახლად შემოსაღები საჭირნახულო შეუწონონ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას, ძვირფასი რამ ჭირნახული დაუდვან საგნად მიწისმომქმედს და იეფის ფასის ჭირნახულზე ხელი აალებინონ, ან გაუადვილონ ხარჯი და მუშაობა“.

ილია ხაზგასმით აღნიშნავდა: **„ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, — მიწა და გუთანია.**

**რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკვლად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის. საქმე მიწაა და გუთანი. ...ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია.**

**თავდაპირველი შემომქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მხოლოდ გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს, ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ წადგმული ბიჯი ამ ორ საგნის მიმართ, ჩვენთვის დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს“.**

**ილიას მიზანი იყო, გლეხს შეეგნო ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების შეძენის აუცილებლობა, ზიარებოდა მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, განმტკიცებოდა რწმენა, რომ მხოლოდ იგია ჭეშმარიტი პატრონი და გამგებელი წილხვედრი მიწისა.** ილია ბრძანებდა: **„განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას... ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ახლა, თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის... ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა სამეურნეო სკოლაა. ამ-გვარის სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა“.**

ილიამ იცოდა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინებას ფინანსური რესურსები სჭირდებოდა. ამასთანავე, უნდა გადაჭრილიყო ერისათვის უმნიშვნელოვანესი — „მიწის ქართველთა ხელში დარჩომის“ ამოცანა. მკვიდრი მიწათმოქმედი უნდა დამკვიდრებულიყო იმ მიწაზე, რომელსაც იგი ამუშავებდა და რომელიც საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა.

დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა დიდი საზოგადო მოღვაწის პუბლიკაციებს ქვეყანაში პურეულის მოვლა-მოყვანის, ტყის, ტექნიკური კულტურების გაშენების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების, მელიორაციის და სხვა პრობლემური საკითხების შესახებ. საინტერესო და დღესაც აქტუალურია ილია ჭავჭავაძის თვალთახედვა მთის პრობლემების მოგვარებაზეც. მას ღრმად სწამდა, რომ საქართველოს მთიანეთში მეცხოველეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის — მთიანეთის აღორძინების უპირველესი პირობა იქნებოდა.

სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში წარმოების (კერძოდ, მიწათმოქმედების) და ვაჭრობის სფეროების მნიშვნელობის გააზრება-ანალიზის საფუძველზე წმ. ილია მართალი ასკვნის:

„ვაჭრობაც, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდამ, საცა მეტია, იქ, — საცა უჭირთ და ამ ▶

**„უცხოელს შენი ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენზია რომ ჰქონდეს, ჯერ უნდა იცოდეს შენი კულტურა, ტრადიცია და ენა; ის არაბი კი კიდევ ასი წელი ვერ ისწავლის ქართულს, თუმცა არც არავინ სთხოვს ამ ყველაფრის ცოდნას; საკმარისია, მოქალაქეობა მოითხოვოს და ფული დაანახვოს იუსტიციის სამინისტროს, მაშინვე ლანგრით მიართმევენ პასპორტს“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან. ხოლო ვაჭრობა, წესიერადაც გაწყობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს ადამიანსა

და ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს; საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმისი მამული, იმისი მიწა-წყალი. ამიტომაც **ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული. ...ამისთანა ერს აუცილებელ ბედად ის უწერია, რომ სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს.** ამიტომაც საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ღონე-მოკლებულია, ერად ყოფნობისათვის ნიადაგი არა აქვს და ხელცარიელია, თუნდაც ჯიბეები ოქროებით ჰქონდეს გატენილი.

ამისთანა ერის ეკონომიური ყოფა-ცხოვრებაც იმ ერზედ არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი, იმიტომ — რომ **ვაჭრობა არა ჰქმნის სიმდიდრესა; მას მარტო ერთის ადგილიდამ მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას, საცა ნაკლებია, და ამ გადატან-გადმოტანაში თავის გასამრჯელოდ დოიაქს იღებს იქიდამაც — საიდამაც გადააქვს და იქიდამაც — საცა მიაქვს. ამ სახით, ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმომქმედი მონაწილე, მაშასადამე, იგი, როგორც საპოლიტიკო, ისეც საეკონომიო საქმეებში, მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცქერალი, და ნამდვილ განათლებულ ვაჭარს ყოველთვის წინ გამოსახული ისა აქვს, რომ მისი კეთილდღეობა იმ ერის ბედთან არის შეხორცებული, რომელსაც შეჰხიზნებია. ამიტომაც იგი არ ერიდება და თავისად მიაჩნია იმ ერის ჭირიცა და ლხინიცა“.**

დასასრულ, ისევ დიდ მოძღვარს მოვუხმოთ: **„დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი დაჯდება, ვინც ირჯება, ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს, ეკონომიურად წელში გაიმართოს“.**

ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის ილიასეულ პროგრამას გვთავაზობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე: **„საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის თავის ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს.... საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის საწარმოო ბაზა საქართველოს მთელი მთა და მთისწინეთია. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს ქართულ სოფელს“.**

დაბოლოს, შევახსენებთ მავანთ ბიბლიის მრავლისმომცველ, დღევანდელი საქართველოსთვის უაღრესად აქტუალურ გაფრთხილება-შეგონებას: **„შენი მამა-პაპის გავლებულ მიჯნას ნუ შეცვლი“** (იგავ. 22,28).

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

# ელიზბარ ჯაველიძე: იუსტიციის სამინისტრო საქართველოში ბინადრობის უფლებას 35 ათას დოლარად ყიდის



**შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა წლეულს საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირთა სტატისტიკა გამოაქვეყნა. მონაცემები, რომლებიც 31 აგვისტომდე პერიოდს მოიცავს, ცხადყოფს, რომ თავშესაფარს, ძირითადად, აფრიკისა და ახლო-აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნების მოქალაქეები ითხოვენ. კონგო, კენია, ზიმბაბვე, კამერუნი, ნიგერია, სიერა-ლეონე, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, იორდანია, ეთიოპია — ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, რომელთა მოქალაქეებმაც საქართველოში შესაბამის ორგანოებს განცხადებით უკვე მიმართეს.**

**იმ „ზელიბერალური“ სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკის ფონზე, რომელიც ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში დაიწყო, დიდი ალბათობით, დღევანდელი ხელისუფლება თითოეული ზემოჩამოთვლილი სახელმწიფოს მოქალაქეს თავშესაფარს ლანგრით მიართმევს. გამოცდილება კი იმასაც გვკარნახობს, რომ ცოტა ხნის შემდეგ მათ ქართულ პასპორტებსაც დაურიგებენ და საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად აქცევენ.**

**რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის უცხო ქვეყნების დემოგრაფიული ექსპანსია და ადეკვატურია თუ არა ამ საფრთხეების მიმართ ხელისუფლების პოლიტიკა? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პუბლიცისტი და მეცნიერი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე.**

**— ბატონო ელიზბარ, დაახლოებით რვათვიან პერიოდში საქართველოში უცხო ქვეყნების 350-ზე მეტმა მოქალაქემ მოითხოვა თავშესაფარი. თუ ისინი თავშესაფრით დაკმაყოფილდებიან, დიდი ალბათობით, მოქალაქეობასაც მოითხოვენ. იმ დემოგრაფიული რეგრესის ფონზე, რომელიც უკვე კრიტიკულ ზღვარზეა ჩვენს ქვეყანაში, რამდენად სახიფათოა ეს ყველაფერი?**

— სახიფათო კი არა, ეს არის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის, ჩვენი სამშობლოს დაღუპვა. არ ვიცი, იქ რა ხდება და რა მონაცემები გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მაგრამ ვიცი, რომ **იუსტიციის სამინისტრო საქართველოში ბინადრობის უფლებას 35 ათას დოლარად ყიდის.** ეს არის საგანგაშო და ამაზე უნდა ვისაუბროთ, თორემ უცხოელს მოქალაქეობას რომ მისცემ, ბუნებრივია, ყოველთვის შეეცდება აქ დამკვიდრებას. ისე, ძალიან მაინტერესებს, **ეს ჩვენი იუსტიციის მინისტრი, დედოფალივით რომ დაბრძანდება, საით იყურება, რა ჰგონია, ფოჩიანი კანფეტებივით თუ დაარიგებენ ქართულ პასპორტებს, ხალხი სიხარულით მიიღებს?!** ჯერ მიწის მიყიდვა დააპირეს ვითომ ინვესტორებისთვის, მაგრამ არ გამოუვიდათ, იმიტომ, რომ ხალხი აღდგა, მერე კიდევ — რაღაც საკანონდებლო მზაკვრობები... ეს ყველაფერი ხომ ცხადყოფს, ესენიც რომ მოღალატეები არიან, ისევე, როგორც სააკაშვილი და მისი კრიმინალური ბანდა. კიდევ ვიმეორებ: **იუსტიციის სამინისტრო 35 ათასად ყიდის საქართველოში ბინადრობის უფლებას და იმ ფულიანი არაბისთვის, რომელიც აქ ჩამოდის, 35 ათასი დოლარი იგივეა, რაც ჩვენთვის სამი ლარი. ყიდულობენ მიწას და უკვე გადავსებულია თბილისი არაბებით. მეტიც, არაბული სოფლებია გაჩენილი საგურამოს სიახლოვეს და ქართლში. რა უნდა ვუყოთ ამას, ვინმე მეტყვის?!**

**— ის 35 ათასი დოლარი, რომელსაც უცხოელები ბინადრობის უფლების მიღებაში იხდიან, ოფიციალური გადასახადია თუ რამე კორუფციული სქემა, რა ინფორმაცია გაქვთ?**

— რეალურად კორუფციაა, აბა, რა არის, მაგრამ ამ ყველაფერს მიცემული აქვს კანონიერი სახე, ანუ მოდის უცხოელი (ძირითადად, არაბები), იხდის თანხას ოფიციალურად, საუბარია დაახლოებით 30-35 ათას დოლარზე, და იღებს ბინადრობის უფლებას. მერე მოქალაქეობამდე, მოგეხსენებათ, ერთი ნაბიჯია. აი, ეს არის უბედურება, რომ დანაშაულს კანონის სახე აქვს და **ის ხალხი, რომელიც აქ ბინადრობის უფლებას იღებს, რეალურად ნაღმია. ისინი არიან პოტენციური მეამბოხეები და თვითმკვლელები; როცა მოუნდებათ, მაშინ აგვაფეთქებენ...**

**— ეს ყველაფერი მიზანმიმართული პოლიტიკაა?**

— აბა, რა არის?! რა, შემთხვევით ყიდიან მიწას არაბებზე და არ იციან, რომ მერე ის არაბი ჩამოვა და დასახლდება?! ეს არის გლობალისტურ წრეებში შემუშავებული პოლიტიკა ყველა ჩვენნაირი ერის დასაღუპავად. ეს არის „თეთრი სახლის“ პოლიტიკა და, **ზოგიერთი ჩვენი ვაიპოლიტიკოსი რომ ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, თითქოს ამერიკა საქართველოს მეგობარია, ამით პირდაპირ სახეში აფურთხებს ჩვენს ხალხს. ამერიკა არავის მეგობარი არ არის და ჩვენ ამაში არაერთხელ დავრწმუნდით, განსაკუთრებით მაშინ, როცა 2008 წელს ავადმყოფ სააკაშვილს ომი დააწყებინეს და მერე ჭკუას გვარიგებდნენ, არ უნდა დაგეწყოთო.** საქართველო მათთვის არის პოლიტიკური სათამაშო, რომელსაც საჭიროების მიხედვით აბურთავებენ. ამერიკას, ბოდიში და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, საქართველო გაერთიანდება თუ არა...

**— მუდმივად საუბრობენ სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებაზე, რომ უცხოელებს არ უნდა მიეცეთ ასე მარტივად საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ ამ საუბრებს შედეგი არ მოჰყვება. პრეზიდენტი კვლავ „წარმატებით“ იყენებს თავის კონსტიტუციურ უფლებას და უკვე უამრავ უცხოელს მიანიჭა მოქალაქეობა. ეს დამღუპველი პოლიტიკა, როგორც თქვენ ამბობთ, ერთხელ და სამუდამოდ რომ დასრულდეს, რაა ამისთვის საჭირო?**

— უნდა გამკაცრდეს კანონი და, თუ ხელისუფლება ამას არ გააკეთებს, უნდა იცოდეს, რომ დაისჯება. მე დიდხანს ვცხოვრობდი გერმანიაში და შემიძლია დეტალურად მოგიყვეთ, რა პროცედურების გავლაა საჭირო გერმანიის მოქალაქეობის მისაღებად. ეს საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია, მაგრამ ვინმე იტყვის, რომ საქართველოს უფრო მაღალი სტანდარტის დემოკრატია აქვს, ვიდრე გერმანიას?! **უცხოელს შენი ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენზია რომ ჰქონდეს, ჯერ უნდა იცოდეს შენი კულტურა, ტრადიცია და ენა; ის არაბი კი კიდევ არ ისწავლის ქართულს, თუმცა არც არავინ სთხოვს ამ ყველაფრის ცოდნას; საკმარისია, მოქალაქეობა მოითხოვოს და ფული დაანახვოს იუსტიციის სამინისტროს, მაშინვე ლანგრით მიართმევენ პასპორტს...**

**— თქვით, რომ, თუ ხელისუფლება საიმიგრაციო კანონს არ გაამკაცრებს, უნდა დაისაჯოს. როგორ?**

— ხალხი უნდა გამოვიდეს და იუსტიციის მინისტრი კაბინეტიდან გამოაძევოს. არ ვგულისხმობ მაინცდამაინც ძალადობრივ ქმედებას, მაგრამ არ შეიძლება, ასეთი ანტისახელმწიფოებრივი მიდგომა უსასრულოდ გაგრძელდეს. წარმოიდგინეთ, დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზე ვართ და, უცხოელებს რომ ურიგებ შენი ქვეყნის მოქალაქეობას, მტერი ხარ, აბა, რა ხარ?!

**— ერთია საიმიგრაციო კანონის გამკაცრება და მეორე — რა ეშველება უკვე გაყიდულ მიწებს, სტრატეგიულ ობიექტებს. აჭარა, ფაქტობრივად, უკვე იყიდეს თურქმა „ინვესტორებმა“...**

— რასაც გაყიდი და რასაც უცხოელი ააშენებს, იოლად ვერ წაართმევ, თუ არ მოხდა რევოლუცია, რევოლუციები კი ასე მარტივად არ ხდება. ჩვენ გვყავს ფულიანი მტრები, რომლებიც მოდიან და ეკონომიკურად გიპყრობენ. ჯერ კიდევ როდის განაცხადა **დავითოღლუმ**, რომ საქართველოში ეკონომიკითა და განათლებით შევდივართო, ამიტომ არის საჭირო ძალიან ფრთხილი და გონივრული პოლიტიკა. თუმცა, ვინც ამაზე ფიქრობს და მართლა წუხს სამშობლოს ბედზე, ის ხალხი ჩრდილშია, მათ არ ალაპარაკებს არც ერთი ტელევიზია, რადგან ყველა ტელეარხი, ფაქტობრივად, ნაყიდია პოლიტიკური კახპების მიერ. ყველაფერი ამ გათახსირებული პოლიტიკანებისაა, წესიერი ადამიანების ადგილი არსად არის. მეორეც: მე ვერ ვხედავ დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე იმ საღ ძალას, ძირეული ცვლილებების განხორციელება რომ შეეძლოს. თქვენ თუ ხედავთ, მითხარით.

**— გამოდის, რომ საზოგადოებაში პოლიტიკური ნიჰილიზმია...**

— დიდი ხანია, ნიჰილიზმი არსებობს და ამას ვერ გავექცევით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოებამ ყველაფერზე ხელი ჩაიქნიოს. ამ მიდგომით ბურთი და მოედანი საბოლოოდ დარჩება ორ საშიშ ძალას: „ნაციონალურ მოძრაობას“ თავისი განაყოფი სუბიექტებით, რომლებიც ახლა კიბოს მეტასტაზებივით არიან მოდებულნი პოლიტიკურ სპექტრს, და მათთან კოაბიტაციაში მყოფ ხელისუფლებას.

რაც შეეხება უცხოელებისთვის მოქალაქეობის დარიგების საკითხს, ყველა პრობლემა მომდინარეობს იქიდან, რომ ქვეყანას არ ჰყავს ეროვნული ინტერესების დამცველი ხელისუფლება. როცა გვეყოლება ეროვნული ხელისუფლება და ამ მოღალატეებს პოლიტიკურ მოუსავლეთში გავისტუმრებთ, პრობლემების საბოლოოდ გადაჭრაზე მერე შეიძლება საუბარი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ის ხალხი, რომელიც აქ ბინადრობის უფლებას იღებს, რეალურად ნაღმია. ისინი არიან პოტენციური მეამბოხეები და თვითმკვლელები; როცა მოუნდებათ, მაშინ აგვაფეთქებენ»**

**«ყველა პრობლემა მომდინარეობს იქიდან, რომ ქვეყანას არ ჰყავს ეროვნული ინტერესების დამცველი ხელისუფლება. როცა გვეყოლება ეროვნული ხელისუფლება და ამ მოღალატეებს პოლიტიკურ მოუსავლეთში გავისტუმრებთ, პრობლემების საბოლოოდ გადაჭრაზე მერე შეიძლება საუბარი»**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს ხელისუფლებაშია კოლექტიური მურუსიძე, რომელიც მიშას პერიოდში შემსრულებელი იყო, ახლა კი გაცილებით დიდი პოსტი აქვს. ბიზნესმენი კახა ოქრიაშვილი მიშას მმართველობის პერიოდში პულტზე ხელის დამჭერი იყო, ახლა პოლიტიკურ ამინდს ქმნის“.**

# «ოცნების ხუთწლედი»

**„ქართული ოცნება“, 5 წელიწადია, ხელისუფლებაშია და, იმის მიუხედავად, რომ წინასაარჩევნოდ ხალხს უკეთეს მომავალს ჰპირდებოდა, ხუთი წლის თავზე ქართველი საზოგადოება იმედგაცრუებულია. მეტიც, ხშირად მოისმენთ ფრაზებს: „ოცნებამ“ სულში ჩაგვაფურთხა“, „უნიათოები“, „ხალხის ხმა არ ესმით“ და ა.შ. „ოცნების“ დაპირებიდან ყველაზე მომხიბვლელი იყო „100 საწარმოს“ აშენება და „მილიონი სამუშაო ადგილის“ შექმნა, მაგრამ ეს საწარმოები და სამუშაო ადგილები, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, 100-ზე მეტი საწარმო ავამუშავეთო, ვერავინ ნახა. ბიძინა ივანიშვილის დაპირების მიუხედავად, რომ „მეორე წელი იქნება საგრძნობლად უკეთესი. მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს. მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი“, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები ქვეყანაში კვლავ მოუგვარებელია...**

„ქართული ოცნების“ ლიდერების შეუსრულებელი დაპირებების ფონზე, ბევრს, ვინც მოესწრო დასავლელი და ჩვენი ნეოლიბერალების მიერ ნაგინებ საბჭოთა კავშირს, უნებლიეთ გაახსენდება, როგორ ასრულებდა დაპირებებს სტალინი და აშენებდა სამოქალაქო და მეორე მსოფლიო ომის შედეგად დანგრეულ-გაპარტახებულ ქვეყანას ხუთწლედებში.

აი რას წერდა ბრიტანული გამოცემა „რაუნდ თეიბლი“ 1934 წელს:

„ხუთწლიანი გეგმის მიღწევები გასაოცარია, სატრაქტორო ქარხნები ხარკოვსა და ლენინგრადში, საავტომობილო ქარხანა მოსკოვში, საავტომობილო ქარხანა ნიჟნი ნოვგოროდში, დნეპრის ჰიდროელექტროსადგური, ლითონის ჩამომსხმელი გრანდიოზული ქარხნები მაგნიტოგორსკსა და კუზნეცკში, მანქანთმშენებლობისა და ქიმიური ქარხნების ქსელი ურალზე, რომელიც საბჭოთა რურად იქცევა — ეს და სხვა სამრეწველო მიღწევები მოწმობს, რომ, როგორიც უნდა იყოს სიძნელეები, საბჭოთა მრეწველობა იზრდება, როგორც მცენარე, რომელსაც კარგად რწყავენ... ხუთწლიანმა გეგმამ საფუძველი ჩაუყარა მომავალ განვითარებას და უალრესად გაზარდა საბჭოთა კავშირის სიმძლავრე... ეს ქვეყანა ისე იცვლება, რომ შეიძლება ვეღარ იცნოთ... რუსეთი ხის საუკუნიდან სწრაფად შედის რკინის, ფოლადის, ბეტონისა და ძრავების საუკუნეში“.

„ოცნების“ პირველი ხუთწლედის შეფასება სხვადასხვა დარგის ექსპერტებსა და საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს ვთხოვეთ:



## „ამ ხელისუფლებამ სერიოზულად შეაფერხა ქვეყნის წინსვლა“

**დემურ გიორხელიძე,** ეკონომიკის ექსპერტი:

— ბოლო ხუთ წელიწადში ადამიანებს, ერთი შეხედვით, თითქოს მეტი საშუალება ჰქონდათ მოქმედებისთვის, მაგრამ ხელშემწყობი პირობები — ცოტა. სიღარიბე არ დაძლეულა, უმუშევრობა მძლავრობს. ხუთი წელიწადი საკმარისი დრო იყო იმისთვის, რომ ქვეყანა წინ წასულიყო, მაგრამ ამ ხელისუფლებამ თავიდანვე უარყო ქვეყნის მოდერნიზაციისადმი ერთიანი კომპლექსური მიდგომა და სერიოზულად შეაფერხა წინსვლა.

სოფლის მეურნეობა დღეს უფრო არაკონკურენტუნარიანია, რადგან რეფორმა, რომელიც გატარდა, უპერსპექტივო იყო. სოფლის მეურნეობაში ბანკის კლერკები მომრავლდნენ, რაც დამღუპველია. ასე რომ, ამ სფეროშიც სრული კრახია.



## „ისეთი სახელმწიფო, როგორიც ამჟამინდელი საქართველოა, დიდხანს ვერ იარსებებს“

**მერაბ ზურაბაშვილი, გურჯაანის რაიონის მკვიდრი:**

— სტალინმა ხუთწლედები ეკონომიკის გადასარჩენად შემოიღო. ხუთი წელიწადი საკმარისი დრო იყო იმისთვის, რომ ქვეყანა წინ წასულიყო. „ხუთწლედის დახმარებით გადავიქცევით ინდუსტრიულ ქვეყნად. უნდა შევქმნათ ისეთი ინდუსტრია, რომელიც შეძლებს, ხელახლა შეიარაღდეს და გარდაიქმნას არა მხოლოდ მრეწველობა, არამედ ტრანსპორტიცა და სოფლის მეურნეობაც“, — ამბობდა სტალინი.

ხუთწლედებში დასახული ამოცანების შესრულებით სტალინმა მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლების არნახულ ზრდას მიაღწია 1928 წელს 119%-ით, 1932 წელს — 217%-ით, 1937 წელს — 459%%-ით, 1940 წელს — 611%%-ით და 1950 წელს — 1003%%-ით. ასე რომ, სტალინის ხუთწლედებთან „ოცნების“ ხუთწლედის შედარება მკრეხელობაა.

**„ოცნებამ“ დაგეგმვა არ იცის, მას მხოლოდ ცრუ დაპირებების გაცემა შეუძლია. გვპირდებოდა საწარმოების აშენებასა და სამუშაო ადგილების შექმნას, მაგრამ არაფერი გაუკეთებია.** სტალინის მმართველობის პერიოდში კი, უკვე 1930 წელს, ქვეყანაში უმუშევრობა აღარ იყო. დღეს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სახელმწიფოს შეჰყურებს, რათა სოციალური დახმარება მიიღოს, არადა, პირიქით უნდა იყოს, სახელმწიფო უნდა არსებობდეს ხალხის მიერ შექმნილი დოვლათით. **ისეთი სახელმწიფო, როგორიც ამჟამინდელი საქართველოა, დიდხანს ვერ იარსებებს.**

ამ ქვეყანაში არც ერთი დაპირება არ შესრულდება, რადგან ხელისუფლების დაპირებებს ეკონომიკური საფუძველი არ აქვს. არასდროს მქონია იმედი, რომ „ოცნება“ რამეს გააკეთებდა, მათი დაპირებები უსაფუძვლო იყო და იმიტომ.

სანამ არ დამკვიდრდება სოციალისტური წარმოება, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება. კახეთში, დიდი ხანია, არაფერი აშენებულა, გლეხს არ აქვს საშუალება, მოსავალი მოიყვანოს. ყოველწლიურად ძვირდება საწვავი, წამალი, სასუქი. გასავალი მეტია, ვიდრე შემოსავალი. **უწინ ერთი კილოგრამი ყურძნის ფულით ხუთ ლიტრ ბენზინს ვყიდულობდით, ახლა არც ვიცი, რამდენი ყურძენი უნდა გავყიდო, ლიტრი ბენზინი რომ შევიძინო. ერთ შრომადღეში 20 ლიტრ ბენზინს ვიღებდით, ახლა — ორ ლიტრს.** ეს ხალხის ძარცვაა და, როცა ხალხს ძარცვავ, ის შენ წინააღმდეგ დაიწყებს მოქმედებას. სტალინი კი ადამიანებზე ზრუნავდა და ისინიც გრძნობდნენ ამას, ამიტომაც უყვარდათ და მისთვის თავსაც წირავდნენ. სტალინის პერიოდში ხელფასები არნახულად იმატებდა. 1933-1938 წლებში მუშის საშუალო ხელფასმა 1519-დან 3446 მანეთამდე მოიმატა... ამის შემდეგ ვინ იტყვის, რომ სტალინისა და ბიძინას მთავრობის შედარება შეიძლება?!



## „არც არაფერი გაუკეთებიათ და არც არაფერი გაუფუჭებიათ“

**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ლექტორი, პროფესორი:**

— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში კარგი რაც გაკეთდა, იყო ის, რომ შიში გაქრა, ტერორი აღარ იყო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამ ხელისუფლებას არ უმუშავია სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე, არ მოუმატებია პენსია, არ შექმნილა სამუშაო ადგილები... თვითონ თვლიან, რომ მიღწევა იყო ევროასოცირების ხელშეკრულების გაფორმება და ევროპაში უვიზო მიმოსვლა, მაგრამ ეს არაფერი არ არის. კარგი იქნებოდა, ხელისუფლებაში უფრო გამოცდილი ადამიანები ყოფილიყვნენ, ადამიანები, რომლებსაც მენეჯმენტი ესმით, რათა მოსახლეობაზე მეტი ეზრუნათ. მოკლედ, არც არაფერი გაუკეთებიათ და არც არაფერი გაუფუჭებიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა სუვერენული არ არის და გარე ძალებზეა დამოკიდებული, ხუთი წელი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ბევრი კარგი საქმე გაეკეთებინათ. მაგალითად, შეექმნათ სამუშაო ადგილები, განევითარებინათ დარგები, რომლებშიც, ასე თუ ისე, წარმატება გვქონდა, მაგრამ ამ ხელისუფლებას, როგორც მის წინამორბედებს, ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გეგმა არ აქვს.



## „ოცნებას“ სურს, ხალხი ბიძინას მონად იქცეს“

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— „ოცნების“ ხუთ წელიწადს უარყოფითად ვაფასებ. ის, რაც ვითომ გაკეთდა, მაინც გაკეთდებოდა, ვინც უნდა ყოფილიყო ხელისუფლებაში. აკეთებენ გზებს, მაგრამ ▶

# სააკაშვილი «სამას სპარტელს» ეძებს პოროშენკოს დასამხობად

**საქართველოში უამრავი უბედურების დამტრიალებელი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაშიც არ ისვენებს და ახლა იქ, თითქოს არავის ახსოვდეს, რა შავ დღეში ჩააგდო ქვეყანა ორმა მაიდანმა, კიდევ ერთი მაიდნის მოწყობას აპირებს. ამისთვის, კი, როგორც ჩანს, ნიადაგი უკვე მოუმზადეს დასავლელმა პატრონებმა.**



17 ოქტომბერს კიევში, უკრაინის პარლამენტის (რადას) შენობასთან, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის — მიხეილ სააკაშვილის — მომხრეებმა ჯერ აქცია მოაწყვეს, რასაც პოლიციასთან შეტაკება მოჰყვა, შემდეგ კი კარავი გაშალეს ახალი მაიდნის დაწყების მოლოდინში.

პარტია „ახალი ძალების მოძრაობის“ ლიდერმა, უკრაინის ხელისუფლებისგან შერისხულმა, მაგრამ ამერიკელი პატრონებისგან წაქეზებულმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „უკრაინის ხელისუფლება იქ მოკალათებული სიბილწისა და უწმინდურებისგან უნდა გაიწმინდოს“ და მომიტინგეებს პრეზიდენტ **პეტრე პოროშენკოს** დამხობისკენ მოუწოდა: „სანამ პეტრე პოროშენკოა პრეზიდენტი, ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება“, — განუცხადა სააკაშვილმა აქციის მონაწილეებს, რომლებმაც, ალბათ, არ იციან, რა უბედურება დაატრიალა სააკაშვილმა საქართველოში 9 წლის განმავლობაში, ან იციან, მაგრამ იმავე ხელით იმართებიან, რომლითაც თვითონ სააკაშვილი და თვალს ხუჭავენ შედეგზე, რომელსაც მოუტანს ტერიტორიაშემოძარცვულ და გაჩანაგებული ეკონომიკის მქონე ქვეყანას კიდევ ერთი მაიდანი.

აქციის მონაწილეები უკრაინის პარლამენტისგან მოითხოვენ დეპუტატებისთვის ხელშეუხებლობის მანდატის გაუქმებას, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასა და ანტიკორუფციული სასამართლოს შექმნას. მომიტინგეებს მხარი დაუჭირა უკრაინელი ნაციონალისტების პარტია „ნაციონალურმა კორპუსმა“, რომელმაც არ გამორიცხა ერთობლივი მოქმედებები საერთო მიზნების მისაღწევად, თუმცა გაემიჯნა სააკაშვილის რიტორიკას.

სააკაშვილმა კი, რომელმაც მოგვიანებით მიტინგი გამართა, განაცხადა, რომ მეორე მაიდანი არ დასრულებულა და ახლა მისი მიზანი „სამასი სპარტელის“ მოძებნაა, რომლებიც შეძლებენ პოლიტიკური კლასის შეცვლას უკრაინაში.

„ილიას უპირველესი მიზანი იყო, ქართველში ეროვნული სული გაეღვიძებინა, რითაც ქვეყნისთვის სასიკეთო პროგრამების განხორციელებას შესძლებდა, მაგრამ ახლა ილიას იდეას კლავენ, ილიას ცეცხლს აქრობენ და ეს ხდება უკვე მერამდენედ. ანგრევენ ყველაფერს, რასაც ჩვენი გადარჩენა შეუძლია“.

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ფული ჩვენი ჯიბიდან არის ამოღებული და ბიზნესმენისთვის გადაცემული. ყველა მთავრობა ასე იქცეოდა. მიღწევად თვლიან ე.წ. ვიზალიბერალიზაციას, მაგრამ ეს არაფერია, ეს ისედაც იქნებოდა. ჰგონიათ, რაღაცას აკეთებენ, მაგრამ ეს უკვე დაგეგმილია, უბრალოდ, ევროპელებს ისეთი პოზა აქვთ, რომ გვამადლიან და „კარგი საქციელით“ რაღაცას ვიმსახურებთ.

შემაშფოთებელია ამ ხელისუფლების თავხედობა — ხალხის ნათქვამს არაფრად აგდებს. **საზოგადოება ღელავს და ითხოვს, აუხსნან, რატომ აქვს მოხელეს ასჯერ მეტი შემოსავალი, პენსია კი არ იმატებს. წინა ხელისუფლება ასე იქცეოდა და, როდესაც შენც იმავეს იმეორებ, გამოდის, მასზე უარესი ხარ.**

არ შეიძლება, ამათ ბევრი დრო მივცეთ, რადგან ვითარება უფრო გაუარესდება. გახსოვთ, ალბათ, **სააკაშვილი** ერთ ლარად რომ არიგებდა ნათესავებზე სახელმწიფოს ქონებას, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი, რომ ანალოგიურად მოიქცეოდა „ოცნებაც“, თანაც, ამას **ბიძინა ივანიშვილი** თუ გააკეთებდა. „ოცნებას“ სურს, ხალხი ბიძინას მონად იქცეს.



## „თუ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში სწრაფად მივექანებოდით უფსკრულში, ახლა ნელა ვიძირებით ჭაობში“

**გია ხუხაშვილი**, ეკონომიკის ექსპერტი:

— „ოცნებას“ არაფერი გაუკეთებია. „ოცნებამ“ შეძლო რეჟიმის გასტუმრება, რაც ტაქტიკური ამოცანა იყო, მაგრამ პარადოქსია, რომ ეს დღევანდელ „ოცნებას“ არ გაუკეთებია. ადამიანები, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმი მოიშორეს, ხელისუფლებაში არ არიან. „ქართული ოცნების“ ელიტა მზამზარეულზე მოვიდა. მაგალითად, **კვირიკაშვილი** სახლში იჯდა და უმუშევარი კაცი ჩვენ მოვიწვიეთ. არც სხვები მონაწილეობდნენ პროცესებში. **რეჟიმის გასტუმრება, რომელიც ერთადერთ აქტივად ეთვლებათ, სხვა „ოცნების“ გაკეთებულია.**

ასე რომ, ხელისუფლება, ჩვენდა საბედნიეროდ, ბევრს არაფერს აფუჭებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც არაფერს აკეთებს. თუ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში სწრაფად მივექანებოდით უფსკრულში, ახლა ნელა ვიძირებით ჭაობში.

ამ ხელისუფლებამ თავის გადარჩენის მიზნით, მაჟორიტარების, ანუ ყანდურების, „რაიონების მაყურებლების“ ხელში გადაიტანა ძალაუფლება. ეს ადამიანები გადადიან პარტიიდან პარტიაში, ყიდულობენ ადგილებზე არჩევნებს, ხელისუფლებას უხანგრძლივებენ ვადას და იცავენ ბიზნესებს.

დღეს ხელისუფლებაშია კოლექტიური **მურუსიძე**, რომელიც მიშას პერიოდში შემსრულებელი იყო, ახლა კი გაცილებით დიდი პოსტი აქვს. ბიზნესმენი **კახა ოქრიაშვილი** მიშას მმართველობის პერიოდში პულტზე ხელის დამჭერი იყო, ახლა პოლიტიკურ ამინდს ქმნის. „ოცნებამ“ მიშას ერთჯერადი ღამის პეპლები ცოლად მოიყვანა თუ თვითონ გაჰყვნენ, არ ვიცი, ეს დამოკიდებულია მათ ორიენტაციაზე.

**— შეეძლოთ რამის გაკეთება ხუთ წელიწადში?**

— რა თქმა უნდა. სისტემაში მოკალათებული ნაძირლების მოშორება მაინც ხომ შეეძლოთ? მურუსიძის მოშორებას რა უნდოდა? „ნაცმოძრაობის“ ყველაზე ოდიოზური ფიგურების გადეპუტატებას ვინმე აძალებდათ? „ოცნება“ შეეზარდა მიშას სისტემას, მათ დემონტაჟი არ ისურვეს. „ოცნებამ“ ეშმაკთან ხელშეკრულება გააფორმა და, საბოლოოდ, მძევალიც გახდა.



## „წინა მთავრობის აჩრდილი ისევ დადის, რეჟიმი არ გასამართლებულა და რევანშისტული ძალები ისევ ბობოქრობენ“

**ვახტანგ მაისაია**, სამხედრო ექსპერტი:

— განვლილ ხუთ წელიწადში აშკარა იყო ხელისუფლების უნიათობა, რაც ბევრ სფეროში გამოიხატა. იყო ჩავარდნა თავდაცვის სფეროში, მეტიც — კრახი. ხუთ წელიწადში ოთხი მინისტრი შეიცვალა, რაც დაეტყო კიდეც თავდაცვის სფეროს, **ქვეყანა საფრთხეშია და ჩვენ დასუსტებული ვართ.** ქვეყანაში არის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, ინფლაციის მაღალი დონე, პრობლემაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. საგარეო ვალმა 15 მლრდ დოლარს გადააჭარბა. სამართლიანობის აღდგენა კვლავ დღის წესრიგშია და ამაზე აღარავინ ფიქრობს. საშინელი ვითარებაა სასამართლო სისტემაში. კარგია, რომ ადამიანებს აღარ კლავენ, აღარ არის ძალადობა, მაგრამ წინა მთავრობის აჩრდილი ისევ დადის, რეჟიმი არ გასამართლებულა და რევანშისტული ძალები ისევ ბობოქრობენ.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

# კიდევ ერთხელ მოკლეს ილია, ამჯერად ბორჯომში

**ქართველი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე 1837 წლის 8 ნოემბერს ყვარელში დაიბადა, 1907 წლის 12 სექტემბერს კი წიწამურთან მოკლეს. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და წმინდა ილია მართალი უწოდა. წელს მისი დაბადებიდან 180 წლისთავი სრულდება.**

...1861 წლის აპრილში ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან საქართველოში გამოემგზავრა. მან სამშობლოსთან შეხვედრის მოლოდინით აღძრული ფიქრები მხატვრულად ასახა „მგზავრის წერილებში“, რომელიც არა მხოლოდ ილიას ან „თერგდალეულების“ მიზნებსა და ამოცანებს, არამედ ქართველი ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უწმინდეს იდეალებს გამოხატავდა. „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე.... რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?“ — წერდა ილია, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლისთანავე შემოიკრიბა ახალი თაობა და საფუძველი ჩაუყარა ჰუმანისტურ დემოკრატიულ მიმდინარეობას, რომელიც „პირველი დასის“ სახელით არის ცნობილი.

გერმანელი მწერალი **არტურ ლაისტი**, რომელიც 1907 წლის 21 აგვისტომდე საგურამოში ილიასთან ერთად იყო, წერს: ,,დაღონებული იყო, ემდუროდა სხეულის სისუსტეს, შევნიშნე ენერგიის სისუსტე და სიფიცხე, წინანდებურად არ ლაპარაკობდა, ღიმილი მის სახეზე არ შემიმჩნევია“... პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ პოეტი თითქმის სულ საგურამოში იმყოფებოდა. საგურამოდან წამოსვლისას დაუბარებია, — დღესვე, საღამოს, დავბრუნდებიო. სოფელში დარჩენილა ილიას მოურავი **ჯაში.** ჯაშმა ყველა ზომა მიიღო, უკან დაბრუნებისას ილია რომ მოეკლათ, მაგრამ იმ დღეს ილია შინ არ დაბრუნებულა...

1907 წლის 12 სექტემბერს, 10 საათზე, ილია და მისი მეუღლე იმავე ეტლით, რომლითაც ლაისტთან ერთად სამი დღის წინათ თბილისში ჩამოვიდნენ, საგურამოსკენ გაემგზავრნენ. დაახლოებით დღის პირველ საათზე ილია და მისი მეუღლე წიწამურის წყაროსთან მისულან, სადაც მოურავი ჯაში უნდა შეხვედროდათ. ჯაში კი განზრახ არ მისულა, რათა მკვლელობაში უშუალოდ არ ჩარეულიყო. ილიას რამდენიმე წუთს მოუცდია, შემდეგ კი განაწყენებულს უბრძანებია მეეტლე თედო ლაბაურისთვის, ეტლი დაეძრა. ლაბაური მოსყიდული იყო. მან იცოდა, რომ 15-20 წუთის შემდეგ ილიას მოკლავდნენ.

ილიას მკვლელობა ქართველმა ხალხმა ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნია. მის დაკრძალვაზე **აკაკი წერეთელმა**, რომელიც იმ პერიოდში ძლიერ ავადმყოფობდა, თქვა: „ილიას ფასდაუდებელი წვლილი ქართველი ერის აღორძინებაში მომავალი თაობებისთვის ნიმუშის მიმცემია“. **ვაჟა-ფშაველა** წერდა, „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავდნენო“.

ათი დღე გლოვის ზარი გაისმოდა საქართველოში. ქართველმა ერმა თავისი მოწიწება და სიყვარული იმით გამოხატა, რომ ილიას ნეშტი დაკრძალა თბილისის უწმინდეს ადგილას – მთაწმინდაზე...

„ილიას გზით მივდივართ“ — „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ ნათქვამი ეს ფრაზა ხშირად გვესმის სატელევიზიო ეთერიდან. არადა, ერის მამად წოდებული ილია მართლის ძეგლი, უკვე ორი წელიწადია, ბორჯომის პარკიდან გაიტანეს და ღია ცის ქვეშ უპატრონოდ დააგდეს.

ბორჯომელები ილიას ძეგლისადმი უდიერ მოპყრობასა და წმინდანად შერაცხული საზოგადო მოღვაწის უპატივცემულობაში ადგილობრივ ხელისუფლებას ადანაშაულებენ, ხელისუფლებას, რომელიც ირწმუნება, რომ ილიას გზას ადგას.

მართლაც, საით მიდის ილიას გზა და საით მივდივართ ჩვენ?

**ჩვენ დავუკავშირდით ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რათა გაგვერკვია, რას ერჩოდნენ ილიას ძეგლს. გამგებლის მოადგილე ანზორ სვანიძემ გვიპასუხა:**

„ილიას ძეგლი გამგეობის ეზოში გადავიტანეთ. რადგან ძეგლის ტანი ილიასი არ იყო, ბორჯომელების უმრავლესობას ის არ მოსწონდა და საერთოდ, ცუდად იყო გაკეთებული და შეუფერებელ ადგილასაც იდგა....

გადავწყვიტეთ, ილია ჭავჭავაძის ძეგლი დავდგათ მისივე სახელობის სკოლის ეზოში. ამისთვის ნებართვაც ავიღეთ განათლების სამინისტროსგან. წლის ბოლოს ტენდერი გამოცხადდება და შესაძლოა, გამარჯვებულმა კომპანიამ უკეთესი იდეა შემოგვთავაზოს. ასე რომ, ილიას ძეგლი ბორჯომელებს უკეთესი სახით დაუბრუნდება“.

„გვატყუებენ, რომ ილიას გზით მიდიან, რადგან ილიას გზას ნამდვილად არ ადგანან, — აღშფოთება ვერ დამალა ჩვენთან საუბარში **ენათმეცნიერმა, აკადემიკოსმა გიორგი გოგოლაშვილმა,** — ილიას ძეგლის ჩამოგდება ის შემთხვევაა, როდესაც ენა არ გიტრიალდება რაიმეს სათქმელად. ეს უზნეო საქციელია და ამის ჩამდენს მომავალი არ აქვს.

ვიღაც ილიას ძეგლის რესტავრაციაზე საუბრობდა, მაგრამ ამ ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, აღდგენამდე კი სათუთად უნდა შეინახონ.

დღეს ლიბერალური საზოგადოება გვიკიჟინებს: დავივიწყოთ წარსული, მოვიჭრათ ფესვები და ისე ვიაროთ წინო, **სამწუხაროდ, ლიბერალები ხშირად ახსენებენ ილიას გზას, მაგრამ, ან არ იციან, რა გზაა ეს, ან გვატყუებენ, რომ ამ გზით მიდიან. ილიაც ამიტომ გაუშვეს სანაგვეზე“.**

გულისტკივილს გამოთქვამს **ლიტერატურათმცოდნე თემურ ქორიძე:** „თუკი, ვინმეს ძეგლი არ მოსწონდა, ისე გაეტანათ, ილია არ შეურაცხეყოთ. ამ საქციელით სრულიად ქართველი ერი შეურაცხყვეს. ისეთი განცდა მაქვს, რომ თითქოს კიდევ ერთხელ ესროლეს ილიას და კიდევ ერთხელ მოკლეს“.

**აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის** აზრით, „ეს დიდი დანაშაული იმიტომ ხდება, რომ დამნაშავეები არ ისჯებიან, მეტიც: მათ, ვინც ჩვენს სულიერ მამებს შეურაცხყოფს, აწინაურებენ.

მოისროლეს **მემედ აბაშიძის** ძეგლი; **დავით აღმაშენებლის** ძეგლი კი ისეთ ადგილას გადაიტანეს, ვერაფრით მიუდგები; ააფეთქეს „დიდების მემორიალი“... ეს პოლიტიკაა, რომლითაც მიზანმიმართულად ხორციელდება ქართული ცნობიერების, კულტურის, ისტორიის განადგურება.

უბედურებაა! **ილიას სახელს ახსენებენ ადამიანები და მისი ერთი ნაწარმოებიც არ აქვთ წაკითხული. ილიასნაირი სულიერი მამა საქართველოს არ ჰყოლია.** მან ყველა სფეროში შეიმუშავა პროგრამა — სოფლის მეურნეობაში, კულტურაში, ეროვნულ მოძრაობაში; გვასწავლიდა, როგორ გადავრჩენილიყავით. ილიას უპირველესი მიზანი იყო, ქართველში ეროვნული სული გაეღვიძებინა, რითაც ქვეყნისთვის სასიკეთო პროგრამების განხორციელებას შესძლებდა, მაგრამ ახლა ილიას იდეას კლავენ, ილიას ცეცხლს აქრობენ, და ეს ხდება უკვე მერამდენედ. ანგრევენ ყველაფერს, რასაც ჩვენი გადარჩენა შეუძლია.

ჯერ ის ვერ მოგვინელებია, ილია რომ მოვკალით, ადამიანი, რომელსაც ქართველმა ხალხმა თავის გულში სიცოცხლეშივე დაუდგა ძეგლი, ყველა ქართველმა იცოდა ილიას ფასი, მაგრამ ნაძირალებმა, გამყიდველებმა, არაქართველებმა მოკლეს. **ჯაშმა მოკლა ილია და ახლა იმ მკვლელის შთამომავალი, მარიამ ჯაში, პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარედ გვიზის...**

ტელეეთერში გამოჰყავთ **ლევან ბერძენიშვილი**, შეუქმნეს განათლებული კაცის იმიჯი, აკითხებენ ლექციებს იმ სფეროში და იმ საკითხზე, რომელიც ყველაზე მეტად სძულს — ქართულ ლიტერატურა და საქართველო. სასაცილია, სატირალი რომ არ იყოს.

საქმე ძალიან ცუდად არის, საქართველო იღუპება და მშველელი არ ჩანს!“



მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნაცების საამაყო იუსტიციის სახლი უკონტროლოდ შტამპავს და ბეჭდავს უცხო ტომელებისთვის ე.წ. ბინადრობის უფლების თუ პირდაპირ მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთებს, რომელთა რაოდენობამ, თუ კახა კუკავასა და დიმიტრი ლორთქიფანიძის საარჩევნო კლიპს დავუჯერებთ, უკვე 200 ათასს გადააჭარბა. ნათქვამს თუ დავუმატებთ დემოგრაფ ანზორ თოთაძის მონაცემებსაც, რომელთა მიხედვით, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში საქართველოდან მილიონ-ნახევარი ქართველია გასული, დემოგრაფიული კატასტროფის რეალური საფრთხის წინაშე კი არა, უკვე დემოგრაფიულ კატასტროფაში ვართ.**

**გასულ უქმეებზე საქმიანი ვიზიტით რუსეთში გახლდით. შინ სამშაბათს დილით დავბრუნდი და დროის უკმარისობის გამო იქნება გაზეთის ეს ნომერი უჩემოდ გამოსულიყო, რომ არა ერთი მაგრამ... ლიფტთან ერთბაშად ხუთ არაბს შევეჩეხე, რომლებსაც თურმე ჩემს სადარბაზოში უყიდიათ ბინა და ისინიც (რატომ „ც" ქვემოთ ნახავთ) კარის მეზობლად გამხდომიან თურმე!**
**დავრწმუნდი, რომ მიგრანტების მიერ საქართველოს ოკუპაციის დასაწყისი სულაც არ ყოფილა მითი და, როგორც კი ბინაში შევედი, კომპიუტერს ჩავუჯექი და წინამდებარე წერილს ვთავაზობ მკითხველს...**

# ქართველი ერის სუიციდი დემოკრატიის სახელით

დემოკრატია ბერძნული სიტყვა რომ არის და ხალხის მმართველობას ნიშნავს, ეს, რომ იტყვიან, ბავშვმაც კი იცის... არ ვიცი, მართლა იყო თუ არა ანტიკურ ელადაში ხალხის მმართველობა, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ, რაც კი რამ უბედურება მომხდარა ბოლო 25-30 წლის განმავლობაში მსოფლიოში, როგორც წესი, ყველაფერი დასავლური დემოკრატიის სახელითა და აშშ-ის შესრულებით.

რომელი ერთი გავიხსენოთ: სსრკ-ის ხავერდოვანი დაშლა, რაც, რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინისა** არ იყოს, მართლაც უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო, რადგან ამ „ხავერდოვნებამ" უამრავი სისხლი და ცრემლი მოიტანა პოსტსაბჭოთა სივრცეზე (ყარაბახი, სოხუმ-ცხინვალი, ჩეჩნეთი, დნესტრისპირეთი, უკრაინა); აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ არახავერდოვანი, სასტიკი, ღამეული დაბომბვების შედეგად დანგრეული სერბეთი და დაშლილი (ხორვატია, ბოსნია, კოსოვო, ჩერნოგორია) იუგოსლავია; ფერადი რევოლუციები? — თავდაპირველად იყო იუგოსლავია, შემდეგ — საქართველო, უკრაინა... აშშ-ის მიერ განხორციელებული სამხედრო ინტერვენციები: ჯერ ერაყში, მოგვიანებით ლიბიაში. **სადამ ჰუსეინი** ჩამოახრჩვეს, ხოლო **მუამარ კადაფი** ლამის ცოცხლად გაატყავეს... შედეგად ერაყში იშვა ტერორისტული ორგანიზაცია "„ისლამური სახელმწიფო", რომელსაც სირიაში მარტოდმარტო ებრძვის რუსეთი, ხოლო კადაფის მკვლელობის შემდეგ დაიწყო ფერადი რევოლუციების არაბული ტალღა ე.წ. არაბული გაზაფხულები, შედეგად მილიონობით ლტოლვილი არაბი ევროკავშირს მიაწყდა და ისლამის მიმდევრებმა ლამის წალეკონ ქრისტიანული ევროპა. თუმცა რომელ ქრისტიანულ ევროპაზეა საუბარი, რომელიც, პრაქტიკულად, აღარ არსებობს?! **საფრანგეთზე** ხომ არა, სადაც ჯერ ელისეს მინდვრებზე ამაყი ფრანგების მილიონიანი მარში გაიმართა ლგბტ წყვილებისთვის შვილების აყვანის უფლების მინიჭების წინააღმდეგ, ხოლო მოგვიანებით პარიზის ნოტრ-დამის ტაძრის საკურთხეველში ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებისადმი პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა ცნობილმა ფრანგმა მწერალმა და ისტორიკოსმა **დომინიკ ვენერმა?** მართებულად შენიშნა ჩემმა ერთმა კოლეგამ: ალბათ, შორს აღარ არის ჟამი, როდესაც პარიზის ღვთიშობლის ტაძარი ღვთისშობლის მეჩეთად გადაკეთდება.

**ბრიტანეთზე?** ანგლიკანურმა ეკლესიამ უკვე დაუშვა დიაცთა მღვდლობა, გაერთიანებული სამეფოს სხვა პროტესტანტულმა ეკლესიებმა კი ერთნაირსქესიანი წყვილების ჯვრისწერა დაიწყეს, რის გამოც რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მათთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. თუმცა რაზეა საუბარი, როდესაც **იტალიაშიც** კი (სადაც ვატიკანი, მსოფლიო კათოლიციზმის ცენტრია) ამას წინათ საზეიმოდ დააკანონეს ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინება. არადა, **XIII-IX საუკუნეებში, ვატიკანის ბრძანებით, სრულიად ევროპაში მიმდინარეობდა ე.წ. კუდიანებზე ნადირობა და ინკვიზიციის კოცონზე ცოცხლად წვავდნენ ე.წ. ერეტიკოსებს, რომლებიც, სოდომის ცოდვის მიმდევრებთან შედარებით, დღეს, ალბათ, წმინდანებად გამოიყურებიან.** ასეთივე მდგომარეობაა ერთ დროს კლასიკური კათოლიციზმის ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის **პორტუგალია, ესპანეთი** და მათგან ოკეანისგაღმა „შობილი" **ბრაზილია-არგენტინა,** აგრეთვე, დასავლეთ ევროპის შედარებით პატარა სახელმწიფოებში. ეს კი ე.წ. მულტიკულტუიზმის, მეტისმეტი ტოლერანტობის, მოკლედ, ფსევდოდემოკრატიის გამო მოხდა და, თუ ასე გაგრძელდა, ხვალ უარესი ელით. თუმცა, „თუ ასე გაგრძელდა", იქნებ დაგვიანებულიც კია ევროკავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური მონსტრების — საფრანგეთის, გერმანიისა და ევროკავშირიდან სწორედ მიგრანტების არმიღების სურვილის გამო გასული დიდი ბრიტანეთის მიმართ, რადგან ამ ქვეყნებში არაბულ გაზაფხულებამდეც იმდენი მიგრანტი დასახლდა, რომ, ვფიქრობ, დიდი ხანია, გადაკვეთეს ე.წ. უკან დასაბრუნებელი ხაზი.

ყბადაღებული ე.წ. პოლიტკორექტულობის ლექსიკონში ველარ იხილავთ ისეთ ცნებებს, როგორიც არის: სამშობლო, ეროვნება, ოჯახი, წინაპართა ხსოვნა, უფროსის პატივისცემა და ა.შ. ბოლოს და ბოლოს, ქალისა და კაცის ცნებებია უარყოფილი. იქამდეც კი მივიდნენ (თუ დავიდნენ?), რომ მეტროპოლიტენებში, აეროპორტებსა თუ საზოგადოების მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილებში რადიომიმართვის — „ქალბატონებო და ბატონებოს" — აკრძალვასაც კი ითხოვენ, როგორც დისკრიმინაციულის. ამ მიმართვას იქნებ ტრანსგენდერებიც ისმენენო, ანუ არსებები, რომლებიც არც კაცად თვლიან თავს და არც ქალად. ეს ხომ უკვე მასობრივი შიზოფრენიაა და ამის გამგონე ნორმალური ადამიანი შეიძლება მართლა გაგიჟდეს, თუ დაფიქრდება, რასთან გვაქვს საქმე 21-ე საუკუნის დასაწყისში...

მოკლედ, ყოველივე ზემოთქმული ევროპის (საზოგადოდ, დასავლეთის) მიერ დემოკრატიის სახელით ღმერთის უარყოფაა და სწორედ ამიტომ **გერმანიის ლუთერანული, ბრიტანეთის ანგლიკანური და საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიების ზარებზე ხმამაღლა უკვე მუსლიმანი მუეძინების ყივილი ისმის მინარეთებიდან.**



**კახეთში, ქართლში უკვე გაჩნდა უცხოტომელთა კომპაქტური დასახლებები. აგერ, თბილისთან ახლოს, კუმისში იყიდეს არაბებმა მიწა, სადაც მალე მასობრივად დასახლდებიან. აღარაფერს ვამბობ თბილისის ზღვაზე ჩინური ქალაქის მშენებლობაზე. თბილისის ქუჩებს უკვე ერთი შეხედვითაც ეტყობა, რომ საქმე ვერა გვაქვს კარგად: პეკინზე, რუსთაველზე, ვაკეში, პლეხანოვზე ხომ, საერთოდ, ჩვეულებრივი სურათია: წინ ერთი მამაკაცი და მის უკან 3-4 ფარანჯააფარებული ქალი**

და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მუსლიმი მიგრანტები გეომეტრიული პროგრესიით მრავლდებიან, მოკლე ხანში არაბი, თურქი თუ შავკანიანი მიგრანტები, რაოდენობრივადაც გადააჭარბებენ ხსენებული ქვეყნების აბორიგენ მოსახლეობას და ბებერი კულტურული ევროპა არსებობას შეწყვეტს.

შერეკილი ხუტა ოდიშელიძისა არ იყოს, თვალი დაუდგა ევროპას, არა? — კი, ბატონო, და ჩემგან, როგორც იმერეთში იციან, დავუმატებდი: „კისერიც მოუტეხია და კინჩხიც ზედ მიუყოლებია" ევროპასა და ამერიკასაც, მაგრამ ამდენი სწორედ იმიტომ ვისაუბრე ევროპაზე, რომ ქართველი საზოგადოებისთვის დამენახვებინა, რა გველის დემოკრატიის სახელით, თუ ჩვენში ბოლო პერიოდში მოძალებულ უცხოტომელთა უკონტროლო შემოდინებას წავუყრუვებთ. მიმოვიხედოთ, რა ხდება ჩვენ გარშემო — **კახეთში, ქართლში უკვე გაჩნდა უცხოტომელთა კომპაქტური დასახლებები. აგერ, თბილისთან ახლოს, კუმისში იყიდეს არაბებმა მიწა, რომელზეც მალე მასობრივად დასახლდებიან. აღარაფერს ვამბობ თბილისის ზღვაზე ჩინური ქალაქის მშენებლობაზე. თბილისის ქუჩებს უკვე ერთი შეხედვითაც ეტყობა, რომ საქმე ვერა გვაქვს კარგად: პეკინზე, რუსთაველზე, ვაკეში, პლეხანოვზე ხომ, საერთოდ, ჩვეულებრივი სურათია: წინ ერთი მამაკაცი და მის უკან 3-4 ფარანჯააფარებული ქალი.** თუმცა რაღა შორს მივდივარ?! აგერ, ჩემს სახლში, მრავალსართულიან კორპუსში, დოლიძის ქუჩაზე, კარის მეზობლად მოზამბიკიდან თუ კენიიდან ჩამოსული ზანგების ოჯახი მყავს.

არანაირ რასიზმსა და ქსენოფობიას არ ვქადაგებ, მაგრამ მათ ბინაში ცოტა ხნის წინათ ქუთაისელების ოჯახი ცხოვრობდა და, თუ მე აფრიკელებს იმერლები მირჩევნია კარის მეზობლად, ან არ მინდა, რომ ქართველები საქართველოში ეროვნულ უმცირესობად ვიქცეთ, ეს ფაშიზმი და ქსენოფობიაა?! თუ ასეა, მაშინ ფაშისტიც ვარ და ქსენოფობიც! ევროპის რიგმა ქვეყნებმა დემოკრატიის სახელით ეროვნული სუიციდი ჩაიდინეს და, სანამ მათ მსგავსად საქართველოსაც არ გადაულახავს უკან დასაბრუნებელი ხაზი, რაღაც უნდა ვიღონოთ ქართველებმა. ამ „რაღაცას" მხოლოდ „ქართული მარშის" აქციებით ვერ შევძლებთ. ჰოდა, ამ დროს რას აკეთებს „ქართული ოცნების" ხელისუფლება?

არჩევნებად წოდებული შაპიტოს ცირკით არის დაკავებული **კახა კალაძე**, რომელიც უეჭველად გამარჯვებული გამოვა ამ ცირკის არენიდან, მაგრამ წინასაარჩევნოდ ყასიდადაც (ანუ, ტყუილად) არ გვპირდება, რომ თბილისში მოაგვარებს უკანონო მიგრანტების პრობლემას.

**ნაცების საამაყო იუსტიციის სახლი კი უკონტროლოდ შტამპავს და ბეჭდავს უცხო ტომელებისთვის ე.წ. ბინადრობის უფლების თუ პირდაპირ მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთებს, რომელთა რაოდენობამ, თუ კახა კუკავასა და დიმიტრი ლორთქიფანიძის საარჩევნო კლიპს დავუჯერებთ, უკვე 200 ათასს გადააჭარბა. ნათქვამს თუ დავუმატებთ დემოგრაფ ანზორ თოთაძის მონაცემებსაც, რომელთა მიხედვით, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში საქართველოდან მილიონ-ნახევარი ქართველია გასული, დემოგრაფიული კატასტროფის რეალური საფრთხის წინაშე კი არა, უკვე დემოგრაფიულ კატასტროფაში ვართ.** ახლა მავანმა ნეოლიბერალმა დემაგოგმა შეიძლება დაგვამუნათოს, — თუ მიგრანტები გეომეტრიული პროგრესიით მრავლდებიან, ქართველებიც გამრავლდით, ვინ გიშლითო?! ამ „რკინისებურ არგუმენტზე" მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს: როგორც ზემოთ ევროპის მაგალითზე ვნახეთ, მიზეზთა გამო, მუმლივით ვერ მრავლდებიან ქრისტიანული კულტურული ერები.

ჰოდა, **ახლა რა ვქნათ? ევროპელებივით, დემოკრატია-ტოლერანტობის სახელით ნებაზე მივუშვათ უკონტროლო მიგრაციის პროცესი და ერთ მშვენიერ დღეს სამშობლოში ქართველები ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ?** ეს ხომ დემოკრატიის სახელით ქართველი ერის თვითმკვლელობა (სუიციდი) იქნება?

საზოგადოებას შევახსენებ, გრანდიოზული „ქართული მარშით" შეშინებულმა ნაცებმა და მათთან ასოცირებულმა სხვა ლიბერასტებმა, როგორი დემაგოგიური შინაარსის პლაკატებით ჩაიარეს პლეხანოვზე: „ქართველები სტუმართმოყვარე ხალხი ვართ"; „საქართველო სტუმარ-მასპინძლის ქვეყანაა" და ა.შ. ჰოდა, ამიტომ უნდა მოვაღიაოთ ჩვენი საზღვრები და, ვისაც მოეპრიანება, შევიდეს და გამოვიდეს? ან სად სტუმარმასპინძლობა და სად უკანონო მიგრაცია?! სტუმარი ბოლოს თავის სახლში ბრუნდება, ხოლო მიგრანტები სამუდამოდ აპირებენ აქ დარჩენას. აქედან გამომდინარე, ეს, სტუმრობა კი არა, საქართველოს უსისხლო ოკუპაციის დასაწყისია და ჩვენს ლიბერალ-დემოკრატებს, რომლებიც დღედაღამ რუსეთის ოკუპანტობაზე ღნავიან, მინდა, ვკითხო: რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ტანკებით დაგვიპყრობენ თუ დემოკრატიის სახელით უკანონო მიგრანტების ჩამოსახლებით?

თუმცა არა, ერთი „უმნიშვნელო" განსხვავება მაინც არსებობს: თუ რუსეთი ოკუპანტია, ერთმორწმუნე მაინც არის და ვერც გამრავლების ტემპით დაიტრაბახებს, რადგან რუსები ქართველებივით ქრისტიანი, კულტურული ერის შვილები არიან...

**დავით მხეიძე**

**P.S.** **მსგავსი საფრთხის წინაშე ყოფნა არახალია ქართველისთვის...**

**მაგალითად XVII საუკუნეში ირანის შაჰის მიერ მომთაბარე თურქმანი ელების ტომის 50 ათასი ოჯახის (ჯამში, სულ ცოტა, 200 ათასი სულის) კახეთში, ალაზნის ნაყოფიერ ველებზე დასახლების ფაქტიც კმარა. მართლაც ფაროსანასავით მოედვნენ ალაზნის ნაპირებს ნახევრად ველური ელები და სწორედ ამიტომ 1659 წელს შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის მეთაურობით იფეთქა ბახტრიონის აჯანყებამ. როგორც დამთავრდა ეს ბრძოლა, ცნობილია — აჯანყებულებს, რომ იტყვიან, ამბის მიმტანიც არ დაუტოვებიათ ცოცხალი, მაგრამ ახლა სხვა დროა და, რა თქმა უნდა, არავინ ჩაიდენს მსგავს რამეს. დასასრულ, ლირიკულ-ისტორიული გადახვევა იმ იმედით, რომ, ასე იქნება თუ ისე, უფალი დაიფარავს საქართველოსა და ქართველ ერს დემოკრატიის სახელით თვითმკვლელობისგან.**

**ხალხი 4 წლის განმავლობაში ჯიუტად უმტკიცებდა საკუთარ თავს, რომ ქვეყანაში დიდი აღმშენებლობა მიდის და მილიარდერის მიერ დანაპირები კარგი ცხოვრება უდავოდ მოვა. მხოლოდ მე-4 წლის ბოლოს დაინახეს (ცხადია, არა ყველამ), რომ დაპირებული კარგი ცხოვრება ისეთივე ტყუილი იყო, როგორც წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი მილიონი სამუშაო ადგილი.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შევარდნაძეები, სააკაშვილები, ივანიშვილები მიდიან და მოდიან — ქართული მიწა კი ქართველ ერს უნდა დარჩეს!

## «გაჩუქებული საქართველოს აღარ დაუბრუნდება. ის ივანიშვილის საკუთრება ხდება და მის შვილებს, შვილიშვილებს გადაეცემა»

**გასული კვირის საკითხებიდან ერთმა მიიპყრო ჩემი ყურადღება და არა მხოლოდ ჩემი, არამედ ყველასი, ვინც ქვეყნის კეთილდღეობასა და მომავალზე არა ზერელედ, არამედ სერიოზულად ფიქრობს. მხოლოდ ფიქრი არ უშველის ამ ქვეყანას, საქმეა გასაკეთებელიო, — იტყვის მავანი, მაგრამ როგორ და რა გზით, ამაზე დუმილს არჩევს, ვინაიდან არსებული პოლიტიკური სისტემის შესაცვლელად საზოგადოებას ძალა არ ჰყოფნის. გარდა ამისა, პერმანენტული იმედგაცრუებაც თრგუნავს, განვლილი 25 წლის განმავლობაში რომ იწვნია.**

მოსახლეობას განსაკუთრებული იმედგაცრუება დაეუფლა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც გამარჯვებულმა გულწრფელად იფიქრა, — მორჩა საშინელება, წყვდიადი, ახლა იწყება აღორძინება, წარმატებული ცხოვრება და სიკეთეო. ხალხი საარაკო მომავლის იმედს ამყარებდა ლამის ეროვნულ გმირად, ურჩხულის კლანჭებიდან გამომხსნელად შერაცხილ **ბიძინა ივანიშვილზე.**

ხალხმა დაიჯერა ივანიშვილის მიერ წარმოდგენილი ეტაპობრივი განვითარების მოდელი, რომლის მიხედვით, „ოცნების" მმართველობის მე-4 წელი საყოველთაო ბედნიერებისა და დოვლათის მომტანი უნდა ყოფილიყო.

ხალხი ვერაფრით დაიჯერებდა, რომ სააკაშვილის დამმარცხებელი ცოტათი მაინც არ გაირჯებოდა ქვეყნის სასიკეთოდ. **ხალხი 4 წლის განმავლობაში ჯიუტად უმტკიცებდა საკუთარ თავს, რომ ქვეყანაში დიდი აღმშენებლობა მიდის და მილიარდერის მიერ დანაპირები კარგი ცხოვრება უდავოდ მოვა. მხოლოდ მე-4 წლის ბოლოს დაინახეს (ცხადია, არა ყველამ), რომ დაპირებული კარგი ცხოვრება ისეთივე ტყუილი იყო, როგორც წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი მილიონი სამუშაო ადგილი.** დაინახა და იფიქრა ვითარების შეცვლაზე, მაგრამ როგორ?

განვლილი 4 წლის განმავლობაში მმართველმა „ოცნებამ" არა მხოლოდ პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში განიმტკიცა პოზიციები, არამედ სასამართლო სისტემაში, ადგილობრივ მმართველობაში, მედიაში — ყველგან, რასაც ხელისუფლება, ძალაუფლება ჰქვია. ესეც არ იკმარა და კონსტიტუციასაც მიადგა — მოჭრა საკუთარ თარგზე, მიუხედავად ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან წამოსული კრიტიკისა.

ბოლო 25 წლის განმავლობაში სრული თავისუფლება მიიღო ე.წ. ბიზნესმა, საბანკო სისტემამ. ხელისუფლებამ მათ კონტროლზე უარი თქვა, როგორც საბაზრო ეკონომიკისთვის მიუღებელზე. უფრო მეტიც, ისე ჩაეხუტა მათ, როგორც სიამის ტყუპი. სხვა არც იყო მოსალოდნელი ივანიშვილის ხელისუფლებისგან. ცნობილი გამოთქმა „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს" ისე ამოქმედდა, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა ვერც ერთი ქვეყნის ბიზნესმენი.

დემოკრატიის პირველი წყარო — ხალხი, როგორც ყოველთვის, ბოლო 25 წლის განმავლობაში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას მხოლოდ არჩევნების წინ ტრაფარეტულად იხსენებენ ქვეყნის 200-ზე მეტი პარტიის წარმომადგენლები საჯარო გამოსვლისას საკუთარი სიტყვისთვის მოჩვენებითი ელფერის მისაცემად.

ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე ყველა პარტია, განსაკუთრებით „ქართული ოცნება", დროს არ კარგავს და ხალხს ხვდება ისე, როგორც წინა ადგილობრივი არჩევნების დროს; ისევ ჰპირდება კარგ ცხოვრებას, არჩევნებიდან არჩევნებამდე მოუგვარებელი პრობლემების გადაწყვეტას.

პრობლემებიც იგივეა, რაც წინა არჩევნების დროს — უწყლობა, უგზოობა, დაუსაქმებლობა, მაღალი კომუნალური გადასახადები, უმწეოთა დახმარების გაუქმება, გაძვირებული მედიკამენტები და ა.შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო...

წლების განმავლობაში გადაუწყვეტელ პრობლემებს ახალი ემატება და, საერთო ჯამში, იმდენი იყრის თავს, რომ, საქართველოს მწირი ბიუჯეტი კი არა, აშშ-ის ბიუჯეტიც ვერ გაწვდება. ასე იცის ხელისუფლების მიერ დაპირების გადავადებამ.

**მე-5 წელიწადია, ივანიშვილის მეთაურობით ვცხოვრობთ, უფრო სწორად მის მიერ შერჩეული ხელისუფლების, მაგრამ ასატანი ცხოვრების ნიშანწყალი არ ჩანს. ისევ გაუსაძლისი ყოფა, იმედგაცრუებული ხალხის ხმამაღალი წუწუნი, უკმაყოფილება, ისეთი, როგორიც იყო სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. ყოველივე ამას ემატება მამამარჩენლის დაუოკებელი სიხარბე, მომხვეჭელობა, სახელმწიფოს ხარჯზე საკუთარი ქონების გაზრდა, საზოგადო, საქვეყნო საქმის უგულებელყოფა.**

მხოლოდ გონგამოცლილი ადამიანი თუ შეძლებდა, ისედაც მის წინააღმდეგ განრისხებული ხალხის კიდევ უფრო განრისხებას სახელმწიფოს მიწების პირად საკუთრებაში გადაფორმებით.

**არჩევნების წინ არც ივანიშვილი და არც მისი მოჯამაგირე ხელისუფლება ასეთ რამეს არ უნდა აკეთებდნენ, მაგრამ აკეთებენ, ვინაიდან 100%-ით არიან დარწმუნებული გამარჯვებაში. რატომ, რა აძლევს მათ თავდაჯერების საფუძველს? — ადმინისტრაციული რესურსი, ხალხის მოსყიდვა, დაშინება, დაპირებები, სურსათისა და პროდუქტების ჩამორიგება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების ისეთი შედეგების გამოცხადება, როგორიც ივანიშვილსა და მის მოჯამაგირეებს სურთ...**





ასეთია ჩვენი სანაქებო დემოკრატია. საინტერესოა, როგორ შეაფასებს საქართველოში აკრედიტებული აშშ-ის საელჩო ივანიშვილისთვის, ყოველგვარი საფასურის გარეშე, პუშკინის სკვერისა და ვითომ ბოტანიკური ბაღის ტერიტორიების გადაცემას.

საქართველოს უძრავი ქონების, მათ შორის, მიწის კერძო პირისთვის ერთ ლარად გადაცემა, კარგა ხანია, პოპულარულია და ამით არა მხოლოდ „ოცნების" ხელისუფლებაა გამორჩეული, არამედ სააკაშვილის ხელისუფლებაც, რომელიც ერთი ხელის მოსმით, ერთ ლარად გასცემდა სახელმწიფოს კუთვნილ შენობა-ნაგებობებს, ნოყიერ სასოფლო-სამეურნეო მიწებს.

ასე აღმოჩნდა სააკაშვილის მამის, დედის, ნაცნობების, უცხოელების საკუთრებაში მიწის ნაკვეთები, სახლები, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებების შენობა-ნაგებობები. ის-ის იყო ვიფიქრეთ, სააკაშვილის აღვირახსნილობას წერტილი დაესმებოდა, რომ წინამორბედის საქმიანობა ივანიშვილმა განაგრძო.

გულუბრყვილო ხალხი ვერასდროს იფიქრებდა, რომ მილიარდერი ივანიშვილი უსასყიდლოდ მიიერთებდა მიწას, პირიქით — ეგონა, რომ ივანიშვილი თავის საკუთრებაში არსებულ მიწას სახელმწიფოს აჩუქებდა. აი, რას ამბობენ „ივანიშვილები": პუშკინის სკვერის ქვეშ სამსართულიან ავტოპარკინგს აკეთებს და ამისთვის სჭირდება ეს ტერიტორიაო.

სამსართულიანი პარკინგის გაკეთება მიწისქვეშა კომუნიკაციებით გადატვირთულ ადგილას, ხუმრობა საქმე არ არის. დარწმუნებული ვარ, მშენებლობის საკითხი არც გეოლოგებთან და არც სხვა დარგის სპეციალისტებთან არ იქნება შეთანხმებული. შედეგი კი იქნება სავალალო, ისეთი, როგორიც ე.წ. დეზერტირების ბაზრის დანგრევას მოჰყვა სააკაშვილის მმართველობისას — ვიღაცას მოუნდა ბაზრის ტერიტორიაზე მაღლივი შენობის აშენება. დაანგრიეს ბაზარი და ის-ის იყო მშენებლობის დაწყებას აპირებდნენ, მეტროპოლიტენის გვირაბმა შეუშალა ხელი.

ნაბაზრალის ადგილას მტვერსა და ჭუჭყში განთავსდა სტიქიური ბაზარი. მისი არსებობა კარგა ხანს გაგრძელდა და ბოლოს ქალაქის მერიამ ისევ ბაზარი ააშენა — ყოვლად უსახური, მოუხერხებელი, ისეთი გამოუსადეგარი, მოვაჭრეს რომ არ იზიდავს. აფსუს, ძველი, ისტორიული ბაზრის შენობავ?!

პუშკინის სკვერი ხელოვნების მუზეუმის შენობას ესაზღვრება, ასევე ისტორიულს, შესანიშნავ ნაგებობას. ამ შენობაში იყო სასულიერო სემინარია, სადაც **სტალინი** სწავლობდა. შენობა, კარგა ხანია, ითხოვს საძირკვლის გამაგრებას, კაპიტალურ რემონტს და ისეთად გადაკეთებას, იქ არსებული უნიკალური ექსპონატების შესაფერისი რომ იყოს.

**ერის კულტურის საგანძურია გამოფენილი ამ მუზეუმში, ერთობ შეუფერებელ შენობაში მუზეუმისთვის. პარკინგის მშენებლობისას მიწის რყევა და სამშენებლო სამუშაოები უდავოდ იმოქმედებს მუზეუმის ისედაც მორყეულ საძირკველსა და კედლებზე. იფიქრა ვინმემ ამაზე?!**

ისე კი, სასტუმრო, რომელსაც ივანიშვილი აშენებს „ცეკავშირის" შენობის ადგილას, ცხადია, უცხოელებზეა გათვლილი, მათზე, ვინც ქართული კულტურისა და ისტორიის გასაცნობად იქვე მდებარე მუზეუმში შეივლის. შეივლის და რა დახვდება? — მუზეუმისთვის შეუფერებელი ვითარება.

დარწმუნებული ვარ, ივანიშვილს არასდროს შეუხედავს ამ მუზეუმში, არც „ივანიშვილებს", თორემ ეს მუზეუმი ასეთ დღეში არ იქნებოდა. და, თუ შეუხედავთ და ასეთ დღეშია, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არც მუზეუმი აინტერესებთ და არც ქართული ისტორიისა და კულტურის გაეგებათ რამე.

**მილიარდერი, რომელიც მილიონებს ყრის სასტუმროს მშენებლობაში, თეთრსაც არ იმეტებს, რომ ერის კულტურის ამსახველი მუზეუმი ნორმალურად მუშაობდეს.**

**პუშკინის სკვერი და მისი შემოგარენი დედაქალაქის გულია. მისი გაყიდვა კერძო პირზე დაუშვებელია. ეს უნდა ესმოდეს, როგორც ქალაქის მესვეურებს, ისე ხელისუფლებას, რაც მთავარია ივანიშვილს. ეს ის ადგილია, რომელიც ფულზე არ უნდა გაიყიდოს ან გადაეცეს კერძო პირს საჩუქრად, რაც უნდა დიდი დამსახურება ჰქონდეს მას ქვეყნის წინაშე.**

ივანიშვილს ქვეყნის წინაშე მხოლოდ ის „დამსახურება" აქვს, რომ ძუძუმწოვარა ბავშვივით მოატყუა მთელი ერი.

**საქართველოს ხელისუფლება, საზოგადოების ნაწილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ, დღეს თუ არა, ხვალ უდავოდ ვიქნებით ნატოსა და ევროკავშირის წევრები. მითხრას ვინმემ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ან აშშ-დან, აქვს თუ არა უფლება მათი ქვეყნის მეთაურს, ასე ჰაიჰარად, ერთ ლარად ან თუნდაც მილიონ დოლარად, აჩუქოს ან მიჰყიდოს ქვეყნის დედაქალაქის გული რომელიმე მილიარდერს?**

ვერც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ვერ ნახავთ ისეთ მაგალითებს, როგორიც იყო სააკაშვილის მიერ ერთ ლარად მიწის, უძრავი ქონების ჩუქება საკუთარი ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე ან „ოცნების" ხელისუფლების მიერ ივანიშვილისთვის მიწის ჩუქება თბილისში, აჭარაში, გურიასა და სხვაგან. ესოდენ ფეოდალური დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნისა და ხალხისადმი არის თუ არა დასაგმობი? არის თუ არა ასეთი ხელისუფლება ნატოსა და ევროკავშირში მისაღები?

მაგრამ არა, აქ აკრედიტებულ ელჩებს, ისევე, როგორც მათ ხელისუფლებას, მსგავსი საკითხები, დაკავშირებული ერის კულტურასთან, თვითშეგნებასთან, საზოგადოებრივ აზროვნებასთან და პასუხისმგებლობის განვითარებასთან, არ აწუხებთ. ის, რაც მათ უნდათ საქართველოსგან, მარტივია — რუსეთის წინააღმდეგ მწვავე, ცილისმწამებლური განცხადებები, რუსეთისთვის მსოფლიოში ცუდი იმიჯის შექმნა. შევარდნაძეები, სააკაშვილები, ივანიშვილები მოდიან და მიდიან. უკვდავი არავინ არის. მართალია ის ხალხი, რომელიც ამბობს, ივანიშვილი ამ მიწას სამარეში ხომ არ წაიღებს — გაალამაზებს, გააშენებს და ისევ საქართველოს დარჩებაო? — არა! გაჩუქებული საქართველოს აღარ დაუბრუნდება. ის ივანიშვილის საკუთრება ხდება და მის შვილებს, შვილიშვილებს გადაეცემა. ხეები, რომლებიც ივანიშვილმა თავის ბაღჩაში გადაიტანა, ქვეყნისა და ხალხისთვის დაიკარგა.

ზემომოყვანილი სავალალო მაგალითები მომავალშიც გაგრძელდება და, თუ ამ აღვირახსნილობას კანონით არ დაესვა წერტილი, ქართველ ხალხს მალე საცალფეხო ბილიკიც აღარ დარჩება გასავლელად. კანონია საჭირო აღნიშნულის აღსაკვეთად, მაგრამ ასეთ კანონს ეს ხელისუფლება არ მიიღებს, ისევე, როგორც მომავალში სხვა ხელისუფლება, ვინაიდან ქვეყნის ხარჯზე ახლობლებისა და საკუთარი თავის დაკმაყოფილება მასაც მოუნდება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

ჩეკლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკვე მერამდენედ დავტრიალდებით ძველ წრეზე, მერამდენედ ავიღებთ საგარეო ვალს ამერიკისგან, მერამდენედ გავივლით გაჭირვებას და შემდეგ გაგვიკვირდება, ცოცხლები რომ ვართ; მერე, როცა ამერიკული და ევროპული ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი რეჟიმი ყელში ისე მოგვიჭერს, რომ სუნთქვა შეუძლებელი იქნება, ციხეები ისევ ჯოჯოხეთად რომ გადაიქცევა, ისევ მოხდება მშვიდობიანი ჯანყი, ისევ სირაქლემას პოზაში იქნებიან ევროპელები და ამერიკელები და ისევ გაგვიშვებენ იმ წრეზე, რომელზეც რამდენჯერმე უკვე ვიყავით და, ისე ჩანს, ვერასოდეს გამოვალთ; ვერ გამოვალთ, სანამ არ მივხვდებით, რომ არც ევროპას და არც ამერიკას რეალურად არ აინტერესებთ, რა ხდება საქართველოში.**

# აშშ-ის «იმედგაცრუებული» ელჩი სირაქლემის პოზაში

**საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის ვეტო დაძლია და ახალი კონსტიტუცია მიიღო. ახლა პარლამენტი პრეზიდენტის ხელმოწერის მოლოდინშია და, დიდი ალბათობით, გიორგი მარგველაშვილი მის მიერვე ვეტოდადებული დოკუმენტის ხელმოწერაზე უარს იტყვის, ამიტომ კონსტიტუცია ძალაში ირაკლი კობახიძის ხელმოწერით შევა.**



ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, დიდი ხანია, უკვე ერთი უცნაური ტენდენცია დამკვიდრდა: როცა ევროპული ორგანიზაციები რეკომენდაციებს იძლევიან ან საქართველოში მიმდინარე პროცესებზე დასკვნას აქვეყნებენ, ხელისუფლება და ოპოზიცია ერთსა და იმავე დოკუმენტს სხვადასხვანაირად კითხულობენ.

ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც: **ვენეციის კომისიის დასკვნა ხელისუფლებამ სათავისოდ წაიკითხა, ოპოზიციამ — სათავისოდ და, თუ უმრავლესობა ამტკიცებს, ვენეციის კომისიას იდეალური დასკვნა აქვსო, ოპიზიცია უკიჟინებს, ვენეციის კომისიამ მიწასთან გაგასწორათო. როგორც ჩანს, ვენეციის კომისია ისე იქცევა, როგორც, საზოგადოდ, იქცევიან ხოლმე ევროპისა და ამერიკის წარმომადგენლები — არც მწვადს წვავენ, არც შამფურს და ნახშირად ქცეული ხალხი სულაც არ აინტერესებთ, ნახშირი ხომ ფერფლად იქცევა ბოლოს და ქარი წაიღებს?!**

ვენეციის კომისიის დასკვნაში ცუდიც წერია და კარგიც, ცუდზე კი აქცენტი ამერიკის ელჩმაც გააკეთა:

**„საელჩო მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ქმნის ძლიერ საფუძველს ხანგრძლივი და მტკიცე რეფორმებისთვის, როდესაც ამ ცვლილებებზე საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების ფართო კონსენსუსი არსებობს. საელჩო იზიარებს ვენეციის კომისიის შეფასებას და მტკიცედ უჭერს მხარს კომისიის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს. ჩვენ იმედგაცრუებული ვართ, რომ მხარეებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს“.**

ეს დაახლოებით იმას ჰგავს, „ცისფერ მთებში“ კომისიის ერთ-ერთი წევრი რომ ამბობს, ნაწარმოები წაკითხული არ მაქვს, მაგრამ, რა დასკვნასაც მიიღებთ, ვეთანხმებიო. ანუ: ამერიკის საელჩო ეთანხმება ვენეციის კომისიის დასკვნას და, წაკითხული აქვს თუ არა **იან კელის** დასკვნა, ნამდვილად ვერ გეტყვით. ვერ გეტყვით იმიტომ, რომ ამერიკის ელჩებს ხშირად ისეთი განცხადებები გაუკეთებიათ, რეალობას რომ იყო აცდენილი, მაგრამ ქართულ მედიას განგაში არ აუტეხავს, რადგან ამერიკა ხომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ბოლოს და ბოლოს, აგვისტოს ომის დროს პამპერსები და წყალი მოგვაწოდა სასწრაფოდ. ისე, **სააკაშვილის მიერ გორში მიწაზე ფორთხვაში გამართული მარათონის შემდეგ პამპერსების მოწოდებაში ლოგიკა აშკარად იყო. იფიქრეს, ალბათ, ამერიკელებმა: რაც ქვეყნის ლიდერი — ის ერიო, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ ქვეშაფსია მხოლოდ მიშა იყო, მაგრამ რა უნდა ექნათ?! თავიანთ პროექტს ბოლომდე გაჰყვნენ.**

სააკაშვილი ტყუილად არ გვიხსენებია. ამერიკის ელჩი რომ ამბობს, იმედგაცრუებული ვარ, კომპრომისი რომ ვერ მოხერხდაო, **სად იყო აშშ-ის საელჩო და ელჩი 2008 წლის 8 აგვისტოს, როცა პროვოკაციაში ჩართო მთელი ქვეყანა მათმა პროექტმა? ან მაშინ სად იყვნენ, მშვიდობიანი აჯანყება რომ მოხდა და ხელისუფლებას, რომელიც ხალხზე ძალადობდა, ხალხმა არა უთხრა?!**

როცა ტელევიზიებმა წამების ამსახველი კადრები გაავრცელეს, ამერიკის საელჩომ იმედგაცრუება არ გამოხატა, ევროპელებმა კი... ევროპელებმა, მგონი, სიამოვნებითაც უყურეს ამ ყველაფერს, ისინი ხომ ლიბერალები არიან, ისინი ხომ იმას გვიკიჟინებენ: თუ სადმე ნახვრეტი გაქვთ, თავი არ დაზოგოთო... **მაშინ სად იყო საელჩო და ევროპა, როცა სააკაშვილის რეჟიმმა კამბოჯის დიქტატორი პოლ პოტი და უგანდის დიქტატორი იდი ამინი დაჩრდილა? როცა სისხლში ჩაახშო არაერთი მშვიდობიანი აქცია, როცა სასჯელაღსრულების დაწესებულება ჯოჯოხეთად აქცია, როცა ერი, მთელი ერი კრიმინალად გამოაცხადა? მაშინ სად იყვნენ პატივცემული ბატონები?** თუ მხოლოდ **მეთიუ ბრაიზას** ანგარიშებს ენდობოდით, იმ ბრაიზასი, რომელიც არაერთხელ გულუხვად დაასაჩუქრა იმჟამინდელმა ხელისუფლებამ და, როგორც ამბობენ, ქორწილიც კი გადაუხადა? მიშა ისეთი მონდომებული იყო ბრაიზას პატივისცემით, რომ მიეშვათ, პირველ რამეშიც შეეხიდებოდა. არ დამიწყოთ ახლა, — ცოტა კორექტული იყავიო. არ იყო არც სააკაშვილი კორექტული, არც ამერიკის ელჩი და არც ევროპა. კორექტული კი არა, თუ რამე გვაქვს შერჩენილი ეროვნული, იმასაც გვართმევდნენ, სწორედ ეროვნულის გათელვა სურდათ ფეხქვეშ და ვერ აიტანეს, რომ ერმა წინააღმდეგობა გაუწია.

არ იფიქროთ, თითქოს მიღებული კონსტიტუცია მოგვწონს და ტაშს ვუკრავთ. არა, ბატონებო, კონსტიტუცია, რომლის ძალაში შესვლისთანავე დაიწყება მასში შესატან ცვლილებებზე მუშაობა (ეს ირაკლი კობახიძემ უკვე განაცხადა), რბილად რომ ვთქვათ, არ ვარგა, სერიოზულად კი, **დიქტატურისკენ მივდივართ დიდი ნაბიჯებით და ამას ყველა ხვდება. ხვდება ამერიკაც და ევროპაც, მაგრამ ხმამაღლა კი არ ამბობენ, დიქტატურისკენ მიდიხართო, არამედ „იმედგაცრუებულები“ არიან და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ, როცა დასჭირდებათ, თქვენ, დიქტ-** ▶

# ამოვიღოთ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან «სტუმარ-მასპინძელი», «შვლის ნუკრის ნაამბობი» და «ხმელი წიფელი»



**რამდენიმე წლის წინათ ვებგვერდ saqinform.ge-ზე ერთ-ერთი სტატია ასე იწყებოდა: „საქართველოში ინგლისური ენის მასწავლებლის, ტომას ფლეტჩერის, სახელი, რომელიც პროგრამა „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში ზუგდიდის №4 საჯარო სკოლაში ასწავლის, აღარავისთვისაა უცნობი. ფლეტჩერი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც სკოლის მოსწავლეებმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მისი სკანდალური ფოტოები ნახეს. მათ შორის იყო ფოტო, რომელზეც ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდა მასწავლებელს ხელში ე.წ. ფალოიმიტატორი უჭირავს და მას პირის ღრუში ითავსებს...“**

## ანუ რატომ არ არის ფლეტჩერსა და ჯეჯელავას შორის დიდი განსხვავება

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ნამდვილად ვერ გეტყვით, სად არის ამჟამად მისტერ (თუ მისის) **ფლეტჩერი** ან რას ითავსებს პირის ღრუში, მაგრამ მაშინ თვალებს ნაბავდა და ამბობდა, მე ფოტოები ბანანებთან ერთადაც მაქვს გადაღებული, ანუ ფალოიმიტატორის როლს ბანანი ასრულებს და პრობლემას ვერ ვხედავო... დღევანდელი გადმოსახედიდან, ხელისუფლება შეიცვალა, თორემ ბავშვებისთვის ხილის შერჩევის პროცედურები — არა. კომბლესა და კონკიას თემების მოლევის შემდეგ **ალექსანდრე ჯეჯელავამ** გადაწყვიტა, რომ ბავშვებმა მაინცდამაინც ვაშლი უნდა მიირთვან შესვენებაზე და თანაც მხოლოდ ისეთ სკოლებში, რომლებშიც ათას ბავშვზე მეტია, თორემ ფშავ-ხევსურეთში, რაჭასა და სვანეთში, სადაც კლასებში თითო-ოროლა ბავშვი დადის, ვაშლი რად უნდათ?! მით უმეტეს, განათლების მინისტრი მოქმედი სტუდენტების 30%-ს მაიმუნს ეძახის. ჰო, სწორედ ასე თქვა ჯეჯელავამ: **„სამი წლის წინათ ეროვნული გამოცდების ბარიერი ოცდაერთი ქულა იყო. ეს იმას ნიშნავს, სამი მაიმუნი რომ შეგეშვა და უბრალოდ შემოეხაზათ, ერთი მაინც ჩააბარებდა. ჩვენ ბარიერი ავწიეთ და ახლა შვიდი მაიმუნიდან ერთი აბარებს. ჩვენი მიზანია, მაიმუნებმა ვერ ჩააბარონ ეროვნული გამოცდები...“**. ანუ, სამი ათასი სტუდენტიდან, სულ ცოტა, ათასი, განათლების მინისტრის თქმით, მაიმუნია.

როგორც ჩანს, ვაშლების თემაც მოსწყინდა ჯეჯეს (მოფერებით ასე ეძახიან თურმე) და ახლა აკრძალული ხილიდან ლექსების აკრძალვაზე გადავიდა. ზღაპრები რომ არ მოეწონა, გავიგეთ, მაგრამ აი, გალაკტიონს თუ მიადგებოდა და თანაც თანამოაზრეებიც გამოუჩნდებოდნენ, ნამდვილად არ გვეგონა. სააგენტო exclusivenews.ge-მ ეს ინფორმაცია გაავრცელა:

**„მონტევიდეო ურუგვაის დედაქალაქია. შეუძლებელია, ქალაქს ხელთათმანი ეკეთოს, თანაც ვიწრო. სრულიად ვეთანხმები განათლების მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას, განცხადებას იმის თაობაზე, რომ გალაკტიონის ის ლექსები, რომლებიც შეიცავენ უზუსტობებს და რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში შეიძლება იყოს დაწერილი, უნდა ამოიღონ სასწავლო სახელმძღვანელოებიდან.**

„ლაჟვარდების კიდეო,
დაბურულო ზმანებით,
ლურჯო მონტევიდეო,
ვიწრო ხელთათმანებით“.
მართლაც, იისფერი თოვლივითაა!“

სააგენტოს ინფორმაციით, ეს განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე **რომან გოცირიძეს** ეკუთვნის. ჯეჯელავამ კი თქვა, გალაკტიონს ბევრი ლექსი სიმთვრალისას აქვს დაწერილი, უზუსტობებს შეიცავს და ამიტომ, სასკოლო მასალიდან უნდა ამოვიღოთო.

ეს კიდევ არაფერი, სატელევიზიო ეთერში ბატონმა ალექსანდრემ განაცხადა: **„ისეთი რაღაცები მახსოვს, რაც არაფერში გამომდგომია, დაჟე, თამადაც ვიყავი და ვთამადობდი და იქაც არ გამომადგა ეს ლექსების სწავლა. ავთანდილის ანდერძს გამოვყოფდი, ჩემთვის ესთეტიური სიამოვნების გამო, მაგრამ შუშანიკის საზეპიროები, ტრაგიკული, საშინელი, უარყოფითია. უხეთქნა და გაებუშტნა თვალი და დავილუპეთ, მგონია, რომ რაღაცა ის არის. მაგას კიდევ რა უჭირს, მენდელეევის ტაბულა წარმოიდგინეთ, როგორი სასიამოვნო დასაზეპირებელია და ვალენტობა ყველა ნივთიერების...“**

ანუ, სამომავლოდ, გალაკტიონის ლექსების შემდეგ, საზეპიროებსაც ამოვიღებთ სასკოლო მასალიდან და შეიძლება „ვეფხისტყაოსნიდან“ მხოლოდ ავთანდილის ანდერძი დავტოვოთ, რადგან ეს საზეპირო მინისტრს თურმე „ესტეთიურ“ სიამოვნებას ანიჭებს. სიმართლე გითხრათ, **ფლეტჩერსა და ჯეჯელავას შორის დიდი განსხვავება არ არის**, ისიც სიამოვნებას ეძებდა და ამხელა გზა გამოიარა, რაღაც განსხვავებული რომ გაესინჯა...

ამბობენ, გენიალური მხატვარი **ნიკო ფიროსმანი** სიმთვრალეში უფრო საინტერესოდ ხატავდა, ვიდრე სიფხიზლეშიო და ჯეჯელავასა და, გოცირიძის თვალით თუ შევხედავთ, ფიროსმანის შედევრებად აღიარებული ტილოები უნდა დავხიოთ და გადავყაროთ, — სიმთვრალეში აქვს კაცს დახატული და როგორ შეიძლება კარგი იყოს?!

**ვაჟა-ფშაველას** ჟიპიტაურის დალევა უყვარდა და ვერავინ დამაჯერებს, თავისი გენიალური პოემებიდან ერთი მაინც, სიმთვრალეში თუ არა, კაი შეზარხოშებულს არ დაეწეროს და ამოვიღოთ სასკოლო სახელმძღვანელოდან „სტუმარ-მასპინძელი“ ან „შვლის ნუკრის ნაამბობი“, რადგან როგორ შეიძლება, შვლის ნუკრი ლაპარაკობდეს?! „ხმელი წიფელიც“ ამოვიღოთ, არც ხმელი წიფლის განცდების აღწერა შეუძლია ფხიზელ გონებას და საერთოდ, ბატონო ალექსანდრე, ეს ჩვენი გენიალური მწერლები, მგონი, საერთოდ, უნდა ამოვიღოთ სახელმძღვანელოებიდან და წიგნები, უფრო სახალისო საკითხავი რომ გახდეს, მარტივი ნახატებით შევავსოთ, თან დავაწეროთ — გააფერადეთ! **„დედა ენიდან“ ამოვიღოთ „აი ია“ და პირდაპირ დავიწყოთ: „აი ვაშლი“. ხომ უნდა იცოდნენ ბავშვებმა, რას ჭამენ?!**

ვიღაცას, შესაძლოა, ეს ხუმრობა ეგონოს და ისიც ეგონოს, რომ ყველაფერი მარტივად არის, მაგრამ რეალურად განათლების სისტემა ინგრევა. საქართველო არასოდეს უჩიოდა მსოფლიო დონის მეცნიერების დეფიციტს, მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლებიც გვყავს და მხატვრებიც, მაგრამ ახლა, ასეთი მიდგომით, მსოფლიოს დონე კი არა, შეიძლება ჯეჯელავას ნათქვამი გამართლდეს: — აბიტურიენტები, სტუდენტებად და შემდგომ განათლებულ ადამიანებად კი არა, მაიმუნებად იქცნენ.

საინტერესოა ისიც, რომ განათლების მინისტრს მხარი „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის ლიდერმა აუბა, ანუ წინა ხელისუფლებამ რისი საბოლოოდ დანგრევაც ვერ მოახერხა, ახალი ხელისუფლების ხელით ცდილობს და პრინციპში, მცდელობა რად უნდა, მიაყენეს ჯეჯელავა თავისი შესაძლებლობებით განათლებას და ისიც ნელ-ნელა, მაგრამ საფუძვლიანად ანგრევს ნაშენებს.

ზემოთ ავთანდილის ანდერძი ვახსენეთ, რომელიც თურმე ჯეჯელავას მოსწონს და, **ბატონო ალექსანდრე, „ვეფხისტყაოსანიც“ ამოსაღებია სასკოლო სახელმძღვანელოდან. საიდან** ▶

**„ლიბერი იყო ლოთობისა და მეძავობის რომაული ღვთაება, რომლის სახელიც დაკავშირებულია ყველანაირ უზნეობასთან. აი, ამ უზნეობას თესავენ ქართველ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალ თაობაში ის ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ტოლერანტები უნდა ვიყოთ ყველანაირი გადახრის, ცოდვისა და უზნეობის მიმართ, რომ თურმე ყველაფერი ნორმალურია, რისი სურვილიც ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს“.**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ატურას ვებრძვით, და ის სცენარი განახორციელონ, რომელიც 2003 წელს გამოიყენეს და სათავეში მოიყვანეს მათ მიერ მართული შიზოიდი, რომელმაც ერის დაჩოქება და დამონება გადაწყვიტა.**

უკვე გაისმა მოწოდებები, რომ ხელისუფლება არ ტოვებს გზას, მშვიდობიანად შეიცვალოს და... გამოვა მერე ელჩი და განაცხადებს, მე ხომ ვთქვი, რომ იმედგაცრუებული ვიყავი კონსენსუსის არარსებობით და ეს ყველაფერი ამის შედეგიაო. ჰოდა, **უკვე მერამდენედ დავტრიალდებით ძველ წრეზე, მერამდენედ ავიღებთ საგარეო ვალს ამერიკისგან, მერამდენედ გავივლით გაჭირვებას და შემდეგ გაგვიკვირდება, ცოცხლები რომ ვართ; მერე, როცა ამერიკული და ევროპული ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი რეჟიმი ყელში ისე მოგვიჭერს, რომ სუნთქვა შეუძლებელი იქნება, ციხეები ისევ ჯოჯოხეთად რომ გადაიქცევა, ისევ მოხდება მშვიდობიანი ჯანყი, ისევ სირაქლემას პოზაში იქნებიან ევროპელები და ამერიკელები და ისევ გაგვიშვებენ იმ წრეზე, რომელზეც რამდენჯერმე უკვე ვიყავით და, ისე ჩანს, ვერასოდეს გამოვალთ.** ვერ გამოვალთ, სანამ არ მივხვდებით, რომ არც ევროპას და არც ამერიკას რეალურად არ აინტერესებთ, რა ხდება საქართველოში.

**ბესო ბარბაქაძე**

◀ **უნდა სცოდნოდა შოთა რუსთაველს, რა ხდებოდა შორეულ არაბეთში და ქაჯეთის ციხე ხომ, საერთოდ, მისი ფანტაზიის ნაყოფია?! რა გამოდის, როცა „ვეფხისტყაოსანს“ წერდა, შოთაც მთვრალი იყო?!** მე თუ მკითხავთ, საკანონმდებლო ინიციატივით უნდა შევიდეს ჯეჯელავა პარლამენტში და კანონით უნდა აიკრძალოს სიმთვრალეში რაიმე შემოქმედებითი საქმის კეთება, ან უფრო მეტიც: როცა რომელიმე პოეტი ლექსის დაწერას დააპირებს, ჯერ პატრულს უნდა გამოუძახოს, ალკოტესტი გაიაროს და შემდეგ, ასევე პატრულის თანდასწრებით დაიწყოს წერა, შემთხვევით, მათი წასვლის შემდეგ რომ არ გადაჰკრას. და, საერთოდაც, მართვის მოწმობების დარად, უნდა შემოვიღოთ ლექსის საწერი მოწმობები და მათზეც ასასი ქულა დავრიცხოთ. რომელ პოეტსაც ნასვამ მდგომარეობაში ლექსის წერისას წაასწრებენ, ქულებს ჩამოაჭრიან და მშვიდად ვიქნებით ჩვენც, გვეცოდინება, რომ, გალაკტიონის დარად, ვინმე სიმთვრალეში არ შექმნის „იისფერ თოვლს“ და „ლურჯა ცხენებს“...

თქვენი არ ვიცი და, მე დიდი **მუხრანის** ერთი ლექსი გამახსენდა:

**„ვინც ილხენს ახლა,**
**უფრო ცოდოა, —**
**ვიდრე ის ბევრი,**
**ახლა ვინც ტირის...**
**ამგვარში,**
**დღეს რომ საქართველოა,**
**არც სიცოცხლე ღირს**
**და არც სიკვდილი!“**

ჰოდა, სიმთვრალეში დაწერა ეს ლექსი დიდმა პოეტმა თუ სიფხიზლეში, ჯეჯელავამ არკვიოს... გოცირიძემაც...

**ბესო ბარბაქაძე**



# მამა გიორგი (რაზმაძე): გამოაცხადონ საჯაროდ, რომ მრუშების, მეძავების, ლესბოსელებისა და ჰომოსექსუალების ხელისუფლებაა და ხალხი გააკეთებს არჩევანს

## «ქრისტეს მოციქულთა შორისაც იყო გამცემი, რომელმაც უფალი გაყიდა და სასულიერო პირებში რომ გამყიდველი აღმოჩნდეს, რა გასაკვირია»

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ რამდენიმე დღის წინათ თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის სკოლის დირექტორის მიერ სასწავლო დაწესებულებაში ორი მუსლიმი მოსწავლის ჰიჯაბით არშეშვებას გამოეხმაურა და სახალხო დამცველს ფაქტზე რეაგირებისკენ მოუწოდა.**

ორგანიზაციის განცხადებით, დირექტორი აღნიშნული ქმედებით მოსწავლის რელიგიურ გრძნობებს შეეხო და სკოლის დირექციამ დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოს განაწესის ის მუხლები, რომლებიც მოსწავლისგან სკოლაში ქუდის, კეპის, ბენდენის ან თავსახვევის ტარების აკრძალვას ითხოვს. თავის დროზე, როცა განათლების სამინისტრომ, რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის მოტივით, სკოლებიდან ხატები გაიტანა და ამით, ფაქტობრივად, აკრძალა სამლოცველო კუთხეები სასწავლო დაწესებულებებში, ამას საზოგადოების მძაფრი პროტესტი მოჰყვა. მიუხედავად ამისა, მაშინ არც ერთ უფლებადამცველ ორგანიზაციას, მათ შორის არც საიას, თავისი პოზიცია არ გამოუხატავს, როცა სახელმწიფო მოსახლეობის, სულ ცოტა, 80-90 პროცენტის რელიგიურ გრძნობებს არად აგდებდა; ეს მაშინ, როცა იგივე უფლაბადამცველი ორგანიზაციები გამუდმებით საუბრობდნენ დედაქალაქსა თუ რეგიონებში ახალ-ახალი მეჩეთების აშენების აუცილებლობაზე, სხვადასხვა რელიგიური კონფესიისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებასა თუ მათთვის ბიუჯეტიდან გარკვეული ფინანსების გამოყოფაზე. როგორც ჩანს, სკოლებში ჰიჯაბით სიარულის დაშვების მოთხოვნაც (სასწავლო დაწესებულების განაწესის უგულებელყოფის ხარჯზე) იმავე იდეოლოგიური დისკურსის გაგრძელებაა, რაც ცხადყოფს, რომ ამ ორგანიზაციების მთავარი ამოცანა არა, საზოგადოდ, ვინმეს ან რაიმე უფლებების დაცვა, არამედ კონკრეტული იდეოლოგიის, ამ შემთხვევაში დასავლური ულტრალიბერალური გლობალიზმის, სამსახურია.

კონკრეტულად რა ინტერესი და ამოცანა დგას არასამთავრობო სექტორის ძალისხმევის უკან, რათა ამა თუ იმ უმცირესობის უფლებებმა წინა პლანზე წამოიწიოს, ვინ ან რა ძალები მფარველობენ ამ პოლიტიკას მსოფლიოში და რას მოუტანს საქართველოს ეს ყველაფერი? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი **მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, თელავის რაიონის ერთ-ერთ სოფელში დირექტორის მიერ ორი მუსლიმი მოსწავლის სკოლაში ჰიჯაბით არშეშვებამ ჩვენი ე.წ. არასამთავრობო სექტორი განარისხა. მათი განცხადებით, აღნიშნული სკოლის განაწესი მუსლიმანებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს, რადგან იგივე განაწესი ქრისტიან მოსწავლეებს ჯვრის ტარებას არ უკრძალავს, ანუ ეს ორგანიზაციები ჯვრის ტარების აკრძალვას ითხოვენ... რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— დავიწყოთ იმით, რომ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ სამპროცენტიანი რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი განშტოებაა. რაც შეეხება დისკრიმინაციას, ევროპაში რომ აიკრძალა ჰიჯაბით სიარული და არა მხოლოდ სასწავლო დაწესებულებებში, ქუჩაშიც კი, რა, იქ ჩვენზე ნაკლები დემოკრატია აქვთ?! საინტერესოა, ევროპელებს რაში დაადანაშაულებენ ეს გრანტიჭამია ახალგაზრდა იურისტები. ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ესენი არიან ჩვეულებრივი სეპარატისტები და, თავიანთ ნებაზე რომ მიუშვა, ისე დაგვაკარგვინებენ რამდენიმე რეგიონს, არც დაფიქრდებიან, მერე კი იტყვიან: სახელმწიფომ კიდევ ერთი დემოკრატიული ნაბიჯი გადადგაო. აი, ეს არის მათი საქმე და ამაში იღებენ კოლოსალურ დაფინანსებას, თორემ ადამიანის უფლებები, ბოდიში და, სულ ფეხზე ჰკიდიათ. მათ ადამიანის უფლებები რომ ადარდებდეთ, სხვა დროსაც ამოიღებდნენ ხმას, მხოლოდ მუსლიმანების კი არა, სხვა მოქალაქეების რელიგიურ გრძნობებსაც გაუფრთხილდებოდნენ.

**— კონკრეტულად?**

— კონკრეტულად, **როცა სააკაშვილის უღმერთო ხელისუფლებამ ხატები გამოაბრძანა სკოლებიდან და სამლოცველო კუთხეები გააუქმა, ხოლო მის ნაცვლად ნატოს კუთხეები გახსნა, არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას ხმა არ ამოუღია. რა, მაშინ არ დაირღვა უმრავლესობის უფლებები, რატომ არ გააპროტესტეს? იმიტომ, რომ ამაში ფულს არ გადაუხდიდნენ; იმიტომ, რომ „ცისფერ კომისრებს“ მართლმადიდებელი ქრისტიანების უფლებები არ აიტერესებთ. ხალხი კი დაბრმავებულია — დახუჭული გვაქვს თვალები და ცხვრებივით ვიტანთ ამ ნამუსგარეცხილ „უფლებადამცველებს“, რომლებიც ნეხვზე ამოსული სოკოებივით არიან მომრავლებული.** ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, როცა ნორმალური ხელისუფლება გვეყოლება, თუ, საერთოდ, გვეყოლება, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იფიქროს ამ ორგანიზაციების შეზღუდვაზე. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში ეს პროცესი უკვე დაწყებულია. საზოგადოდ. ლიბერალიზმი, როგორც იდეოლოგია, გასააზრებელია და უნდა ვიცოდეთ, რას გულისხმობენ თანამედროვე ე.წ. ლიბერალები ამაში. ვინც არ იცის, **ლიბერი იყო ლოთობისა და მეძავობის რომაული ღვთაება, რომლის სახელიც დაკავშირებულია ყველანაირ უზნეობასთან. აი, ამ უზნეობას თესავენ ქართველ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალ თაობაში ის ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ტოლერანტები უნდა ვიყოთ ყველანაირი გადახრის, ცოდვისა და უზნეობის მიმართ, რომ თურმე ყველაფერი ნორმალურია, რისი სურვილიც ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს...**

რაც შეეხება ჰიჯაბს, **შვეიცარიის ბანკების მნიშვნელოვან ნაწილს, ძირითადად, არაბები ამარაგებენ ფულით, მაგრამ, როცა იქ არაბებმა მეჩეთის აშენება მოისურვეს, მთავრობამ გამოაცხადა რეფერენდუმი. შვეიცარიის მოსახლეობის 96-მა პროცენტმა უარი თქვა მეჩეთის აშენებაზე და ამით დამთავრდა ყველაფერი. საქართველოს ხელისუფლებას კი ხალხის აზრი სასაცილოდ არ ჰყოფნის.** ითხოვენ, ხმები მოგვეცითო, შემდეგ მოდიან ხელისუფლებაში და უმცირესობის უფლებებს იცავენ. უმრავლესობის მიერ მოყვანილი პოლიტიკური ძალა შემდეგ ამავე უმრავლესობის ინტერესების საწინააღმდეგოდ იცავს უმცირესობის „უფლებებს“... მაშინ გამოაცხადონ საჯაროდ, რომ მრუშების, მეძავების, ლესბოსელებისა და ჰომოსექსუალების ხელისუფლებაა, და ხალხი გააკეთებს არჩევანს.

**— თქვით, რომ ევროპის რიგ ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა საკანონმდებლო დონეზეა შეზღუდული. ჰიჯაბის აკრძალვაც რომ ავიღოთ, ავსტრიაში, ბელგიასა და საფრანგეთში, უკვე დიდი ხანია, ეს აკრძალვა მოქმედებს. იმის ფონზე, რომ თვით დასავლეთში, როგორც პოლიტიკურ წრეებში, ისე საზოგადოებაში, ანტილიბერალური განწყობები მძლავრობს, საქართველოს ვინ ახვევს თავს ამ პოლიტიკას?**

— ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს სტაბილური საქართველო ხელს არ აძლევთ არანაირად — არც პოლიტიკურად, არც დემოგრაფიულად, ეკონომიკურად ხომ, საერთოდ. რატომ? იმიტომ, რომ მერე სამართავად იქნება რთული. მათ სჭირდებათ დაჩოქებული, დაცემული და გათახსირებული საქართველო, ამიტომ გახვევენ თავს ყველანაირ სიბინძურეს...

**— რამდენიმე დღის წინათ გაიმართა სინოდის რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უწმინდესი და უნეტარესი ხელმძღვანელობდა. რით იყო ამ სხდომის მოწვევა განპირობებული?**

— ამ სხდომას რიგგარეშეს ვერ ვუწოდებთ იმიტომ, რომ სვეტიცხოვლობის წინ ან შემდგომ დღეებში ყოველთვის იწვევენ ხოლმე სინოდის სხდომას. არც განსაკუთრებული თემები ყოფილა განხილული, ერთადერთი განსაკუთრებული თემა იყო, რა ღვაწლი აქვს 40-წლიან პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და პატრიარქს ქვეყნის წინაშე. ამიტომ დაევალათ მღვდელმთავრებს, აღწერონ, თავიანთ ეპარქიებში რა მდგომარეობაა: რამდენი ეკლესია აღდგა, რამდენი მონასტერი, რამდენი სასულიერო პირია და ა.შ. ეს კეთდება იმისთვის, რომ ამ ციანიდებისა და ამ ვირიშვილების ფონზე ქართველმა ერმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაინახოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობა. აკი **ილია ჭავჭავაძეც** ბრძანებდა, საქართველოს ისტორიიდან ეკლესიის როლი რომ ამოვიღოთ, არაფერი დარჩებაო...

**— „ციანიდის საქმეც“ იყო, როგორც ვიცი, სხდომაზე განხილული...**

— დიახ, იყო და, სანამ სასამართლო ბოლომდე არ მიიყვანს ამ საქმეს, წინასწარ დასკვნის გამოტანა ზედმეტია. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცით, რა ხდება და როგორ ხდება, მაგრამ ეს არის ეკლესიის საქმე, რომელიც, ფაქტობრივად, ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამს წყალს, თუმცა თორმეტ მოციქულს შორისაც იყო გამცემი, რომელმაც უფალი გაყიდა, და სასულიერო პირი რომ გამყიდველი აღმოჩნდეს, რა გასაკვირია?! კიდევ ვიმეორებ: როცა სასამართლო დასკვნა გამოქვეყნდება, ყველას, ვინც ამ ორგიაში მონაწილეობდა, ადეკვატური პასუხი გაეცემა.

**— პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის — სოსო ოხანაშვილის მიმართ მძიმე ბრალდებები გაისმა; ითქვა, რომ ის „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩანერგა საპატრიარქოში და გარკვეულ დავალებებს ასრულებდა... 2007 წლამდე ოხანაშვილი თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ბრიგადაში მსახურობდა, 1998-2003 წლებში კი გაიარა სპეციალური სამხედრო მომზადების კურსი ამერიკის შეერთებულ შტატებში. რას ფიქრობთ ამ ადამიანზე?**

— მე მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ერთი რამის თქმა შემიძლია: **ნებისმიერი ადამიანი, არ აქვს მნიშვნელობა, ოხანაშვილი იქნება ის, სასულიერო პირი თუ ერისკაცი, რომელიც დაკავშირებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“, არის ქვეყნის მტერი.** ჩემთვის ასეა და ამას ხმამაღლა ვამბობ იმიტომ, რომ „ნაციონალური მოოძრაობა“ არის გადაგვარებული და გადაჯიშებული სექტა, რომელიც დაუფარავად ებრძვის ეკლესიას. ქვეყნის მტერია, აგრეთვე, ხელისუფლებაც, რომელიც კოაბიტაციაშია ამ დანაშაულებრივ სექტასთან და, თუ ასე გაგრძელდა, ძალიან ცუდი მომავალი გვექნება. ჩვენ ახლა ვდგავართ არჩევანის წინაშე, ერთ მხარეს არის ქრისტე და ჭეშმარიტება, მეორე მხარეს — სატანა ე.წ. ლიბერალების სახით. ლიბერი ვინც იყო, მოგახსენეთ. ასე რომ, ან წავალთ ქრისტეს გზით და გადარჩება ეს ქვეყანა, ან წავალთ გარყვნილების, მრუშობის, სოდომიისა და სხვა ათასგვარი უზნეობის გზით, რომელსაც გვთავაზობენ დემოკრატიის სახელით და რაც იქნება აღსასრული საქართველოსი...

**ჯაბა ჟვანია**

**P.S.** 1 ოქტომბრიდან ავსტრიაში ოფიციალურად ამოქმედდა კანონი, რომლის თანახმად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჰიჯაბისა და ნიქაბის ტარება აკრძალულია (ამ კანონის დარღვევა 150 ევროს ოდენობით ჯარიმას ითვალისწინებს). 2011 წელს ანალოგიური კანონები ამოქმედდა ბელგიასა და საფრანგეთშიც, ხოლო ინგლისში მსგავსი საკანონმდებლო რეგულაცია განხილვის სტადიაშია. საქართველო, როგორც ჩანს (ივანიშვილის დაპირებისამებრ), ევროპისთვის შესაშურ დემოკრატიას აშენებს და, აკრძალვის ნაცვლად, ჰიჯაბს ეროვნული სამოსივით უფრთხილდება.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„აფხაზები ჩვენი სისხლი და ხორცია, ჩვენსავით იცინიან და ჩვენსავით ტირიან, დედა ჩვენნაირად უყვართ, ჩოხას ჩვენნაირად იცვამენ, ცერზე ისე დგებიან, მუხლებზე ისე ტრიალებენ, როგორც ჩვენ, ჩვენსავით ემოციურად ლაპარაკობენ, ლაპარაკის დროს ტირიან, სული ეხუთებათ, როცა ცუდ კაცზე რაღაც უნდა თქვან უმისოდ, რადგან არც მათ, არც ჩვენ არ გვახასიათებს ზურგს უკან ლაპარაკი. მაშ, ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად რად გვჭირდება მესამე პირი?! პირისპირ დავსხდეთ და ვუთხრათ ერთმანეთს, რაც გვაწუხებს. ერთმანეთის სატკივარს ჩვენვე უნდა ვუწამლოთ“.

ლადო კახაძე:

# წესიერებამ არ უნდა გაგაკეთებინოს ის, რისი უფლებაც შეიძლება კანონმა მოგცეს

ქართველებო, თქვენ მხოლოდ არჩევნებზე იარეთ მწყობრად და, რაც მთავარია, არჩევანში არ შეცდეთ!

*ლადო კახაძე*

**„ქართველები, მახათებით შეიარაღებულნი, დგანან ბანკების კარებთან და, გამოტანილი სესხის სანაცვლოდ, მიწას, ნებას, სინდისს, რჯულს, რწმენას, ლეჩაქსა და წარსულს ერთად აბარებენ“, — წერს ლადო კახაძე თავის წიგნში „სალამი იარაღო, ანუ ერთხელაც წამიკითხე“. ასე გულახდილად, მკაცრად და მოურიდებლად ლაპარაკი მხოლოდ ჭეშმარიტ მამულიშვილს შეუძლია და კიდევ პატრონს ისეთი მსუბუქი იუმორისა, როგორიც ამ პუბლიკაციის ეპიგრაფის წაკითხვისას უთუოდ იგრძენით.**



ბატონი ლადო ექიმია — მეან-გინეკოლოგი, რადიოლოგი-ულტრასონოგრაფიის სპეციალისტი, ცნობილი მკურნალი და სახელმწიფო მოღვაწე — 1998-2002 წლებში თავმჯდომარეობდა თბილისის საკრებულოს, იყო საქართველოს თვითმმართველობათა ასოციაციის პრეზიდენტი; ხელმძღვანელობდა, კონსულტაციას უწევდა შვიდ სამედიცინო დაწესებულებას, საზოგადოებას; ამჟამადაც თბილისის რამდენიმე სამედიცინო კლინიკაში მუშაობს.

მოთხოვნა დიდია.

ყველგან ასწრებს. ინტერვიუსთვისაც გამონახა დრო.

ვსაუბრობთ.

მისაღებში პაციენტები იცდიან. გაუხანგრძლივდათ ლოდინი: შეთანხმებული 20 წუთი საათ-ნახევარს გაგრძელდა და ისე შემოგვადნა ხელში, ვერც კი შევამჩნიეთ...

არ ვიცი, უშველა თუ არა ბოდიშის მოხდამ...

**— თქვენთან მოსვლამდე თამაზ წივწივაძის „ლიტერატურულ საქართველოში“ ამოვიკითხე, რომ დიდმა გერმანელმა რეფორმატორმა მარტინ ლუთერმა „საღათას ძილისგან გამოაღვიძა ყოფილი მოაზროვნე და იმხანად გაუნათლებლობისა და ფანატიზმის ქაოსისკენ მიმავალი გერმანელი საზოგადოება, მოუწოდა მას რწმენისკენ, რომელიც გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მიიჩნია“.**

**რწმენა — გადარჩენის საშუალება კალაპოტიდან ცოტა ამოვარდნილი საქართველოსთვის. ეთანხმებით ამ თეზას, ბატონო ლადო?**

— სამი კომპონენტია, რომლებიც დედამიწაზე დასახლებულ ადამიანებს, ისევე, როგორც თვით დედამიწას, წონასწორობის შენარჩუნებაში ეხმარება.

**წონასწორობის შემანარჩუნებელი კომპონენტებია: რწმენა, წესრიგი, განათლება.**

რწმენა ხშირად რელიგიასთან არის ასოცირებული, რომელიც საფუძველთა საფუძველია, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის. მაგალითად, მე თუ არ მწამს, რომ ჩემი ლანცეტით ქრილობას გავკვეთ, დაავადებამდე ჩავალ და ავადობას მოვაცილებ, იმ ლანცეტს ხელი არ უნდა მოვკიდო.

თუ არ მწამს, რომ ადამიანთან კომუნიკაციისას ჩემი ნათქვამი მოსაუბრის შინაგანი სამყაროს კარს ვერ შეაღებს, ლაპარაკი არ უნდა დავიწყო, მაგრამ დღეს საქართველოში პოპულარულია პოზიცია: ძალა გაქვს, ჭკუა რად გინდა!

რწმენა ტვინის საქმეა.

კვება არ არის კუჭის საქმე. ტვინშია კვების ცენტრი. მუსიკა ყურის არ არის, ყური გამტარია. ტვინი უსმენს.

და ასე შემდეგ.

დღეს კაცობრიობას დიდი პრობლემა აქვს: ძალიან აჩქარდა დედამიწა და ტვინი ჩამორჩა, მიუხედავად იმ დიდი პოტენციალისა, რომელიც მას აქვს.

**ტვინი უკანა პლანზე გადაწიეს. ეს ვის აძლევს ხელს? —იმ ადამიანებს, რომლებიც ჭკვიანები არიან და სხვაზე გამარჯვების წყაროდ და საშუალებად სხვათა ტვინის არასრული რეალიზაცია წარმოუდგენიათ.**

შენ თუ დაკარგე იმის რწმენა, ამ ყველაფრის ნიჭიერად მოპოვების გზაზე შენი ცხოვრება ხელოვნებად აქციო და კუჭის მოთხოვნათა დონეზე არ დახვიდე, მაშინ ადვილი სამართავი ხარ.

**— რატომ მოხდა, რომ ჩვენ „კუჭის დონეზე“ დავედით? — შეკითხვა ნაადრევი გამოდგა, რადგან სწორედ ამაზე აპირებდა საუბრის გაგრძელებას ბატონი ლადო.**

— ახლა **წესრიგზე** უნდა ვილაპარაკო, რომელიც ბევრს გაგებული აქვს, როგორც ადმინისტრაციული წესრიგის დამყარება, კანონმორჩილება და სხვა ასეთი. წესრიგი უფლის მიერაა დაწესებული. სამი სართული არსებობს — ტვინი-გონიერება, გული და კუჭი.

დღეს სამყარო ყირაზე დადგა: კუჭი მოექცა ზემოთ, შემდეგ — გრძნობა-ემოცია (ტელევიზია, პრესა, კომპიუტერი. ცხოვრება კლიპს დაემსგავსა. სამეცნიერო შრომა რეფერატის დონეზე იწერება), ბოლოს — ტვინი.

**— ესე იგი, ჩვენი საზოგადოება სამომხმარებლო საზოგადოებად გადაიქცა?**

— დიახ. და აი, მივედით მესამე კომპონენტთან: განათლებასთან, რომელიც მუდმივი პროცესია და ტვინს ვერასდროს გააძღებს, კუჭისგან განსხვავებით. ტვინს არც ერთი სალაფავი არ ჰყოფნის, იმავე წუთში დახრავს და დაუყოვნებლივ სხვა შეკითხვა, სხვა მოთხოვნა გაუჩნდება. ამიტომაა, რომ ჭეშმარიტების გასაღები ტვინში დევს — განათლებულობის მეოხებით.

**განმანათლებლები კი დღევანდელ რეალობაში ჩაჩოჩებულები არიან და მთელი ავანსცენა პოლიტიკოსებმა დაიკავეს.**

**— არცთუ დიდად განათლებულებმა.**

— სამწუხაროდ. მხოლოდ საქართველოზე არ ვლაპარაკობ. მსოფლიოს ვგულისხმობ. **დღეს რწმენააყრილ, ღირსებაშელახულ და გაუნათლებელ მსოფლიოში ტვინის ჰიპოქსიის (ჟანგბადის უკმარისობის) მოწმენი ვხდებით.**

**— ამბობთ, რომ დღევანდელი პრობლემები ამ გლობალური პრობლემიდან გამომდინარეობს?**

— ყველა პრობლემას აქვს ორი სათავე: ენდოფაქტორი და ეგზოფაქტორი. მათგან პირველი ყოველთვის შენშია, მეორე გარედან მოქმედებს. ეს ისეა, როგორც ტუბერკულოზის ჩხირი, რომლის კონდუქტორი, მატარებელი არის ნებისმიერი ადამიანი, მაგრამ ტუბერკულოზით ყველა არ ავადდება. თუ დასუსტდები, მაშინ ე.წ. პარაზიტი დაგიმონებს და შეგჭამს. ადამიანი ტუბერკულოზს რომ დაემონოს, ჟანგაბდი არ უნდა მიაწოდო, მზის შუქი არ უნდა მოახვედრო, საკვები არ მისცე, ჩაკეტო საკანში და — ტუბერკულოზი გარანტირებულია.

ე.ი. ეგზოფაქტორი მაშინ ხდება მავნე, თუ შენ (შიგა ფაქტორი) შეუწყობ ხელს.

**— ორივე ამ სათავის მავნე ურთიერთობის (როგორც თქვენ თქვით) გააქტიურებით შეიძლება აიხსნას ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესის დაქვეითება იმ პრობლემის მიმართ, როგორიც არის საქართველოს გამთლიანების მუდმივი ტკივილი? ხელისუფლების, პარტიების, არასამთავრო ორგანიზაციების გატაცება იმ „პერფომანსებით“, რომლებსაც ადმინისტრაციულ საზღვრებთან აწყობენ და რომლებსაც არავითარი შედეგი არ მოჰყვება?**

**და კიდევ: მუდმივად სხვის იმედად ყოფნა — მსოფლიო თანამეგობრობა მხარს დაგვიჭერს.**

**პრაქტიკულ რა გზას ხედავთ?**

— ჭრილობა რომ შეხორცდეს, ანუ გამრთელდეს პოსტოპერაციული ჭრილობა, ყველაზე უფრო ორ სუბიექტს სურს: პაციენტსა და ექიმს, რომელმაც ეს ჭრილობა გაკერა. ერთისთვის ჯანმრთელობის დაბრუნებაა, მეორისთვის — ღირსების საქმე. ვის არ სურს? — იმ ბაქტერიებს, რომლებიც ამ ჭრილობაში ჩირქის დაგროვებას ელოდებიან.

თუ, მაგალითად, აფხაზეთის „გაყინულ კონფლიქტს“ ავიღებთ... *(პაუზა)* სოხუმში სახლი მაქვს, ლიძავაში ჩემი მეჯვარის სახლია, გაგრაში ნათესავები მყავს, დეიდაჩემი დღესაც გალში ცხოვრობს და ქართულ სკოლაში ასწავლის. ნათესავები მყავს იქ. ბევრი დაიღუპა. უამრავ აფხაზთან ვმეგობრობ. ერთ-ერთმა შემომითვალა: შენი სახლი გამოვისყიდე და, რომ ჩამოხვალ, მოსვლებს, მაგრამ მე (სამედიცინო ინსტიტუტის ლენინურმა სტიპენდიანტმა, რომელმაც უარი თქვა ლენინური კომკავშირის პრემიაზე) კატეგორიულად არ მივიღე ჩემი მეგობრის, **ავთანდილ იოსელიანის**, თხოვნა, ჩავრთულიყავი ლუსტრაციის კანონის მომზადებაში.

უარი ვთქვი იმიტომ, რომ იმ ფორმით, რომლითაც მისი მიღება სურდათ, აღმოჩნდებოდა, რომ შვილიშვილს ჰყავდა ბაბუები, რომლებმაც ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიმეტეს... სრულიად მსოფლიოში ცდილობენ მეხსიერების შეცვლას. **რამდენი ხელისუფალიც მოვიდა საქართველოში, პირველი, რაც მოიმოქმედა, არქივები გააქრო, ისტორიიდან რაღაცის ამოგდება მოისურვა.**

აფხაზეთთან დამოკიდებულებაში ის კლიპი კი არ უნდა მოქმედებდეს, რომელიც ვახსენე, არამედ — როგორი აფხაზეთი განიხილებოდა ფარნავაზის დროიდან.

ვინ არიან აფხაზები?

ზოგი აფსუას უწოდებს, ზოგი — რას.

**აფხაზები ქართველები არიან. ჩვენ აფხაზები**

ისევ შენი იქნებაო *(აქ — ისევ პაუზა. ბატონი ლადო თვალზე მომდგარ ცრემლს იწმენდს. თანდათან მოერევა ემოციას და განაგრძობს საუბარს).* კლიპები ვახსენე წეღან. კლიპის ავტორმა კარგად იცის, რომ მისი დამზადებული პროდუქცია ასოციაციურ კავშირებზე მოქმედებს.

ტვინის ქერქს აქვს მეხსიერების სამი დონე: არქაული, ძველი და ახალი.

არქაული მთელ კაცობრიობას ერთი აქვს — აგრესია და გაქცევა.

მეორე დონეა — გენეტიკური მეხსიერება და გრძნობა — სენსორიკა და რემემბა, რომელთა შეცვლა შეიძლება. მაგალითად, ჩემს თაობას მეხსიერებიდან ამოუგდეს გასული საუკუნის ოცდაათიანი წლები. ჩემი წინაპრების (ბებიაჩემის ბიძების) სიცოცხლე შეეწირა 1924 წლის ეროვნულ გა-

**«ადამიანი არ არის სოკო, რომელიც მრავლდება სპორით; არ არის გვიმრა, რომელიც ვეგეტატიურად მრავლდება; ადამიანი მხოლოდ სქესობრივი გზით უნდა გამრავლდეს — ქალისა და კაცის შეუღლებით. ამ წონასწორობის დარღვევა დედამიწაზე მცხოვრებთა რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს. ეს არის მალთუსის კაცთმოძულე თეორიის ბიოლოგიური გზით განხორციელების საშუალება»**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დადგა დრო, ის პოლიტიკოსები, რომლებმაც გააფუჭეს საქმე, და მათი მემკვიდრეები, ჩამოშორდნენ პოლიტიკურ ასპარეზს და ახალმა გენერაციამ მოგვიშუშოს აქამდე მოურჩენელი ჭრილობა. ეს შესაძლებელია. ამის რწმენა მაქვს, მაგრამ ამას ხელს უშლიან გაუკუღმართებული პო-ლი-ტი-კო-სე-ბი“.**

# «როგორ უნდა იცხოვრო ქვეყანაში, სადაც ერთი სული აქვთ, მოგაყურადონ, ფარული კამერით გადაგიღონ»

**ვართ. ეთნოკულტურა ერთი გვაქვს. და არ დაგვავიწყდეს, ყველანი პროტოქართველების ჩამომავლები რომ ვართ — ეტრუსკებისა და პელაზგების. ამ ისტორიას საერთოდ გვიმალავდნენ ქართველებს.**

ერთ ამბავს გავიხსენებ.

ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე (იმხანად თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახლდით) ერთი კარგი ქვეყნის ახალგაზრდა მედიატორმა თავი მოგვიყარა, რათა ესწავლებინა, როგორ უნდა მოვაგვაროთ აფხაზეთის კონფლიქტი. მოხსენება ითარგმნება (ყურსასმენებით ვისმენთ). ჰოდა, ეს ახალგაზრდა იწყებს: ერთი ისარი ადვილად ტყდებაო, მეორე და... ამას მე მასწავლის. ვერ მოვითმინე, მოვიხსენი ყურსასმენი, დემონსტრაციულად გადავჭერი მთელი დარბაზი და გავედი. ლაპარაკი რომ დაამთავრა, შემდეგ შემოვედი.

**ის უცხოელი, რომელიც ჩემს ბავშვობაში ნასწავლი იგავის გამეორებაში 40 ათას ევროს იღებს, ვერ მოგვიგვარებს აფხაზეთის კონფლიქტს. ვერასოდეს!**

**— თქვენ ახლა იმაზე მიმანიშნებთ, რომ ის ძალა, რომელსაც ყურს უგდებს ჩვენი ხელისუფლება, და ვის მითითებებსაც ასრულებს, არ არის დაინტერესებული, ეს პრობლემა მოაგვაროს?!**

— ძალიან მიყვარს ალეგორიებითა და მინიშნებით ლაპარაკი, მაგრამ ახლა პირდაპირ გიპასუხებთ: **აფხაზები ჩვენი სისხლი და ხორცია, ჩვენსავით იცინიან და ჩვენსავით ტირიან, დედა ჩვენნაირად უყვართ, ჩოხას ჩვენნაირად იცვამენ, ცერზე ისე დგებიან, მუხლებზე ისე ტრიალებენ, როგორც ჩვენ, ჩვენსავით ემოციურად ლაპარაკობენ, ლაპარაკის დროს ტირიან, სული ეხუთებათ, როცა ცუდ კაცზე რაღაც უნდა თქვან უმისოდ, რადგან არც მათ, არც ჩვენ არ გვახასიათებს ზურგს უკან ლაპარაკი. მაშ, ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად რად გვჭირდება მესამე პირი?! პირისპირ დავსხდეთ და ვუთხრათ ერთმანეთს, რაც გვაწუხებს. ერთმანეთის სატკივარს ჩვენვე უნდა ვუწამლოთ.**

ჩვენი საერთო ჭრილობის ნაპირები უნდა შევახორცოთ, თორემ იქ გამრავლდება „ბაქტერიები“, რომლებიც ისედაც ბევრია.

სხვა გზაც არსებობს, როცა შეუხორცებელ ჭრილობას გაჭრიან და დაელოდებიან ჭრილობის შემახორცებელი ახალი გენერაციის ამოსვლას.

**დადგა დრო, ის პოლიტიკოსები, რომლებმაც გააფუჭეს საქმე, და მათი მემკვიდრეები, ჩამოშორდნენ პოლიტიკურ ასპარეზს და ახალმა გენერაციამ მოგვიშუშოს აქამდე მოურჩენელი ჭრილობა. ეს შესაძლებელია. ამის რწმენა მაქვს, მაგრამ ამას ხელს უშლიან გაუკუღმართებული პო-ლი-ტი-კო-სე-ბი.**

ამას იმიტომ ვამბობ, რომ იმ ყურს დაუქვეითდა სმენა, რომელსაც ევალება, ტვინთან მიიტანოს სწორი ინფორმაცია.

**— ესპანური ანდაზა ამბობს: „გონების ჩაძინებამ შვა ურჩხული“. თქვენი კონცეფცია, ვგონებ, ამას ადასტურებს.**

— ტვინის ქერქქვეშ არის ქერქქვეშა კვანძები, რომლებიც ელოდება ქერქის გათიშვას და მაშინ ადამიანი ცხოველური ინსტიქტების ანაბრად დარჩება. გონება, რწმენა და განათლება არის ის, რაც ამ ცხოველურ ინსტიქტებს აკავებს. აფხაზეთის თემა ახლა მიძინებულია. ესაა საშიში.

**— სამაგიეროდ ტელე და რადიოეთერში მოსაბეზრებლად ატრიალებენ ე.წ. პოლიტიკურ რეკლამებს, რომელთა ეფექტი ნულის ტოლია, ნახავ — დაგავიწყდება.**

**თქვენი ნებართვით, სხვა პრობლემაზე გადავინაცვლოთ. ეს-ესაა გაუკუღმართებული პოლიტიკოსები ახსენეთ. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეორე გაუკუღმართებაც შემოიჭრა სექსუალური ორიენტაციის აღრევის სახით.**

— ესეც ტვინთან არის პირდაპირ დაკავშირებული. მკაცრად ვიტყვი: ლიბიდო, სიყვარული და ორგაზმი არ არის გარეგანი სექსუალური ორგანოების მოთხოვნილება.

**ტვინზე, განსაკუთრებით, მოუმწიფებელ ტვინზე თუ იმოქმედებ, მისი ორიენტაციის შეცვლა შეიძლება. ამას ვამბობ საბოლოო ვერდიქტთან მიახლოებული დასკვნის სახით.**

ყოველ ადამიანში ჰორმონული წონასწორობა არსებობს. მამაკაცში სათესლე ჯირკვლები და თირკმლის ზედა ჯირკვალი ერთმანეთის ოპონენტია, რასაც, საბოლოო ჯამში, აკონტროლებს ცენტრალური ნერვული სისტემა.

ქალის შემთხვევაში — საკვერცხეს, რაშიც ქალია დომინანტი, არეგულირებს თირკმლისზედა ჯირკვალი.

არის მომენტები, როცა ქალის დაავადებას სჭირდება კაცის ჰორმონებით გაძლიერება. ეს რესურსი ორგანიზმს აქვს.

წამლის საჭიროების გაჩენისთანავე აფთიაქებს მივმართავთ (არასწორ ფარმაციას, თორემ ჭეშმარიტი ფარმაცია გენიალური რამ არის) და წამალზე მიგაბავენ.

**თავი გეტკინა? წამლებს ჩამოგითვლიან! არ სჭირდება ორგანიზმს ეს, რადგან მას იმდენი ენდორფინი აქვს, უფლის მიერ მიცემული, რომ მორფზე ძლიერია, პენტალგინზე ძლიერი და ა.შ.**

თუ გაქვს რწმენა, რომ შენში არსებული ეს რესურსი გამოიყენო ტკივილის დასაამებლად, ნახვალ აფთიაქში წამლის საყიდლად?

არ წახვალ!

ამიტომ გირჩევენ, რომ, თუ რამე გიშველის, მხოლოდ ესა და ეს წამლებიო. იძულებული ხდები, იყიდო, დახარჯო ფული.

**— ესე იგი, აქაც ბიზნესის პრინციპებია გადამწყვეტი?**

— ასე გამოდის. უნდა იცოდეთ, რომ არსებობს უამრავი წერტილი (ჩინური მედიცინა), რომელთა გარეგანი გაღიზიანების მეოხებით, შეგიძლიათ მოიხსნათ თავის ტკივილი, რომელიც განუხებთ; ტვინში არის ტკივილის ცენტრი — ჰიპოთალამუსი, იმაზე იმოქმედეთ და ის გაგიყუჩებთ ტკივილს, გამოუშვებს იმდენ ენდორფინს, რომლითაც მოცემულ პირობებში შენი თავის ტკივილის დაამება შეიძლება.

სექსუალურ მიდრეკილებასაც ცენტრალური ნერვული სისტემა მართავს.

**რასაც ახლა გეტყვით, იმის წაკითხვა დაზაფრავს ბევრს, ამიტომ ვერ მიტანენ. ნარკოლოგების ერთ წარმომადგენლობით შეკრებაზე, რომელზეც, როგორც იქნა, სიტყვის წარმოთქმის უფლება მომცეს, განვაცხადე, რომ გენური ინჟინერიის გამოყენებით ნარკოდამოკიდებულების დაძლევა შეიძლება ტვინში არსებული ცენტრის გათიშვის გზით. ეს კი, თუ საყოველთაოდ დაინერგება, წალეკავს და მოსპობს ნარკოტიკების წარმოების ინდუსტრიას დედამიწაზე!**

**მე, ამის მთქმელი, მოვეწონები ვინმეს? არ მოვეწონები.**

**— ასობით მილიარდი დოლარი ტრიალებს ნარკობიზნესში.**

— დიახ. დავუბრუნდეთ სექსუალური ორიენტაციის აღრევის საკითხს. ნებისმიერი კაციდან შეიძლება მივიღოთ ქალი და, პირიქით, ქალიდან — კაცი ბიოლოგიურად აქტიური სუბსტანციის გამოვლის მეოხებით.

ევოლუციურად ადამიანი დედის ნაყოფია. მუცლად ყოფნის პერიოდში დედაზე, გენეტიკური ვალდებულების გათვალისწინებით, გარე ფაქტორების ზემოქმედებით შეიძლება მოხდეს ორსული ქალის დისბალანსი და უკვე დაბადებულ ნაყოფს გამოჰყვეს სისუსტეები, ანუ დაიბადოს გარეგნულად ერთი სქესობრივი ნიშნების მქონე ბავშვი, რომელსაც ბიოლოგიურად საწინააღმდეგო სქესის სუბსტანცია ექნება, ანუ დაირღვევა ის პროპორციები, წონასწორობა, რომელზეც უკვე ვილაპარაკეთ. შემდეგ ამას ცოტა წაეხმარები ტელევიზიით, სკოლაში ასწავლი, ქალისა და ქალის, კაცისა და კაცის კოცნაობას აჩვენებ და იმ წამსვე წამოჰყოფს თავს ის სისუსტე, რომელიც ნაყოფს საშოდან გამოჰყვება.

**— ვის სჭირდება ეს?**

— ადამიანი არ არის სოკო, რომელიც მრავლდება სპორით; არ არის გვიმრა, რომელიც ვეგეტატიურად მრავლდება; ადამიანი მხოლოდ სქესობრივი გზით უნდა გამრავლდეს — ქალისა და კაცის შეუღლებით. ამ წონასწორობის დარღვევა დედამიწაზე მცხოვრებთა რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს. ეს არის მალთუსის კაცთმოძულე თეორიის ბიოლოგიური გზით განხორციელების საშუალება.

**— ესე იგი, საყოველთაოდ ცნობილი „ოქროს მილიარდის“ რეალიზაციას ემსახურება?**

— რა თქმა უნდა. ვიმეორებ: მხოლოდ ბიოლოგიურ ახსნაზე ვაკეთებ აქცენტს. სოციალური ახსნისგან თავს ვიკავებ და არ გავბედავ პოლიტიკურ ახსნას, თუმცა ამაზე შემიძლია ვილაპარაკო დღე და ღამე.

**— მაშასადამე, პრობლემა, რომელზეც ვლაპარაკობთ, კაცობრიობის ყოფნა-არყოფნას ეხება და არა ჰომოფობიას.**

— ასეა.

**— წესიერება რას ნიშნავს, ბატონო ლადო, რომელიც, ჩემი აზრით, დააკლდა ჩვენს საზოგადოებრიობას?**

**— 2000 წლის წინათ სენეკა ამბობდა: „რასაც არ კრძალავს კანონი, კრძალავს წესიერება“. დღეს ნებისმიერ ადამიანს — გაეროს გენერალური მდივნით დაწყებული, მეექვსე კლასის მოსწავლით დამთავრებული, რომ სთხოვო, დაასრულოს წინადადება „რასაც არ კრძალავს კანონი...“, გიპასუხებს — „ნებადართულია“.**

წესიერებამ არ უნდა გაგაკეთებინოს ის, რისი უფლებაც შეიძლება კანონმა მოგცეს. კანონში, ვთქვათ, წერია, რომ მიტინგების, დემონსტრაციების, აქციების დასაშლელად დასაშვებია არალეტალური იარაღის, ცრემლმდენი აირის და ხელკეტების გამოყენება, მაგრამ, თუ ამ ღონისძიებების მონაწილე დაგთანხმდა და გადის აღნიშნული ზონიდან, უნდა დაედევნო და დაარტყა ხელკეტი?! დამიზნებით შეიძლება ესროლო რეზინის ტყვია?! ესროლო და თვალში მოარტყა?!

**— რისი მოწმენიც არაერთხელ ვიყავით “ნაციონალური მოძრაობის”ზეობის პერიოდში!**

— ერთ ამბავს მოგიყვებით.

პაციენტების მიღება მაქვს და მესმის, გარეთ მამა ქალიშვილს უშვერი სიტყვებით მიმართავს. გავიხედე და დავინახე, რომ დგას გოგო დედასთან ერთად, გარშემო — ოცამდე კაცი, შავებში ჩაცმული. ლანძღავენ ამ ბავშვს — როგორ შეარცხვინე ჩვენი გვარი, ოჯახიო და ა.შ. გავარკვიე, რომ ეჭვობენ ამ გაუთხოვარი გოგოს დაორსულებას, რომელსაც მართლაც ეტყობა საკმაო წამოზრდილი მუცელი. შემოვიყვანე დედასთან ერთად. ვატყობ, დედა კი ენდობა თავის შვილს, მაგრამ მაინც გაორებულია. გოგო — ულამაზესი, შვლის თვალებით, გრძელი ნაწნავებით. 15 წლის. მეტის არა.

გავსინჯე. ერთი ბეწო საშვილოსნო აქვს, არავითარ ორსულობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. საკვერცხეზე კი ვეებერთელა კისტა განვითარებია, რომელიც, სასწრაფოდ თუ არ ამოიკვეთა, გოგო მოკვდება.

გამოვედი გარეთ, სადაც მამამისი და ბიძები დგანან და ვეუბნები:

— დაიჩოქეთ, ამ გოგოს ხელზე აკოცეთ და ბოდიში მოუხადეთ!

გაგიჟდნენ. ავუხსენი, რაც სჭირდა ამ ბავშვს.

ამოვედი ჩემს გამზრდელთან, პროფესორ **მიხეილ გიგინეიშვილთან**, ვუთხარი, რაც ხდებოდა.

დაუყოვნებლივ გასცა განკარგულება საოპერაციოს სასწრაფოდ მომზადების შესახებ და ერთობლივად ოპერაციის გაკეთება შემომთავაზა.

— მამამისი შემოიყვანეთ საოპერაციოშიო, — ესეც დაუმატა.

იკითხავთ, რატომ? იმიტომ, რომ მამა დარწმუნებულიყო თავისი ქალიშვილის უბიწობაში.

— ბატონო მიხეილ, იქ კიდევ ოცი კაცია-მეთქი, ვუთხარი.

— ოცივე შემოვიდესო.

შემოვიყვანეთ, სტუდენტებისთვის განკუთვნილ მონაკვეთში დავაყენეთ მთელი ნათესაობა და მათ თვალწინ გავაკეთეთ ოპერაცია.

მიშა გიგინეიშვილი იყო უწესიერესი კაცი. ამ შემთხვევაშიც მან გააკეთა ისე, რომ მამასა და შვილს შორის საბოდიშოდ მისასვლელი გზა რწმენაზე გასულიყო.

შემდეგ დიდხანს ვიქეიფეთ.

წესიერება ესაა.

**— ტყუილის თქმა?**

— გააჩნია, სად, როდის და ვის ეტყვი. ჩემი ტყუილის თქმით ოცამდე ადამიანი დადის ამ ქვეყანაზე. მომავალი დედა მოვატყუე: შენი ნაყოფი 12 კვირის კი არა, 14 კვირისაა. აბორტი ვერ გაიკეთა ამ ტყუილის გამო. ის ბავშვი დაიბადა. ორი ასე დაბადებული ბავშვის ნათლია ვარ.

ჰიპოკრატეს ფიცს სიცოცხლის წინაშე ვდებთ ჩვენ, ექიმები.

სამხედროებიც დებენ ფიცს მეფის, გენერალიტეტის და ა.შ. წინაშე, მაგრამ არა სიცოცხლის წინაშე, ამიტომ არის ხელყოფილი სიცოცხლე მილიტარისტობით, ცეცხლითა და მახვილით.

ექიმების ფიცი ასე იწყება: „მამად მიმაჩნდეს, ვინც მასწავლა“; მეორე: „თუ მისმა შვილმა განათლება მთხოვა, ისევე უანგაროდ ვასწავლო, როგორც მამამისმა მასწავლა მე“. დეონტოლოგიით, ეთიკითა და წესიერებით იწყება ჩვენი ფიცი.

მესამეა: „არა ავნო რა“. თუ ვერ ეხმარები, არ ავნო. ვნების მიყენება კი შეგიძლია უყურადღებობით, არასწორი თქმით, სიტყვის ბანზე აგდებით, ცხვირის აბზეკით, თავდაჯერებულობით.

ფიცში გვიწერია: შემთხვევითაც რომ გაიგო საიდუმლო პაციენტისგან, რომელიც თავისი ავადმყოფობის ისტორიას გიყვება და ყველა საიდუმლოს გიმხელს, რაც დაავადების წინააღმდეგ ექიმის ბრძოლის იარაღია; შემთხვევით, ბოდვის დროსაც რომ გაიგო, იმის გამჟღავნების უფლება არ გაქვს.

**ახლა მითხარით, როგორ უნდა იცხოვრო იმ ქვეყანაში, რომელშიც ერთი სული აქვთ, მოგაყურადონ, გადაგიღონ ფარული კამერით, შენი პირადი საიდუმლო საჯაროდ გამოიტანონ, მოახდინონ მამების თაობის უარყოფა, გავნონ, „ჩაგრეცხონ“? ვინც ამ ბოროტებას სჩადის, არ ფიქრობს, როგორ მოარჩინოს ჭრილობა, მისთვის მთავარია დაჭრა.**

ამიტომ არის, რომ პაციფისტებმა წავაგეთ მილიტარისტებთან. წესიერება დამარცხდა უწესობასთან დაპირისპირებაში.

ჯერჯერობით ასეა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«2000 წლის წინათ სენეკა ამბობდა: «რასაც არ კრძალავს კანონი, კრძალავს წესიერება». დღეს ნებისმიერ ადამიანს — გაეროს გენერალური მდივნით დაწყებული, მეექვსე კლასის მოსწავლით დამთავრებული, რომ სთხოვო, დაასრულოს წინადადება «რასაც არ კრძალავს კანონი...», გიპასუხებს — «ნებადართულია»**

**P.S.** ბერძენ ფილოსოფოსს, დიალექტიკის ერთ-ერთ ფუძემდებელ სოკრატეს, რომელიც მომდევნო ეპოქებში ბრძენი ადამიანის იდეალად იყო წარმოდგენილი, მიაწერენ სენტენციას: “ილაპარაკე, რომ დაგინახო”.

ილაპარაკა, დავინახე, ჩავწერე, წარმოგიდგინეთ.

თქვენ წაიკითხეთ და, დარწმუნებული ვარ, დაინახეთ, ვინ არის ბატონი ლადო კახაძე.

თუმცა ჩემამდეც იცოდით.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კატალონიაში, ჩრდილოეთ იტალიასა და სამხრეთ ბრაზილიაში „ღარიბებისგან გათავისუფლების“ იდეა ნავთობის ფაქტორის ზემოქმედების გარეშე გაჩნდა. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ „ღარიბების სეპარატიზმის“ გაღვივებაზე მნიშვნელოვან გავლენას ორი ძირითადი ფაქტორი ახდენს: მძლავრი უცხო სახელმწიფოს მხარდაჭერა და ცენტრის აუტანელი დიქტატი. ღარიბები მდიდრებზე, როგორც წესი, გაცილებით რადიკალურად მოქმედებენ, თუნდაც იმიტომ, რომ დასაკარგი თითქმის არაფერი აქვთ.**

# «მდიდრების სეპარატიზმი» — ფრთხილი და საშიში

**გასულ კვირას მსოფლიო ყურადღებით აკვირდებოდა ბარსელონაში განვითარებულ მოვლენებს — კატალონიის მთავრობამ, ერთი მხრივ, მიიღო დეკლარაცია დამოუკიდებლობის თაობაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, მისი მოქმედება შეაჩერა და ცენტრალურ ხელისუფლებას მოლაპარაკების გამართვა შესთავაზა. მიუხედავად იმისა, რომ მწვავე კრიზისის საფრთხე თითქოს შემცირდა, სწრაფი ესკალაციის ალბათობა კვლავინდებურად მაღალია.**

კატალონიელების სეპარატისტული მისწრაფებები გამყარებულია საკმაოდ წონადი ისტორიული არგუმენტებით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს ე.წ. მდიდრების სეპარატიზმია – ესპანური სახელმწიფოდან გამოყოფა ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ პროვინციას სურს. კატალონიური ელიტა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ფრთხილობს. მას არ სჭირდება დესტაბილიზაცია, რომელიც შეიძლება დამოუკიდებლობის მოპოვებას დაუკავშირდეს და ეკონომიკური კეთილდღეობა იმსხვერპლოს. მარტივად რომ ვთქვათ, ისინი არ არიან მზად, არათუ იომონ, არამედ იშიმშილონ დამოუკიდებლობის გულისთვის – მათ ეკონომიკური პრობლემების ეშინიათ. მართალია, კატალონიაში არის ხალხი, რომელიც რადიკალურ მოქმედებას მოითხოვს, მიიჩნევს, რომ „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია“ და ეკონომიკაზე ნაკლებად ფიქრობს, მაგრამ ავტონომიის ხელისუფლებას ისინი არ აკონტროლებენ. ამასთანავე, დღევანდელი ევროპული სეპარატიზმი განსხვავდება 100 ან 200 წლის წინანდელისგან, საუბარი მიდის არა სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არამედ ევროკავშირის ახალი წევრის შექმნაზე; ხშირ შემთხვევაში სეპარატისტები ცდილობენ, უბრალოდ, ამოაგდონ „ზედმეტი რგოლი“ (მადრიდი, ლონდონი) და პირდაპირ ბრიუსელის ევრობიუროკრატიას დაექვემდებარონ.

სიფრთხილე „მდიდრების სეპარატიზმის“ ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია. გასულ კვირას, როდესაც ყველა კატალონიას აკვირდებოდა, ბრაზილიის სამმა შტატმა: სანტა-კატარინამ, პარანამ და რიუ-გრანდი-დუ-სულმა (სამივეს მოსახლეობა 29 მილიონია) ჩაატარეს ე.წ. **მოქალაქეთა საყოველთაო კონსულტაციები**, ფაქტობრივად, არაოფიციალური რეფერენდუმები დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის თაობაზე; ერთი წლის წინათ იგივე შედარებით მცირე მასშტაბით გაკეთდა. ჯერჯერობით სამხრეთ ბრაზილიაში არავინ აცხადებს საყოველთაო დაუმორჩილებლობას და შეიარაღებულ ფორმირებებს არ ქმნის, თუმცა სეპრატისტული იდეები სულ უფრო ფართოდ ვრცელდება. კომენტატორების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ძალიან აწყობს ვაშინგტონს, რადგან ბრაზილიის უზარმაზარი პოტენციალი მომავალში შესაძლებლობას მისცემს, ზესახელმწიფო გახდეს, ხოლო ორი ზესახელმწიფო ერთ ნახევარსფეროში, ძია სემის აზრით, მეტისმეტია. სამხრეთ ბრაზილიის მაგალითზე კარგად ჩანს, თუ როგორ იბადება ე.წ. **მდიდრების სეპარატიზმი.**

ევროპა-აზიის ისტორიის საზომით, ბრაზილია ძალზე ახალგაზრდა სახელმწიფოა.

ვიდრე მისი, უხეშად რომ ვთქვათ, „ჩაბეტონება“ მოხდებოდა, ადგილი ჰქონდა არაერთ სეპარატისტულ ამბოხს, როგორც ამ, ისე სხვა რეგიონებში. 1836-45 წლებში რიუ-გრანდის თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ ბრაზილიის იმპერიას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია (საინტერესოა, რომ რიუ-გრანდის ფლოტს ხელმძღვანელობდა იტალიის მომავალი ეროვნული გმირი ჯუზეპე გარიბალდი).

ამ მოვლენებიდან ასი წლის შემდეგაც კი ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა, სამხრეთის შტატებში იმიგრანტებისა და შიდა მიგრანტების დიდი ნაწილი გადაემისამართებინა, რათა მათი „განსაკუთრებულობის“ ნიველირება მოეხდინა. რიუ-გრანსიდუ-სულსა და სანტა-კატარინში გერმანელი ემიგრანტები, მათი ენა და კულტურა დომინირებდა, პარანაში, გერმანელებთან ერთად, ბევრი პოლონელი ცხოვრობდა. საბოლოოდ ეს შტატები, სან-პაულუს შტატთან ერთად, სადაც, აგრეთვე, არსებობს სეპარატისტული მოძრაობა „რესპუბლიკა სან-პაულუ“, ბრაზილიის „ეკონომიკურ გულად“ ჩამოყალიბდნენ – იქ ქვეყნის მშპ-ს სამი მეოთხედი იქმნება. ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კულტურის დონე ამ შტატებში ტრადიციულად მაღალია.

ბრაზილიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ყოველთვის იყო ცუდი კომუნიკაციები პროვინციებს შორის, ხშირ შემთხვევაში მათ ერთმანეთთან არა სახმელეთო, არამედ საზღვაო მარშრუტები აკავშირებდა. ამის გამო ცალკეულ შტატებში თითქმის დამოუკიდებელი ანკლავების, „ცალკე სამყაროს“ ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა. რეგიონების განვითარება თანაბარი არ იყო – მთავრობა ამაზე ნაკლებად ზრუნავდა, ხოლო ბიზნესი მაქსიმალურ მოგებას ეძებდა. ამიტომ, უპირველესად, ვითარდებოდა პორტები და მათი მიმდებარე ტერიტორია სამხრეთში, სადაც წარმატებული ეკონომიკური საქმიანობისთვის შედარებით ხელსაყრელი პირობებია. ეკონომიკური სხვაობა კულტურულს წარმოშობდა – მარტივად რომ ვთქვათ, მდიდრებს შეუძლიათ შვილებს უკეთესი განათლება მისცენ. მათ ძალიან აღიზიანებთ, რომ ღარიბებს, დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, შეუძლიათ იგივე ან (დემოგრაფიული უპირატესობის გამო) უფრო დიდი გავლენა მოახდინონ დოვლათის განაწილებაზე.

როდესაც სხვაობა პროვინციებს შორის კრიტიკულ ზღვარს აღწევს ან მოულოდნელად ხდება რაღაც ისეთი, რაც გადაჭარბებულ მოლოდინს წარმოშობს (მაგალითად, ნავთობის აღმოჩენა), ავტონომისტური, შემდგომ კი სეპარატისტული იდეები ძალიან სწრაფად ვრცელდება. ჩრდილოეთის ზღვის ნავთობმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შოტლანდიური სეპარატიზმის რეანიმაციაზე; განსაკუთრებულ როლს ნავთობის ფაქტორი ერაყის ქურთისტანში ასრულებს, სულ ახლახან ის მნიშვნელოვანი მიანმარის არაკანის შტატშიც გახდა. ცხადია, ყველა ჩამოთვლილ (განსაკუთრებით კი მეორე) შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ, ისტორიულ და კულტურულ ფაქტორებს, თუმცა ნავთობმა ყველგან ერთგვარი „სტარტერის“ როლი შეასრულა. ამავე დროს **კატალონიაში, ჩრდილოეთ იტალიასა და სამხრეთ ბრაზილიაში „ღარიბებისგან გათავისუფლების“ იდეა ნავთობის ფაქტორის ზემოქმედების გარეშე გაჩნდა.**

**ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ „ღარიბების სეპარატიზმის“ გაღვივებაზე მნიშვნელოვან გავლენას ორი ძირითადი ფაქტორი ახდენს: მძლავრი უცხო სახელმწიფოს მხარდაჭერა და ცენტრის აუტანელი დიქტატი. ღარიბები მდიდრებზე, როგორც წესი, გაცილებით რადიკალურად მოქმედებენ, თუნდაც იმიტომ, რომ დასაკარგი თითქმის არაფერი აქვთ.**

ცხადია, ძლიერი პარტნიორები უცხოეთში ყველას სჭირდება, ამიტომ კატალონიისთვის საგარეო მხარდაჭერის სისუსტე ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. მართალია, რამდენიმე კომენტატორმა წამოიწყო საუბარი იმაზე, რომ, შესაძლოა, კატალონიელებს ფარულად ბრიტანელები აქეზებენ, რადგან სურთ, რომ მადრიდმა დაივიწყოს ჰიბრალტარის დაბრუნება და ყურადღება კატალონიაზე გადაიტანოს. თუმცა ღიად ლონდონი სეპარატისტებს მხარს ვერ დაუჭერს, ისევე, როგორც სხვა პოტენციური მოკავშირეები. საინტერესო ისტორიული ფაქტი: როდესაც ესპანური მემკვიდრეობისთვის გამართული ომის მიწურულს, 1713-14 წლებში, ფილიპე V ბარსელონას ალყა შემოარტყა, ბრიტანელებმა, რომლებიც წინა წლებში კატალონიელების მოკავშირეები იყვნენ (მაგრამ იმ მომენტში უკვე გაურიგდნენ ესპანეთის ახალ მონარქს), ქალაქი საზღვაო ბლოკადაში მოაქციეს. ბრიტანეთის იმპერიის ისტორიაში ეს ვერაგობის ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითი იყო.

**როგორც მდიდრების, ისე ღარიბების სეპარატიზმის აღმოცენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა სტრუქტურული პრობლემებია, რომელთაც პროვინციების არათანაბარი განვითარება წარმოშობს, ამიტომ ჩინეთის ხელისუფლება უზარმაზარ თანხებს ხარჯავს აღმოსავლეთის რეგიონების განვითარებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მდიდარ ზღვისპირა ზოლს.** მართალია, დღეს მკაცრი კონტროლის პირობებში ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე პროვინცია გამოყოფას დააპირებს, მაგრამ პეკინში, როგორც ჩანს, მიიჩნევენ — იმისთვის, რომ ათწლეულების შემდეგ გადაულახავი პრობლემა არ შეიქმნას, ხელი დღეს უნდა გაანძრიონ. სწორედ ამიტომ იდება მილიარდები ინფრასტრუქტურულ პროგრამებში და ჩამორჩენილი რეგიონების კულტურული დონის ამაღლებაში.

საქართველოში სხვადასხვა რეგიონის განვითარებას შორის სხვაობა იმდენად დრამატული არ არის, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენთან დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ორი პარალელური ეკონომიკური და კულტურული „სამყარო“ თბილისსა და რეგიონებში. ამასთანავე, **საქართველო ძალზე სუსტი სახელმწიფოა, სადაც უცხოური დახმარება ცენტრიდანული მოძრაობის გაძლიერებაში ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, არ დაუშვას არც ერთი რეგიონის ეკონომიკური ან კულტურულ-ცივილიზაციური „ამოვარდნა“ საერთო რიტმიდან.** მართალია, ეროვნული თვალსაზრისით საქართველო გაცილებით შეკრულია, ვიდრე ბევრი სხვა, განსაკუთრებითҮკი ახალგაზრდა სახელმწიფო, მაგრამ მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს — როდესაც წინააღმდეგობები გროვდება, შინ და გარეთ აუცილებლად ჩნდებიან ძალები, რომელნიც იწყებენ მუშაობას მათ გაღრმავებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში მძლავრი სეპარატისტული პროექტის დაბადებით სრულდება.

ზოგჯერ „მდიდრების სეპარატიზმის“ საბოლოო მიზანი არა ახალი სახელმწიფოს შექმნა, არამედ ცენტრალური ხელისუფლებისგან მაქსიმალური პრეფერენციების მიღებაა. კომენტატორების ნაწილი კატალონიის ხელისუფლების მოქმედების უკან სწორედ ამ სურვილს ხედავს და მიიჩნევს, რომ მხარეები ასე შორს ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებიდან გამომდინარე წავიდნენ, რადგან ეშინოდათ, რომ ამომრჩეველი ზომიერებას სისუსტეში ჩაუთვლიდა. შესაბამისად, ესკალაციას პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მიზნების ერთობლიობა განაპირობებდა, სწორედ ამიტომ (შესაძლოა, დროებითი) „დამუხრუჭება“ გაცილებით გვიან მოხერხდა, ვიდრე შოტლანდიაში ან თუნდაც სამხრეთ ბრაზილიაში, სადაც ადგილობრივი ელიტა ცდილობს, აიძულოს ცენტრი, მისი ინტერესები გაითვალისწინოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ძალზე სახიფათო გზაა — პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ შეჩერებას ნებისმიერ წუთს მოახერხებენ, მაგრამ შეიძლება პროცესის მძევლებად იქცნენ.

**კატალონიის კრიზისის გაღრმავება ნებისმიერ შემთხვევაში გააღვიძებს სეპარატისტებს დასავლეთ ევროპაში — სერიოზული საფრთხე შეიძლება არა მხოლოდ ესპანეთისა და დიდი ბრიტანეთის, არამედ ბელგიისა და საფრანგეთის მთლიანობასაც დაემუქროს. თავის დროზე ეს ქვეყნები არ შეეწინააღმდეგნენ ვაშინგტონს, როდესაც ის იუგოსლავიას ანაწევრებდა და კოსოვოში სეპარატისტული პროექტის მხარდაჭერით საერთაშორისო სამართლისთვის და ევროპის მომავლისთვის უაღრესად საშიში პრეცედენტი ქმნიდა. ასე რომ, მალე ევროპელები, დიდი ალბათობით, მოიმკიან იმას, რაც 90-იანების მიწურულს ბალკანეთზე დათესეს.**

**ლუკა ნემსაძე**




**კატალონიის კრიზისის გაღრმავება ნებისმიერ შემთხვევაში გააღვიძებს სეპარატისტებს დასავლეთ ევროპაში — სერიოზული საფრთხე შეიძლება არა მხოლოდ ესპანეთისა და დიდი ბრიტანეთის, არამედ ბელგიისა და საფრანგეთის მთლიანობასაც დაემუქროს**



**ეს სისხლიანი სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარა ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელიც საჯაროდ რეპრესიების წინააღმდეგ ილაშქრებდა. სწორედ მაშინ იყო, საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი რომ დაგვემუქრა: „თუ თქვენ, ქართველები, არ დაშოშმინდებით, აფხაზებს მოგისევთო“. პირდაპირ ვაცხადებ: სწორედ ხრუშჩოვთან უნდა ვეძებოთ აფხაზეთში ანტიქართული განწყობილების გამწვავების სათავე. აქვე დავძენ: რუსები არაფერ შუაში არ არიან, ნიკიტა და რუსები ერთი და იგივე არ არიან...**

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჯერ კიდევ შეიძლებოდა აფხაზეთის ომის თავიდან აცილება

**გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძესთან რედაქცია შეთანხმებული იყო საუბრების ციკლის გამოქვეყნებაზე, რომლითაც გაზეთის მკითხველი გაეცნობოდა საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებულ, ფართო საზოგადოებისთვის დღემდე დაფარულ ფაქტებსა და მოვლენებს.
სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ამ ღირსეულმა ადამიანმა და სახელმწიფო მოღვაწემ აღნიშნული პროექტის მხოლოდ ერთი წერილის დამთავრება მოასწრო. დღევანდელი პუბლიკაცია „შეწყვეტილი თხრობის“ პრემიერაც არის და ფარდის დაშვებაც ერთდროულად.
„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია კვლავ უსამძიმრებს მისი ოჯახის წევრებს უმძიმესი დანაკლისის გამო.
უშიშროების გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი ჩხეიძემ სახელმწიფო უშიშროების დაცვას შესწირა თავისი ცხოვრება. უშიშროების კომიტეტის უმაღლესი კურსებისა და მოსკოვის უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1984-1987 წლებში ავღანეთში სპეციალურ დავალებას ასრულებდა. მომდევნო წლებში დააწინაურეს უშიშროების მინისტრის მოადგილედ, სასაზღვრო ჯარების სარდლად, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ, საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილედ და საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის დირექტორად.
ვალერი ჩხეიძის საუბარი ჩაიწერა და გამოსაქვეყნებლად მოამზადა არმაზ სანებლიძემ.**



ვალერი ჩხეიძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37 (413)

ერთ ამბავს გავიხსენებ.

სოხუმში, სახელმწიფო აგარაკზე, აფხაზ უხუცესთა ჯგუფი მოვიდა. ამ დროს მე ქვედა პოსტზე ვმორიგეობდი, ძირითად შემოსასვლელთან. განმიცხადეს, რომ სურდათ რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა. აგარაკზე მაშინ იმყოფებოდნენ **ედუარდ შევარდნაძე, ალექსი ინაური** და, თუ არ ვცდები, **კაპიტონოვი** —საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წარმომადგენელი. ეს უკანასკნელი სპეციალურად კი არ იყო მოვლინებული, არამედ შვებულებას ბიჭვინთაში ატარებდა და, რადგან აქვე იყო, მას მიანდეს აფხაზეთის მოვლენების გაკონტროლება და მოგვარება.

ჩემი საგუშაგოდან დავუკავშირდი აგარაკს და მოვახსენე, რომ უხუცესები ითხოვდნენ ხელმძღვანელობასთან შეხვედრას.

ათ კაცამდენ იყვნენ, ჩოხები ეცვათ და მკერდზე ორდენები და მედლები ეკიდათ — ზოგი ომის ვეტერანი იყო, ზოგი — შრომის.

გამოგზავნეს მანქანა: აგარაკი საკმაოდ დაშორებულია შესასვლელს, გზა აღმართში მიდის და მოხუცებულებს გაუჭირდებოდათ ფეხით სიარული.

ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ.

რაც ამის შემდეგ მოხდა, სხვისი მონათხრობით ვიცი — ჩემი კოლეგა-ოფიცრების, რომლებიც აგარაკზე მორიგეობდნენ.

ხანდაზმულების დელეგაცია შეხვდა გენერალი ინაური. სტუმრებმა უთხრეს, რომ მისულები იყვნენ ხალხის დავალებით და მიტანილი ჰქონდათ პეტიცია, რომლითაც ითხოვდნენ რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარესთან აფხაზეთის შეერთებას.

**ინაური პირდაპირი კაცი იყო და მოურიდებლად მოუჭრა:**

**— თუ არ დაწყნარდებით, კრასნოდარის კი არა, კრასნოიარსკის მხარეს შეგაერთებთო.**

**კრასნოიარსკის მხარე ციმბირშია.**

**ხანზადმულთა, ანუ სეპარატისტების კატეგორიულ მოთხოვნას საქართველოს ხელისუფლება ხისტი პოზიციით უპასუხებდა. არავინ აპირებდა მათთან ენის მოჩლექვით ლაპარაკს, მაგრამ, ამასთანავე, ხელისუფლებამ გაითვალისწინა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები — სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტად გადაკეთდა, გაიხსნა ადგილობრივი სატელევიზიო მაუწყებლობა, მოგვარდა სხვა საკითხებიც.**

თანდათან დაწყნარდა სიტუაცია, მაგრამ მიტინგზე, რომელიც დასკვნითი შეკრება გამოდგა და რომელიც აფხაზეთში მოღვაწე და მცხოვრები ქართველების მიერ იყო ორგანიზებული, ვიღაც ფარული დირიჟორი (რომელზეც ზემოთ მიგანიშნეთ) შეეცადა პროვოკაციის მოწყობას.

უამრავი ხალხი შეიყარა სოხუმში, ლენინის მოედანზე, სადაც მანამდე სეპარატისტები მართავდნენ თავიანთ მიტინგებს. ადგილობრივ სამართალდამცველებთან ერთად ამ შეკრებაზე წესრიგს ჩვენც ვიცავდით: პირველ ეშელონად მერვე პოლკი იდგა, შემდეგ — მილიცია, ბოლოს — ჩვენ.

ვხედავთ, გამოგვეცხადნენ აფხაზები — სამი თუ ოთხი კაცი, გვირგვინით ხელში.

როგორღაც მოახერხეს და ორი ეშელონი, რომლებიც ჩვენამდე იდგა, გამოიარეს.

— სად მიდიხართ? — ვეკითხებით. ცნობისმოყვარეობის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ არსებულ სიტუაციაში ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მათ შორის არც ტერაქტის მოწყობა იყო გამორიცხული.

გვიპასუხეს, რომ მიდიოდნენ ლენინის ძეგლთან და ეს გვირგვინიც იქ უნდა დაედოთ.

ერთი ჩვენი თანამშრომელი იუმორისტულ ტალღაზე გადაერთო და ჩაეკითხა:

— ლენინთან მიგაქვთ?

— ლენინთან.

— დაგვიტოვეთ ეს თქვენი გვირგვინი, ხვალ მოსკოვში მივფრინავთ და ვლადიმერ ილიჩს პირდაპირ მავზოლეუმში მივართმევთ.

უკან მივაბრძანეთ.

**რა დასკვნის გაკეთება შეიძლება აფხაზეთის მოვლენების ანალიზის შედეგად? ყველაფერმა, რაც იქ იმ დროს მოხდა, საქართველოს ხელისუფლებას დაანახვა, რომ აფხაზეთში საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალა მოქმედებდა და რომ მას ვიღაც მართავდა. ამას დღევანდელი გადასახედიდან ვაფასებ, რა თქმა უნდა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ბევრი რამ არ მესმოდა.**

მაგალითად, ის, რის შესახებაც კარგა ხნის შემდეგ შევიტყვე: **გარკვეული როლი აფხაზეთში მღელვარების დასაწყნარებლად ითამაშეს ე.წ. კანონიერმა ქურდებმა. ერთი შეხედვით, მოულოდნელი უნდა იყოს ასეთი რამ, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს კასტა ფულს შოულობდა საკურორტო სეზონის დროს, დესტაბილიზაცია კი უკიდურესად უარყოფითად იმოქმედებდა ტურისტებისა და დამსვენებლების ჩამოსვლაზე, სიტუაციის არევა მათ ხელს არ აძლევდა: ისინი „საკურორტო ინდუსტრიაზე“ პარაზიტობდნენ, შეწერილი ჰქონდათ „გადასახადები“ და ამ გზითა და საშუალებით ამდიდრებდნენ „ობშჩიაკსაც“ და პირად ბიუჯეტსაც.**

1980-იან წლებში გავარკვიე, რომ კურორტ კისლოვოდსკში ჩატარებულა დიდი ქურდული შეკრება („სხოდკა“), რომელზეც გადაუწყვეტიათ, რომ სამოქალაქო ომის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ შავი ზღვის სანაპიროსა და ჩრდილოეთ კავკასიის კურორტების მასშტაბით.

ომი აფხაზეთში სწორედ 80-იან წლებში უნდა დაწყებულიყო და არა 90-იან წლებში.

ძალაუნებურად დაფიქრდები, ვინ, რა ძალა წარმართავდა ამ პროცესებს?

მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად და შეტაკებების გარეშე დამთავრდა. ჩვენ კიდევ ორიოდ კვირის განმავლობაში დავრჩით აფხაზეთში. აქტიურად ვურთიერთობდით ჩვენს კოლეგებთან და ბევრი რამ საინტერესო სწორედ მათგან შევიტყვეთ. კარგად არ მახსოვს, გენო ბერულავამ მითხრა თუ ძიაფშბამ (ორივენი უშიშროების თანამშრომლები იყვნენ), რომ, სამწუხაროდ, აფხაზეთში ყველაფერი ამით არ დამთავრდებოდა. ადგილობრივები ჩვენზე მეტ ინფორმაციას ფლობდნენ.

ასეც მოხდა, რისი მოწმენიც ყველანი გავხდით 1990-იანი წლების დასაწყისში. მე კი მოვლენების ეპიცენტრში აღმოვჩნდი.

ვარ ფოთში, ამბოხებული **ლოთი ქობალიასგან** გავათავისუფლეთ ქალაქი, თვითონ „სარდალი“ ქობალია კი გემით „სალხინო“ ფოთის ნავსადგურიდან ანაკლიისკენ წავიდა. ადმირალი **ბალტინი** თავისი საზღვაო მედესანტეებით შემდეგ შემოვიდა ქალაქში.

მირეკავს ბატონი **ანზორ მაისურაძე**, კიტოვანი გეძებს, ხვალ ზუგდიდში თათბირი აქვს და ეგებ ჩახვიდეო. მგონი, რაღაც სისულელის გაკეთებას აპირებენ. გამოიყენე შენი გამოცდილება, პროფესიონალიზმი, რაღაც უბედურებას რომ არ გადაგვყარონო.

მე ამ მომენტში ანზორ მაისურაძის მოადგილე ვარ. ჩავედი ზუგდიდში. უშიშროების განყოფილებაში შევიკრიბეთ. ვხედავ, კედელზე გვარდიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს ჩამოკიდებული აქვთ უზარმაზარი რუკა, მიხატული რაღაც ისრები, ვერ გაარჩევ, რას უნდა ნიშნავდეს. აშკარა დილეტანტიზმია. მომხსენებელი (გვარს არ დავასახელებ, რადგან გარდაცვლილია) გვიყვება, რომ აი, აქედან შედის **აკია ბარბაქაძის** ბატალიონი (ბატალიონში 30 კაცია) აფხაზეთში და იწყებს შეტევით მოქმედებას.

**კიტოვანი,** ამას რომ მოისმენს, ნაპოლეონის პოზაში დადგება და გასცემს ბრძანებას:

— შედიხარ გუდაუთაში, აპატიმრებ არძინბას და ჩამოგყავს თბილისში!

მომხსენებელი ავალებს **კობალაძეს:**

— შენ ადიხარ ტყვარჩელში, შენი ბატალიონით ოკუპირებას უკეთებ ქალაქს!

ამ დროს კობალაძის ბატალიონშიც დიდი-დიდი 30 მებრძოლია, გალეირებული არიან ქვეითთა ოთხი ბე-ემ-პეთი (ქვეითთა ჯავშანმანქანით), რომელთა ეკიპაჟები გრუ-ს „კონტრაქტნიკები“ არიან. ამ ძალებით ქალაქი უნდა აეღოთ და კონტროლი განეხორციელებინათ(!).

ომობანას თამაშობდნენ. და, საერთოდ, **აფხაზეთის ავანტიურა იმთავითვე განწირული იყო. არაფერი იყო წინასწარ გათვლილი, აწონილი, დაგეგმილი. უვიცების ჭრელ საზოგადოებას ჰქონდა მინდობილი ეს საქმე; თვითმარქვია სარდლებს, რომლებსაც, სტრატეგიასა და ტაქტიკაზე კი არა, ჩვეულებრივი საბრძოლო ოპერაციის განხორციელებაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ.**

შემდეგ ჩაერთნენ უჭკვიანესი, ენციკლოპედიურად განათლებული გენერალ-ლეიტენანტი **თავაძე**, ადმირალი **ჯავახიშვილი**, პოლკოვნიკი **ნიკოლაიშვილი,** თორემ თავიდან — ავოე!

აფხაზეთში შევარდნა იყო კიტოვანის არაპროფესიონალთა გვარდიის სტრატეგიაც და ტაქტიკაც. ვიღაც აკია ბარბაქაძეზე, თენგიზ კიტოვანსა და ასეთ შემთხვევით ხალხზე იყო ყველაფერი დამოკიდებული.

ამიტომ იყო, რომ დამირეკა გენერალმა ანზორ მაისურაძემ და დამავალა, ყველაფერი გამეკეთებინა ამათი ავანტიურის ჩასაშლელად.

თათბირზე ყველა მზად იყო ბერლინის ასაღებად!

კიტოვანმა გამოაცხადა:

— მოდი ახლა კა-გე-ბეს პოლკოვნიკს მოვუსმინოთ!

ავდექი და გავანადგურე ბრავადული მოხსენება. ქვა ქვაზე არ დამიტოვებია! პირდაპირ ვუთხარი, ჩვენ აქ „ზარნიცას“ (იყო ასეთი საყმაწვილო მოძრაობა) თამაშს ვაპირებთ თუ სერიოზული საბრძოლო ოპერაციის ჩატარებას?! ერთი სიტყვაც ვერ მოვისმინე თქვენგან, თუ რა ძალა და რა შესაძლებლობა აქვს მოწინააღმდეგეს. ეს ძალიან საიდუმლო ინფორმაცია თუ არის, დავრჩები და პირადად მითხარით ყველაფერი, რაც თქვენთვისაა ცნობილი, მაგრამ ვიცი, რომ არ გაქვთ, არავინ დალაპარაკებია აფხაზეთში უშიშროების ხელმძღვანელ ავთანდილ იოსელიანს, რომელიც მიმდინარე პროცესების საქმის კურსშია. არც შინაგან საქმეთა თავკაცისგან, გივი ლომინაძისგან მიგიღიათ რაიმე ინფორმაცია, და, საერთოდ, იქაურ ქართველებსაც არ შეხვედრიხართ, არც ლიდერს, არც კონსპირაციულებს.

ეტყობა, ჩემმა ამგვარმა გამოსვლამ მაგრად დაარტყა კიტოვანს, ღრმა ფიქრმა გაიტაცა, რასაც, ჩვეულებრივ, წარბის გრეხვით გამოხატავდა და ბოლოს განაცხადა:

— კარგი, ახლა გავაჩეროთ ეს ყველაფერი...

არ დაგიმალავთ, მემაყება, რომ აფხაზეთის ომი, რომელიც 4 აპრილს უნდა დაწყებულიყო, ავაცილე ჩვენს ქვეყანას.



(დასასრული შემდეგ ნომერში)

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1937 წელს დასრულდა იმპერიალიზმსა და ახალგაზრდა საბჭოთა კავშირს შორის ოცწლიანი ომი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მეორე დღესვე დაიწყო. თუ დიდ სამამულო ომში ნათლად იყო წარმოდგენილი ორივე მხარის შეტევის მიმართულებები და ცოცხალი ძალისა თუ საომარი ტექნიკის მონაცემები, იმპერიალიზმსა და საბჭოთა კავშირის ოცწლიან ომში უხილავი იყო მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა და ტექნიკა, რომლითაც უტევდნენ საბჭოთა კავშირს. ამ ფარული ომში გაცილებით რთული იყო თავდაცვისა და თავდასხმის პოზიციების განსაზღვრა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომში.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №36-37 (412-413)

# სტალინი — გზა 1937 წლამდე

1937 წელს იყო პიკი იმ მოვლენებისა, რომლებიც განვითარდა 1918-დან 1940 წლამდე პერიოდში, თავისი კატაკლიზმებით, ტრიუმფით, წარმატებითა და წარუმატებლობით. როგორც მხოლოდ 1945 წლით არ განისაზღვრება დიდი სამამულო ომის პერიპეტიები და აუცილებლად მინიშნებული უნდა იყოს 1941-45 წლები, ასეა წარმოსადგენი 1937 წლამდე და 1937 წლის შემდგომი მოვლენები.

1937 წელს დასრულდა იმპერიალიზმსა და ახალგაზრდა საბჭოთა კავშირს შორის ოცწლიანი ომი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მეორე დღესვე დაიწყო. თუ დიდ სამამულო ომში ნათლად იყო წარმოდგენილი ორივე მხარის შეტევის მიმართულებები და ცოცხალი ძალისა თუ საომარი ტექნიკის მონაცემები, იმპერიალიზმსა და საბჭოთა კავშირის ოცწლიან ომში უხილავი იყო მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა და ტექნიკა, რომლითაც უტევდნენ საბჭოთა კავშირს. ამ ფარულ ომში გაცილებით რთული იყო თავდაცვისა და თავდასხმის პოზიციების განსაზღვრა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომში.

თუ ფაშისტური გერმანიის „მესერშმიტები“ დღედაღამ ბომბავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, 1930-იან წლებში ხალხის მტრები ცეცხლში წვავდნენ და ცოცხლად მარხავდნენ სახლში დარჩენილ ქალებსა და ბავშვებს, როცა მამაკაცები საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობდნენ.

თუ გერმანელები ჰაერიდან აყრიდნენ ბომბებს დონბასის საბადოებს და ქვეყანამ იცოდა, რომ ეს გერმანელი ფაშისტი მხეცების ნახელავი იყო, 1930-იან წლებში ხალხის მტრები ზურგში მოქმედებდნენ და მალულად აფეთქებდნენ მაღაროებს, რომლებშიც ასობით მეშახტე იღუპებოდა.

თუ გერმანული ბომბდამშენები კვალდაკვალ მისდევდნენ სარკინიგზო შემადგენლობებს და ბომბებს აყრიდნენ, ხალხის მტრები შენიღბულად მოქმედებდნენ — ნაღმავდნენ სარკინიგზო მაგისტრალების ლიანდაგებს, აფეთქებდნენ და უამრავი შემადგენლობა ხალხით, ხორბლითა და სხვადასხვა სანოვაგით დატვირთული ცეცხლის ალში ეხვეოდა.

სტალინმა, მიუხედავად ასეთი მძაფრი წინააღმდეგობისა, ბრწყინვალედ დაასრულა პირველი ხუთწლედი და გააოცა მსოფლიო. მიუხედავად ხალხის მტრების ჩანაფიქრისა, ჩამოექციათ საბჭოთა კავშირი, ახალგაზრდა სახელმწიფო, სტალინის მეთაურობით, გრანდიოზული ნაბიჯებით მიიწევდა წინ. აი რას წერდნენ იმხანად მსოფლიოს მედიასაშუალებები:

*ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთი **„ტანი“,** 1932 წლის ზაფხული:

**„კომუნიზმი გიგანტური ტემპებით ამთავრებს რეკონსტრუქციას, როცა კაპიტალისტური წყობილება მხოლოდ ნელი ნაბიჯით წინსვლის საშუალებას იძლევა... საფრანგეთში, სადაც მიწის საკუთრება დაყოფილია მესაკუთრეებს შორის, შეუძლებელია სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; საბჭოელებმა კი, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას, შეძლეს პრობლემის გადაჭრა... ჩვენთან შეჯიბრებაში ბოლშევიკები გამარჯვებული აღმოჩნდნენ“.**

* ინგლისური ბურჟუაზიული ჟურნალი **„რაუნდ თეიბლი“:**

**„ხუთწლიანი გეგმის მიღწევები გასაოცარია, სატრაქტორო ქარხნები ხარკოვსა და ლენინგრადში, საავტომობილო ქარხანა მოსკოვში, საავტომობილო ქარხანა ნიჟნი ნოვგოროდში, დნეპრის ჰიდროელექტროსადგური, ლითონის ჩამომსხმელი გრანდიოზული ქარხნები მაგნიტოგორსკსა და კუზნეცკში, მანქანთმშენებლობისა და ქიმიური ქარხნების ქსელი ურალზე, რომელიც საბჭოთა რურად იქცევა — ეს და სხვა სამრეწველო მიღწევები მოწმობს, რომ, როგორიც უნდა იყოს სიძნელეები, საბჭოთა მრეწველობა იზრდება, როგორც მცენარე, რომელსაც კარგად რწყავენ... ხუთწლიანმა გეგმამ საფუძველი ჩაუყარა მომავალ განვითარებას და უაღრესად გაზარდა საბჭოთა კავშირის სიმძლავრე.... შეიძლება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ რუსეთის ახალგაზრდობასა და მუშებს აქვთ ერთი რამ, რასაც, სამწუხაროდ, დღეს მოკლებულნი არიან კაპიტალისტურ ქვეყნებში — ეს არის იმედი.**

* ამერიკული ბურჟუაზიული ჟურნალის — **„ნეიშენ“**-ის თვალსაზრისი, გამოთქმული 1932 წლის ნოემბერში:

**„ხუთწლიანი გეგმის ოთხმა წელმა ჭეშმარიტად შესანიშნავი მიღწევები დაგვანახვა. საბჭოთა კავშირი სამხედრო დროის ინტენსივობით მუშაობდა ახალი ცხოვრების საფუძვლების შექმნის ამოცანის გადასაჭრელად. ეს ქვეყანა ისე იცვლება, რომ შეიძლება ველარ იცნოთ... პირველად ისტორიაში რუსეთმა დაიწყო ალუმინის, მაგნეზიტის, აპატიტის, იოდისა და ბევრი სხვა ძვირფასი პროდუქტის მოპოვება. საბჭოეთის ველებზე გზის მაჩვენებლები დღეს არის არა დიდი ჯვრები და ეკლესიის გუმბათები, არამედ მარცვლეულის ელევატორები და სასილოსე კოშკები.... რუსეთი იწყებს „მანქანებით აზროვნებას“. რუსეთი ხის საუკუნიდან სწრაფად შედის რკინის, ფოლადის, ბეტონისა და ძრავების საუკუნეში“.**



## სტალინმა, მიუხედავად მძაფრი წინააღმდეგობისა, ბრწყინვალედ დაასრულა პირველი ხუთწლედი და გააოცა მსოფლიო. მიუხედავად ხალხის მტრების ჩანაფიქრისა, ჩამოექციათ საბჭოთა კავშირი, ახალგაზრდა სახელმწიფო, სტალინის მეთაურობით, გრანდიოზული ნაბიჯებით მიიწევდა წინ

მკითხველს ეს ამონარიდები იმიტომ მივაწოდე, რომ ნათლად წარმოიდგინოს, როგორ პირობებში უწევდა სტალინს მუშაობა და უკიდეგანო სივრცეებზე შრომის ორგანიზება, მაშინ, როდესაც ოპოზიციის ლიდერი **ლევ ტროცკი** ასეთ მითითებას აძლევდა ხელისუფლებაში მოკალათებულ მაღალჩინოსან **კრესტინსკის:**

**„ჩვენი ურთიერთობები უნდა გავაღრმავოთ არა მხოლოდ რაიხსვერთან, არამედ ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის მთავრობებთანაც. თუ ჩვენ ვიბრძვით ხელისუფლებისთვის, ამისათვის საჭიროა, რომ იმ მომენტისთვის, როდესაც გერმანია თავს დაესხმება საბჭოთა კავშირს, ყველა ცნობილი ძალა მზად უნდა გვყავდეს. აუცილებელია, დასაყრდენი გვქონდეს როგორც ქალაქში, ასევე სოფლად, წვრილ ბურჟუაზიასა და კულაკთან, მათზე კი გავლენა, ძირითადად, აქვთ მემარჯვენეებს. და, საბოლოოდ, აუცილებელია მტკიცე დასაყრდენი წითელ არმიაში, მეთაურებს შორის, რათა შეერთებული ძალებით საჭირო მომენტში ხელთ ვიგდოთ მნიშვნელოვანი პუნქტები და მოვიდეთ ხელისუფლების სათავეში, შევცვალოთ ახლანდელი მთავრობა, რომელიც უნდა დავაპატიმროთ, მის ადგილზე კი ჩვენი წინასწარ მომზადებული მთავრობა დავსვათ“.**

კრესტინსკის ტროცკიმ ისიც გაანდო, რომ ახლო ურთიერთობა აქვს ევროპის დიდი სახელმწიფოების მთავრობებთან, რომ მოსალოდნელია, ამ მთავრობათა მეთაურებმა მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადონ. ხოლო თვითონ (ტროცკიმ) დაიკისრა ვალდებულება, რომ გერმანიას — უკრაინის, ხოლო იაპონიას შორეულ აღმოსავლეთს დაუთმობდა.

1935 წელს ტროცკიმ ოსლოდან გაუზავნა წერილი-დირექტივა **რადეკს.** ტროცკი არწმუნებდა მას, რომ საბჭოთა კავშირი „გარდაუვალი კრახის“ წინაშე დგას. წერილში, კერძოდ, ნათქვამია:

**„ეს უნდა მოხდეს არაუგვიანეს 1937 წლისა, როცა გერმანია და იაპონია თავს დაესხმიან საბჭოთა კავშირს. ჩვენი ბლოკის ხელისუფლებაში მოსვლა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აგრესორებს ქმედით დახმარებას გავუწევთ. ეს დახმარება კი უნდა გამოიხატოს გაძლიერებით ტერორისტული და დივერსიული ბრძოლისა, რომელიც უნდა წარიმართოს გერმანელი და იაპონელი მოკავშირეების უშუალო მითითებებისა და მეთვალყურეობის ქვეშ. ეს თავდასხმამდე. თავდასხმის შემდეგ კი სამხედროებმა ტუხაჩევსკის უშუალო ხელმძღვანელობით და მისი მკაცრი მეთვალყურეობით უნდა უზრუნველყონ ფრონტის გახსნა და წითელი არმიის ფრონტისპირა შენაერთების ტყვედ დანებება. ჩვენ მოგვიწევს გერმანიისთვის უკრაინის დათმობა, ხოლო იაპონიისთვის — შორეული აღმოსავლეთის, ამურისპირეთის ჩათვლით. გერმანიას სჭირდება ნედლეული და გასაღების ბაზრები. ამ მიზნით ჩვენ მას უნდა გადავცეთ რკინის, ალუმინის, სპილენძის, მარგანეცის, ტყვიის, ოქროს, აპატიტების საბადოები.... და მივაწოდოთ საკვები პროდუქტები დაბალ ფასებში. იაპონიას ჩვენ უნდა დავუთმოთ სახალინის ნავთობსაბადოები. ამასთანავე, მივცეთ გარანტია, რომ ამერიკასთან ომში ჩაბმის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ ნავთობპროდუქტებით. გერმანია-იაპონიის სამხედრო ალიანსი მხოლოდ და მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემთხვევაში მოიყვანს ჩვენს ბლოკს რუსეთის ხელისუფლების სათავეში“.**

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ტროცკი თავის სამოქმედო პროგრამას ასე აყალიბებს:

**„ჩვენ უნდა გადავაქციოთ რუსეთი თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ, რომელსაც ისეთ ტირანიას მოვახვევთ თავს, როგორიც არც კი დასიზმრებია აღმოსავლეთის ყველაზე საშინელ დესპოტებს. განსხვავება იქნება მხოლოდ ის, რომ ეს ტირანია იქნება არა მარჯვნიდან, არამედ მარცხნიდან და არა თეთრი, არამედ წითელი, ვინაიდან ჩვენ სისხლის ისეთ ნაკადებს დავღვრით, რომლის წინაშე შეძრწუნდება და გაუფერულდება კაპიტალისტური ომების ყველა ადამიანური დანაკარგი. ოკეანისგაღმელი დიდი ბანკირები ჩვენთან უმჭიდროეს კონტაქტში იმუშავებენ. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, რუსეთის ნანგრევებზე განვამტკიცებთ სიონიზმის ხელისუფლებას და ისეთ ძალად ვიქცევით, რომლის წინაშეც მსოფლიო დაიჩოქებს. ჩვენ ვაჩვენებთ, რა არის ნამდვილი ხელისუფლება. ტერორის სისხლიანი აბანოების გზით ჩვენ მივიყვანთ რუს ინტელიგენციას სრულ გამოჩლუნგებამდე, იდიოტიზმამდე, ცხოველურ მდგომარეობამდე... ჯერჯერობით კი ჩვენი ყმაწვილები — ოდესელი და ორშელი, გომელელი და ვინიცელი ტყავისქურთუკიანი ყმაწვილები — მესაათეთა შვილები თავიანთ დროს ელიან და... ო, რა მშვენივრად, რა დიდებულად სძულთ მათ ყველაფერი რუსული! როგორი განცხრო-** ▶

## თუ ფაშისტური გერმანიის «მესერშმიტები» დღედაღამ ბომბავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, 1930-იან წლებში ხალხის მტრები ცეცხლში წვავდნენ და ცოცხლად მარხავდნენ სახლში დარჩენილ ქალებსა და ბავშვებს, როცა მამაკაცები საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობდნენ

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1937 წლის 30 იანვარს სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: პიატაკოვს, მურალოვს, შესტოვსა და კიდევ სხვა 10 დამნაშავეს — დახვრეტა; სოკოლნიკოვს, რადეკსა და შეთქმულების კიდევ 2 მონაწილეს — ათ-ათი წლით პატიმრობა.

**◀ მით მოსპობენ ისინი ფიზიკურად რუს ინტელიგენციას — ოფიცრებს, ინჟინრებს, მოსწავლეებს, ღვთისმსახურებს, გენერლებს, აკადემიკოსებს, მწერლებს...“ (ა. სიმანოვიჩი, „მოგონებები“).**

1930-იან წლებში ოპოზიციის ზღვარგადასულ ქმედებებს დაემატა 1934 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადში **სერგეი კიროვის** მუხანათური მკვლელობა, რომელიც უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა სტალინის მოთმინების ფიალის ასავსებად. პარტიული, სახელმწიფო თუ სამეურნეო ელიტა სტალინს ბრალს სდებდა ლმობიერებაში. **ივანე ბენედიქტოვმა,** სტალინის ერთ-ერთმა უახლოესმა თანამებრძოლმა, რომელიც ოცი წლის განმავლობაში უძღვებოდა სოფლის მეურნეობას, პოლიტბიუროს სხდომაზე პირდაპირ განუცხადა სტალინს, რომ ლენინის მთავრობაში ყველაზე დიდი ლიბერალი არის სტალინი, ეს კი თანამედროვე პირობებში შეუწყნარებელიაო. ამ აზრს იზიარებდა უკლებლივ ყველა, ვინც 1930-იან წლებში სოციალიზმის მშენებლობის გზას ადგა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი ხელისუფლებაში. კიროვის მკვლელობის საგამომძიებლო კომისიამ მის ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით, სტალინს **ზინოვიევისა** და **კამენევის** დაპატიმრების სანქცია მოსთხოვა, რომელიც დიდი ყოყმანის შემდეგ გასცა პოლიტბიურომ. 1936 წლის 19 აგვისტოს ზინოვიევიევის, კამენევისა და კიდევ 12 სხვა მაღალჩინოსნის სასამართლო პროცესი გაიმართა.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა იუსტიციის პირველი რანგის კომისარი **ვასილ ულრიხი.** სახელმწიფო ბრალმდებელი კი იყო პროკურორი რომან **რუდენკო.**

განსასჯელებს წაყენებული ჰქონდათ ბრალდებები:

**1. ტროცკისტურ-ზინოვიევური ცენტრის ორგანიზება საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა მკვლელობის მიზნით;**

**2. კიროვის მუხანათური მკვლელობა 1934 წლის 1 დეკემბერს;**

**3. მთელი რიგი ტერორისტული ჯგუფების მომზადება: სტალინის ვოროშილოვის, მოლოტოვის, ჟდანოვის, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძისა და სხვათა მკვლელობის მიზნით.**

სტალინმა გამოსცა განკარგულება, სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება მიეცათ საზღვარგარეთისა და საკავშირო პრესის წარმომადგენლებისთვის, საბჭოთა კავშირში აკრედიტებული ელჩებისთვის, გამოჩენილი ადამიანებისთვის, მწერლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

სასამართლო პროცესზე წარმოთქმულმა და მოსმენილმა გააოგნა არა მხოლოდ საბჭოეთი, არამედ სრულიად მსოფლიო. დამნაშავეებს საკადრისი მიეზღოთ. სასამართლო პროცესზე პირადად სსრკ-ის გენერალურმა პროკურორმა **ანდრეი ვიშინსკიმ** დაკითხა გერმანიიდან შემოგზავნილი ტროცკისტი **ოლბერგი**, რომელმაც ასე უპასუხა გენერალური პროკურორის შეკითხვებს:

**„ვიშინსკი:** — გერმანელი ტროცკისტების კავშირი გესტაპოსთან სისტემა იყო?

**ოლბერგი:** — კი, სისტემა იყო. და ეს იყო ტროცკის მითითებით.

**ვიშინსკი:** — საიდან იცით, რომ ეს იყო ტროცკის მითითება?

**ოლბერგი:** — ერთ-ერთი იმ ხაზთაგან პირადად ჩემი იყო. ჩემი კავშირი ტროცკის მიერ გაცემული სანქციით იყო ორგანიზებული.

**ვიშინსკი:** — თქვენი პირადი კავშირი ვისთან?

**ოლბერგი** — ფაშისტების საიდუმლო პოლიციასთან.

**ვიშინსკი:** — ე.ი., თქვენ აღიარებთ, რომ პირადად იყავით კავშირში გესტაპოსთან.

**ოლბერგი:** — მე ამას არ უარვყოფ. 1933 წლიდან დაიწყო გერმანელი ტროცკისტებისა და ფაშისტური პოლიციის მაღალჩინოსნების კავშირის ორგანიზებული სისტემა.

ტროცკის ემისარმა **ნათან ლურიემ** სასამართლოს შემდეგი ჩვენება მისცა: „გერმანიიდან გამომგზავრებისას გამომიცხადეს, რომ ვიმუშავებდი **ფრანც ვაიცის** ხელმძღვანელობით, რომელიც საბჭოთა კავშირში შეგზავნილი იყო **ჰიმლერის** მიერ და რომელსაც დავალებული ჰქონდა ტერორისტული აქტების მოწყობა...“

კამენევის გამოსვლამ კი დაჩრდილა მისი წინამორბედების ჩვენებები, მან, ფაქტობრივად, გათქვა კიდევ ერთი ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება.

კამენევმა განაცხადა: **„ჩვენი ჩავარდნის შემთხვევაში, შევქმენით ვიწრო ჯგუფი, რომელიც განაგრძობდა ტერორისტულ საქმიანობას, მის ხელმძღვანელად კი სოკოლნიკოვს განვიხილავდით. ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ ტროცკისტების მხრიდან ამ როლის შესრულებას წარმატებით გაართმევდნენ თავს სერებრიაკოვი და რადეკი... 1932, 33, 34 წლებში მე პირადი ურთიერთობები მქონდა ტომსკისა და ბუხარინთან, ვეცნობოდი მათ პოლიტიკურ განწყობილებებს. ისინი ჩვენ თანაგვიგრძნობდნენ. როდესაც შევეკითხე ტომსკის, როგორაა განწყობილი რიკოვი? მან მიპასუხა: „ისევე, როგორც მე“. ჩემს შეკითხვაზე, რას ფიქრობს ბუხარინი? მან მითხრა: „ბუხარინი ფიქრობს იმასვე, რასაც მე, მაგრამ ატარებს რამდენადმე განსხვავებულ ტაქტიკას — არ ეთანხმება რა პარტიის მოსაზრებებს, ცდილობს თავის დამკვიდრებას მის რიგებში ხელმძღვანელობის ნდობის მოპოვების მიზნით“.**

ამ განცხადებით კამენევმა, ფაქტობრივად, გასცა მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის ლიდერები, რითაც გამოძიებას საფუძველი მისცა საქმის აღძვრაზე.

ტროცკის პირადი დაცვის უფროსმა **ეფიმ დრეიცერმა** სასამართლოს განუცხადა: „თითოეული ჩვენგანის პოლიტიკური ბიოგრაფია და წონა არათანაბარია, მაგრამ მას შემდეგ, რაც გავხდით მკვლელები, ყველანი გავთანაბრდით. ყოველ შემთხვევაში, აქ მე მივეკუთვნები მათ რიცხვს, ვინც არ ელის შენდობას და არც აქვს უფლება მისი მოთხოვნისა“.

**ფრიც-დავიდმა** საბოლოო სიტყვაში თქვა: **„მე ვწყევლი ტროცკის! მე ვწყევლი იმ ადამიანს, რომელმაც დაღუპა ჩემი ცხოვრება და მიბიძგა მძიმე დანაშაულისკენ“.** სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ სასწრაფოდ უნდა დაეპატიმრებინათ **პიატაკოვი, სოკოლნიკოვი, სერებრიაკოვი და რადეკი.** სასამართლო პროცესზე რადეკმა პროკურორის შეკითხვებს ასე უპასუხა:

„როცა აღმოვჩნდი შინსახკომში, გამოძიების ხელმძღვანელმა მითხრა: „თქვენ ხომ პატარა ბავშვი არ ხართ. აი, 15 ჩვენება თქვენ წინააღმდეგ, თქვენ ვერ შეძლებთ თავის დაძვრენას, ძალიანაც რომ ეცადოთ... ორთვე-ნახევრის განმავლობაში ვაწვალებდი გამომძიებელს. როდესაც აქ დასვეს კითხვა, გვაწამებდნენ თუ არა ჩვენ გამომძიებლები საქმის ძიებისას, უნდა ვთქვა, რომ მე კი არ მაწამებდნენ გამომძიებლები, არამედ, პირიქით — მე ვაწამებდი გამომძიებლებს, რადგან ვაიძულებდი, ეკეთებინათ ზედმეტი, უსარგებლო სამუშაო. ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვაიძულებდი გამომძიებელს, გაეცნო ჩემთვის ყველა ბრალდებულის ჩვენება, გაეხსნა მთლიანი სურათი, რათა დამენახა, ვინ აღიარა, ვინ არ აღიარა, ვინ რა ამხილა... და ერთხელ ჩემთან მოვიდა გამომძიების უფროსი და მითხრა: თქვენ ბოლო ბრძანდებით, რატომ კარგავთ დროს, რატომ აყოვნებთ, არ ამბობთ იმას, რისი თქმაც შეგიძლიათ და იცით. და მეც ვუთხარი: დიახ, ხვალ მე დავიწყებ ჩვენებების მიცემას“.

**1937 წლის 30 იანვარს სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: პიატაკოვს, მურალოვს, შესტოვსა და კიდევ სხვა 10 დამნაშავეს — დახვრეტა; სოკოლნიკოვს, რადეკსა და კიდევ შეთქმულების ორ მონაწილეს — ათ-ათი წლით პატიმრობა.**

დაზვერვა და კონტრდაზვერვა, ისევე, როგორც შინსახკომი და სამხედრო დაზვერვა, მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. მათ მიერ მოპოვებული უამრავი მასალა, რომლებიც მოდიოდა როგორც საზღვარგარეთიდან, ასევე ქვეყნის შიგნიდან, ეჭვგარეშე აყენებდა მაღალჩინოსან სამხედრო პირთა შეთქმულების არსებობას, რომლის მიზანი სახელმწიფოში ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მათი ბელადების, პირველ რიგში, სტალინის, ფიზიკური განადგურება იყო. ერთ-ერთი წყარო, მაგალითად, მიუთითებდა: **„მზადდება სახელმწიფო გადატრიალება, რომლის ორგანიზატორია ენუქიძე. შექმნილია ცენტრი, რომელშიც შედიან კამენევი, რიკოვი, პიატაკოვი, ენუქიძე; მასში გაერთიანდნენ ბუხარინი და ტომსკიც. ამ ცენტრთან დაკავშირებულია ტუხაჩევსკის სამხედრო ჯგუფი. მასში დიდ როლს ასრულებს იაგოდა“.**

სამხედრო გადატრიალების მზადების ერთ-ერთ ეპიზოდზე საუბრობს ჩეკას ყოფილი კურსანტი, შემდგომში კუნცევოში სტალინის აგარაკის კომენდანტი გენერალი **ორლოვი:** „1936 წლის დასაწყისში იაგოდამ, მისმა მოადგილე **აგრანოვმა,** სამთავრობო დაცვის უფროსმა, კომისარმა **პაუკერმა**, მისმა მოადგილე **ვოლოვიჩმა** და კაპიტანმა **გინცელმა** შექმნეს მებრძოლთა განსაკუთრებული ასეული. მასში შეგვიყვანეს მე და ჩემი თანაკურსელები — **სერედა** და **იურჩიკი.** ესენი იყვნენ ორი მეტრი სიმაღლის, გოლიათური აღნაგობის, ძლიერი და მოქნილი ახალგაზრდა მებრძოლები. გვასწავლიდნენ აღმოსავლური ორთაბრძოლების ილეთებს, ხიშტის გამოყენებას ხელჩართულ ბრძოლებში, დაბრკოლებების გადალახვას. კარგად გამოგვაწყვეს და შეგვაიარაღეს. წვრთნას ძერჟინსკის მოედანზე გავდიოდით, იაგოდა თავისი კაბინეტის ფანჯრებიდან გვადევნებდა თვალყურს. საბოლოოდ, ჩვენი დათვალიერება ჩეკას ეზოში მოხდა. იაგოდა და მისი თანამოაზრენი ფიქრობდნენ, რომ ყოველგვარ უმსგავსობაზე წავიდოდით მათი გეგმების განსახორციელებლად. გვამზადებდნენ კრემლის ხელში ჩასაგდებად სტალინის დაპატიმრების მიზნით, მაგრამ შეთქმულება ჩავარდა“.

სასამართლო სხდომებმა შიში გამოიწვია უზარმაზარი ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ მიმოფანტულ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ტერორისტულ ჯგუფებში.

მოსკოვში და თვით კრემლში ჩანდა ნირწამხდარი და უფსკრულის პირას მდგარი სახეები. საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე და იმხანად იუსტიციის მინისტრის მოადგილე **ნიკოლოზ კრესტინსკი** ცდილობდა მოვლენების დაჩქარებას და ტერორისტული აქტის დროულად შესრულებას, რისთვისაც რეგულარულ კავშირი ჰქონდა მარშალ ტუხაჩევსკისთან — ტროცკის მარჯვენა ხელთან.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**




**ლევ ტროცკი: ჩვენ უნდა გადავაქციოთ რუსეთი თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ, რომელსაც ისეთ ტირანიას მოვახვევთ თავს, როგორიც არც კი დასიზმრებია აღმოსავლეთის ყველაზე საშინელ დესპოტებს... ოკეანისგაღმელი დიდი ბანკირები ჩვენთან უმჭიდროეს კონტაქტში იმუშავებენ. თუ გავიმარჯვებთ, რუსეთის ნანგრევებზე განვამტკიცებთ სიონიზმის ხელისუფლებას და ისეთ ძალად ვიქცევით, რომლის წინაშეც მსოფლიო დაიჩოქებს. ჩვენ ვაჩვენებთ, რა არის ნამდვილი ხელისუფლება. ტერორის სისხლიანი აბანოების გზით ჩვენ მივიყვანთ რუს ინტელიგენციას სრულ გამოჩლუნგებამდე, იდიოტიზმამდე, ცხოველურ მდგომარეობამდე...**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

სპეცსამსახურები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**17 წლის განმავლობაში(!), სანამ ჯონ უოლკერს გამოააშკარავებდნენ, აშშ-ის შეიარაღებული დასადაზვერვო ძალები პატურ სიტუაციაში იმყოფებოდნენ — იქ, სადაც უნდა ჩატარებული კონსპირაციის ყველა წესის დაცვით ორგანიზებული საიდუმლო სწავლება, ყოველთვის ჩნდებოდნენ „კა-გე-ბეს" თანამშრომლები.**

# სპეცოპერაციების შესანიშნავი ხუთეული




**მკითხველისთვის, ალბათ, ცნობილია სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის („კა-გე-ბეს") მიერ ჩატარებული წარმატებული სპეცოპერაციების შესახებ, მაგალითად, ისეთის, როგორიც იყო აშშ-ისთვის ატომური ბომბის შექმნაზე მომუშავე ცნობილ მეცნიერებთან — რობერტ ოპენჰეიმერსა და ენრიკო ფერმისთან დაახლოებული პირების — მორის კოენისა და ცოლ-ქმარ იულიუს და ეტელ როზენბერგების (სიკვდილით დასაჯეს 1953 წელს) გადაბირება, რომლებიც საბჭოთა სპეცსამსახურებს ამერიკის ატომურ საიდუმლოებებზე ინფორმაციას აწვდიდნენ. ცნობილია ე.წ. ბერლინის გვირაბის შესახებაც, როცა „კა-გე-ბემ" ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და ბრიტანეთის დაზვერვას 6 მლნ დოლარი დაახარჯვინა გვირაბის გათხრაში, სანაცვლოდ კი დეზინფორმაციას აწვდიდნენ; ე.წ. კემბრიჯის ხუთეულის გადაბირება, რომლებიც მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ ბრიტანეთის დაზვერვაში, მაგალითად, კიმ ფილბი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის — „მი-6"-ის ხელმძღვანელი იყო წლების განმავლობაში, გაი ბერჯერი, საგარეო საქმეთა სამინისტროში კონტრდაზვერვის თანამშრომელი და ტელეკომპანია „ბი-ბი-სის" წამყვანი; „კა-გე-ბეს" კიდევ ერთი წარმატებული ოპერაცია იყო გადაბირება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილების ხელმძღვანელ ოლდრიჩ ეიმსისა, რომელიც 9 წლის განმავლობაში აწვდიდა ინფორმაციას საბჭოთა სპეცსამსახურებს, მაგრამ საკმაოდაა ისეთი სპეცოპერაცებიც, რომელთა შესახებ ინფორმაცია ცოტა ხნის წინათ გავრცელდა.**
**ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მასალა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის („კა-გე-ბე") 5 წარმატებული ოპერაციაზე.**

## ოპერაცია „ვიხრი" („გრიგალი")

1956 წლის 3 ნოემბერს, გვიან საღამოს, „კა-გე-ბეს" ოფიცრებმა უნგრეთის თავდაცვის ახალი მინისტრი **პალ მალეტერი** დააპატიმრეს. 4 ნოემბერს, დილის 6 საათზე, საბჭოთა სარდლობამ ეთერში გაუშვა კოდირებული სიგნალი „გრომი" („მეხი"), რომელიც ნიშნავდა ოპერაცია „ვიხრის" დაწყებას უნგრეთში ამბოხების ჩასახშობად. ამბოხების ჩახშობა დავალებული ჰქონდა განსაკუთრებულ კორპუსს.

ოპერაცია „ვიხრში" მონაწილეობდა 15-ზე მეტი სატანკო, მექანიზებული, მსროლელთა და საავიაციო დივიზია, აგრეთვე, მე-7 და 31-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიები, სარკინიგზო ბრიგადა (60 ათასზე მეტი ადამიანი). სამოქალაქო ობიექტების დასაკავებლად შეიქმნა სპეცრაზმები, რომლებსაც მხრს უჭერდა 150 მედესანტე, მედესანტეთა საბრძოლო მანქანები და 10-12 ტანკი.

თითოეულ რაზმში იყვნენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები, მათ შორის, გენერალ-მაიორი **პაველ ზირიანოვი**, გენერალ-მაიორი **კუზმა გრებენიკი** (მოგვიანებით ბუდაპეშტის სამხედრო კომენდანტი), ცნობილი არალეგალი **ალექსანდრე კოროტკოვი.**

მათი ამოცანა იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერმინისტრ **იმრე ნადის** მთავრობის წევრების დაპატიმრების ორგანიზება. საბჭოთა სამხედროებმა ერთ დღეში დაიკავეს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის ყველა ძირითადი ობიექტი. იმრე ნადის მთავრობის წევრებმა თავი იუგოსლავიის საელჩოს შეაფარეს.

22 ნოემბერს, 18 საათსა და 30 წუთზე, ბუდაპეშტში, იუგოსლავიის საელჩოსთან გამოჩნდა მსუბუქი ავტომობილები და პატარა ავტობუსი, რომელშიც იმყოფებოდნენ დიპლომატები და უნგრეთის მთავრობის წევრები, მათ შორის, იმრე ნადიც. სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პოდპოლკოვნიკმა მგზავრებს ავტობუსის დატოვება მოსთხოვა, მაგრამ მათ რეაქციას არ დალოდებია, ავტობუსი ალყაში მოაქცია რამდენიმე ჯავშანმანქანამ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იმჟამინდელმა თავმჯდომარე **ივანე სეროვმა** კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოახსენა, რომ „იმრე ნადი და მისი ჯგუფის წევრები დააპატიმრეს, გადაიყვანეს რუმინეთში და საიმედოდ იცავენ".


ოპერაცია „ვიხრი"

## სტეპან ბანდერას ლიკვიდაცია


ბანდერას ლიკვიდაცია

უკრაინელი ნაციონალისტის, ანტისაბჭოელი ბანდერას ლიკვიდაცია იოლი არ გახლდათ. ის ყოველთვის გარშემორტყმული იყო დაცვის წევრებით, ამასთანავე, მფარველობდნენ დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურები, სწორედ მათი წყალობით ჩაიშალა რამდენიმე თავდასხმა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის ლიდერზე. მაგრამ „კა-გე-ბე" მოთმინებით ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს. სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი **ბოგდან სტაშინსკი** ჰანს-იოახიმ ბუდაიტის პასპორტით რამდენჯერმე ჩავიდა მიუნხენში სტეპან ბანდერას ადგილსამყოფელის დასადგენად. ბანდერას ფსევდონიმი იყო პოპელი (გერმ. — ბრიყვი). სტაშინსკიმ ბანდერას ადგილსამყოფელს სატელეფონო ცნობარის დახმარებით მიაგნო — სწორედ პოპელის გვარით ცხოვრობდა ბანდერა მიუნხენში. **სტაშინსკი საკმაო ხანს ემზადებოდა ოპერაციის ჩასატარებლად. როდესაც კიდევ ჩავიდა მიუნხენში, უკვე ჰქონდა მკვლელობის იარაღი — ციანიდის ამპულებით დამუხტული მინიატურული ორლულიანი მექანიზმი, ინჰალატორი და დამცავი აბები.**

„კა-გე-ბეს" თანამშრომელი ხელსაყრელ მომენტს ელოდა. 1959 წლის 15 ოქტომბერს, დაახლოებით 13 საათზე, დაინახა, როგორ შედიოდა ბანდერას ავტომობილი ავტოფარეხში. სტაშინსკიმ გამოიყენა წინასწარ მომზადებული კლიტის საღებელა და პირველმა შეაღწია სადარბაზოში. სტაშინსკიმ თავდაპირველად იფიქრა, კიბეზე დალოდებოდა ბანდერას, მაგრამ იქ დიდხანს ვერ გაჩერდებოდა, რადგან ზედა სართულების კიბის უჯრედებზე ქალები ლაპარაკობდნენ და შეამჩნევდნენ, ამიტომ მაღალ სართულზე ასული, ქვემოთ დაეშვა. შეხვედრა მოხდა ბანდერას ბინასთან, მესამე სართულზე. ყოველთვის ფრთხილმა უკრაინელმა ნაციონალისტმა, რომელსაც იმ მომენტში დაცვა არ ახლდა (სადარზაბში შესვლისთანავე დაითხოვა), იცნო ბოგდან სტაშინსკი — მანამდე ეკლესიაში ნახა. კითხვაზე „აქ რას აკეთებთ?" სტაშინსკიმ ბანდერას სახის მიმართულებით მილივით დახვეული გაზეთი გაიშვირა, რომელშიც პისტოლეტი-შპრიცი იდო. გაისმა გასროლა. სახეგასისხლიანებული ბანდერა კიბეზე დაეცა. სტაშინსკი კი სასწრაფოდ მიიმალა. სხვათა შორის, სტაშინსკიმ ანალოგიური მოწყობილობით მიუნხენში სიცოცხლეს გამოასალმა უკრაინელი ნაციონალისტების კიდევ ერთი ლიდერი — **ლევ რებეტი.**

## ოპერაცია „ტუკანი"

შურისძიების აქციებისა და ამბოხებების ჩახშობის გარდა, სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ძალისხმევას არ იშურებდა საბჭოთა კავშირის მეგობარი რეჟიმების მხარდასაჭერად.

1976 წელს საბჭოთა კავშირისა და კუბის სპეცსამსახურებმა ერთობლივად ჩაატარეს ოპერაცია „ტუკანი" (ტუკანი — ფრინველთა ოჯახი კოდალასნაირთა რიგიდან). ამ სპეცოპერაციის მიზანი იყო საზოგადოებრივი აზრის შექმნა ჩილეს დიქტატორ **აუგუსტო პინოჩეტის** რეჟიმის მიმართ, რომელმაც არაერთხელ განაცხადა, რომ მისი და ჩილეს მთავარი მტერი არის კომუნისტური პარტია. ოპერაციის იდეა ეკუთვნოდა სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იმჟამინდელ თავმჯდომარეს, მომავალში სსრკ-ის ლიდერ **იური ანდროპოვს.**


აუგუსტო პინოჩეტი

ოპერაცია „ტუკანს" ჰქონდა ორი მიზანი: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პინოჩეტის ნეგატიური იმიჯის შექმნა და უფლებათა დამცველი ორგანიზაციების სტიმულირება აქტიური მოქმედებების დასაწყებად ჩილეს ლიდერზე გავლენის მოსახდენად.

**დაიწყო საინფორმაციო ომი. პოპულარულ ამერიკულ გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსში" გამოქვეყნდა 66 სტატია, რომლებშიც ლაპარაკი იყო ჩილეში ადამიანის უფლებებზე, 4 სტატია მიეძღვნა „წითელ ქმერებს" კამბოჯაში, და 3 სტატია — ადამიანის უფლებების დაცვას კუბაზე.**

ოპერაცია „ტუკანის" მიმდინარეობისას „კა-გე-ბემაც" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აშშ-ის დაზვერვა დადანაშაულებული იყო ჩილეს სპეცსამსახურების თანამშრომლების პოლიტიკურ დევნაში. ამ წერილში მონაცემები ფალსიფიცირებული იყო, თუმცა ბევრი ჟურნალისტი, მათ შორის, „ნიუ იორკ თაიმსის" თანამშრომელი **ჯეკ ანდერსონი**, მტკიცებულებად იყენებდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წინააღმდეგ და წერდა, რომ ამერიკის დაზვერვამ ოპერაცია „კონდორის" მიმდინარეობისას სამხრეთ ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში ოპერაციის ლიდერების ლიკვიდაცია მოახერხა.

## ჯონ უოლკერის გადაბირება

სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა სახელი გაითქვა დასავლეთის სპეცსამსახურების სპეციალისტების გადაბირებით. ერთ-ერთი წარმატებული ოპერაცია კი იყო 1967 წელს ამერიკელი **ჯონ უოლკერის** გადაბირება, რომელიც ინფორმაციის დაშიფვრა-გაშიფვრის სპეციალისტი გახლდათ.

ამასთანავე, „კა-გე-ბემ" ხელში ჩაიგდო ამე- ▶

**ცსს-მ, როგორც ჩანს, სწორი დასკვნები ვერ გააკეთა ავღანეთის მოვლენებიდან და ამიტომ ათი წლის შემდეგ თითქმის ანალოგიური პოლიტიკის განხორციელება დაიწყო სირიაში — იარაღით მოამარაგა ისინი, ვინც თავს „ზომიერ ოპოზიციას“ უწოდებს და იბრძვის ბაშარ ასადის წინააღმდეგ. ეს ე.წ. „ზომიერი ოპოზიცია“ კი, როგორც გაირკვა, „ალ ქაიდასთან“ არის დაკავშირებული.**

საერთაშორისო ურთიერთობების... 
საქსამსახურები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




ჯონ უოლკერი

◀ რიკული მოწყობილობა KL-7, რომელსაც აშშ-ის ყველა სპეცსამსახური იყენებდა ტექსტების დასაშიფრავად.

ჟურნალისტმა **პიტ ერლიმ**, რომელმაც წიგნი დაწერა უოლკერზე, განაცხადა, რომ „ამერიკელი სპეციალისტის გადაბირებით შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებს თავისი საკომუნიკაციო ცენტრი თითქოს პირდაპირ წითელ მოედანზე ჰქონდათ გახსნილი“.

**17 წლის განმავლობაში(!), სანამ ჯონ უოლკერს გამოააშკარავებდნენ, აშშ-ის შეიარაღებული და სადაზვერვო ძალები პატურ სიტუაციაში იმყოფებოდნენ — იქ, სადაც უნდა ჩატარებული კონსპირაციის ყველა წესის დაცვით ორგანიზებული საიდუმლო სწავლება, ყოველთვის ჩნდებოდნენ „კა-გე-ბეს“ თანამშრომლები.**

შიფრის კოდების გასაღებს უოლკერი ყოველდღიურად გადასცემდა საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებს, მაგრამ თავის აგენტურულ ქსელში ოჯახიც ჩართო, რის გამოც თავი დაიღუპა. ჯონ უოლკერი განსასჯელის სკამზე ყოფილი ცოლის, ბარბარას, ჩვენების საფუძველზე აღმოჩნდა. უოლკერს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

## „ჰეზბოლას“ მძევლების გათავისუფლება

1985 წლის 30 სექტემბერს ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში მძევლად აიყვანეს საბჭოთა კავშირის საელჩოს 4 წარმომადგენელი, მათგან ორი „კა-გე-ბეს“ თანამშრომელი იყო — **ვალერი მირიკოვი** და **ოლეგ სპირინი.**

მძევლად აყვანა „კლასიკური“ სცენარის მიხედვით განხორციელდა: მანქანების ბლოკირება, შავი ნიღბები, სროლა, მუქარა. საკონსულო განყოფილების თანამშრომელი **არკადი კატკოვი** შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ტყვიამფრქვევის ჯერით შეაჩერა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა დაიკისრა ლიბანურმა დაჯგუფება „ხალედ ბინ ალ-უალიდის“ ძალებმა, მაგრამ „კა-გე-ბეს“ რეზიდენტურამ ბეირუთში გამოარკვია, რომ მძევლად აყვანის ნამდვილი ორგანიზატორები იყვნენ „ჰეზბოლას“ შიიტი ფუნდამენტალისტები და პალესტინის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (ფათჰი) აქტივისტები. სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, აგრეთვე, მოიპოვა ინფორმაცია, რომ საბჭოთა დიპლომატების მძევლად აყვანა შეთანხმებული იყო ირანის მაღალ სასულიერო პირებთან, ტერორისტებმა კი თავდასხმაზე თანხმობა მიიღეს „ჰეზბოლას“ რელიგიური ლიდერის — შეიხ **ფადლალისგან.** ამ ტერორისტულ აქციას ჰქონდა პოლიტიკური მიზანი. „ჰეზბოლას“ სურდა, მოსკოვი აეძულებინა, მოეხდინა გავლენა სირიაზე, რათა ამ ქვეყნის ხელისუფლებას უარი ეთქვა ტრიპოლსა (ლიბიის დედაქალაქი) და ბეირუთში „ბოევიკებისგან“ იმ ტერიტორიების გაწმენდის ოპერაციის ჩატარებაზე, რომელსაც „ჰეზბოლა“ და ფათჰი აკონტროლებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა თითქმის ყველა მოთხოვნა შეასრულა, ტერორისტები მძევლების გათავისუფლებას არ ჩქარობდნენ. ცენტრმა დაავალა თავის რეზიდენტს ბეირუთში, შეხვედროდა „ჰეზბოლას“ იმჟამინდელ სულიერ ლიდერს და აეძულებინა ის, გაეთავისუფლებინა მძევლები.

შეხვედრა გაიმართა. რეზიდენტმა განაცხადა, რომ აქამდე „სსრკ-მა მოთმინების მაქსიმუმი გამოავლინა, ამიერიდან კი შეიძლება სერიოზულ მოქმედებებზე გადავიდეს“.

აიათოლამ გაიფიქრა, რომ, თუ საბჭოთა დიპლომატებს არ გაათავისუფლებდა, „შემთხვევით გაშვებული“ საბჭოთა რაკეტა, მაგალითად, CC-18, „შემთხვევით“ დაეცემოდა შიიტთა წმინდა ქალაქ ყუმს ან სხვა ადგილს შუადღის ლოცვისას, ამიტომ განაცხადა, რომ ალაჰის შემწეობით გაათავისუფლებდა მძევლებს.

ამასთანავე, „კა-გე-ბეს“ რეზიდენტურამ ბეირუთში შეძლო **იმად მუგნიას** (ის ხელმძღვანელობდა მძევლების აყვანას) უახლოესი გარემოცვის რამდენიმე წევრის გადაბირება. ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ გაამართლა: მძევლად აყვანიდან ერთი თვის თავზე საბჭოთა დიპლომატები გაათავისუფლეს.

**უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძე**



„ჰეზბოლას“ მძევლების გათავისუფლება

# ცსს-ს მიერ ბოლო 70 წლის განმავლობაში ჩადენილი ყველაზე საშინელი დანაშაულები




ციხე, რომელშიც ახორციელებდნენ პროექტ MK-UETRA-ს

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელში მიულოცა საიუბილეო თარიღი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, რომელიც 70 წლის წინათ შეიქმნა —1947 წლის 18 სექტემბერს.**
**გთავაზობთ საინფორმაციო-ანალიტიკური რესურსის — ZeroHedge-ს მიერ გამოქვეყნებულ მასალას სათაურით „დაბადების დღეს გილოცავთ, ცსს: სამმართველოს 7 საშინელი ქმედება ბოლო 70 წლის განმავლობაში“.**

## მთავრობის დამხობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

ცსს-მ სახელი გაითქვა 1953 წელს ჩატარებული „ოპერაცია აიაქსით“, როდესაც დაამხო ირანის დემოკრატიულად არჩეული ლიდერი **მოჰამად მასადიკი** და აღადგინა რეჟიმი შაჰისა, რომელიც დასავლური სანავთობე კომპანიების ინტერესებს იცავდა. ამ ოპერაცის შედეგი იყო 1979 წლის რევოლუცია და კრიზისი.

ცსს დემოკრატიულად არჩეული სხვა მთავრობების დამხობაშიც მონაწილეობდა გვატემალაში (1954 წ.), კონგოში (1960 წ.), დომინიკის რესპუბლიკაში (1961 წ.), სამხრეთ ვიეტნამში (1963 წ.), ჩილეში (1973). მიზანი იყო ხელისუფლების სათავეში დაესვათ ისეთი ლიდერები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აშშ-ის ინტერესების გატარებას. და ეს არასრული სიაა იმ სუვერენული სახელმწიფოებისა, რომლებშიც ცსს ცდილობდა ხელისუფლების მანიპულაციას.

## ოპერაცია „სამაგრი“

ერთ-ერთი უცნაური გეგმა იყო ნაცისტი მეცნიერების გადაბირება ცსს-სა და აშშ-ის სხვა სახელმწიფო უწყებებში, რათა უპირატესობა მოეპოვებინათ სსრკ-ზე.

ოპერაცია „სამაგრის“ მიზანი იყო გერმანული იარაღის, მათ შორის, ბიოლოგიურისა და ქიმიურის, პოვნა და შენახვა, მაგრამ აშშ-ის სამეცნიერო დაზვერვის თანამშრომლები სწრაფად მიხვდნენ, რომ მხოლოდ იარაღი საკმარისი არ იქნებოდა, და გადაწყვიტეს, ნაცისტი მეცნიერები აშშ-ში ჩაეყვანათ.

გეგმა დიდხანს იყო გასაიდუმლოებული, მაგრამ მის შესახებ ცნობილი შეიქნა, როცა დაიბეჭდა **ენი იაკობსენის** წიგნი „ოპერაცია „სამაგრი“: საიდუმლო სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელმაც ნაცისტები ამერიკაში ჩამოიყვანა“. ამას გარდა, **„ცსს-მ დაადასტურა, რომ სსრკ-ის წინააღმდეგ ნაცისტების სადაზვერვო ოპერაციების ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალი რეინჰარდ გელენი ჯერ აშშ-ის არმიამ დაიქირავა, შემდეგ კი — ცსს-მ, რათა ოკუპირებული გერმანიის საბჭოთა ზონაში ემართათ ნაცისტების 600 ყოფილი აგენტი“.**

## შეღწევა მასმედიაში

ცსს წლების განმავლობაში აღრმავებდა თავის გავლენას მასმედიაში, მათ შორის, კინოსა და ტელევიზიაში. პულიტცერის პრემიის ლაურეატი **ტიმ ვაინერი** ამბობს, რომ ცსს-ს დირექტორ **ალენ დალესს** მჭიდრო კავშირები ჰქონდა გაზეთებთან: „დალესს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა „ნიუ იორკ თაიმსის“, „ვაშინგტონ პოსტისა“ და ქვეყნის წამყვან ყოველდღიურ ჟურნალებთან. მას შეეძლო, უბრალოდ, დაერეკა და შეესწორებინა სენსაციური სიუჟეტი, შეევიწროვებინა არასასურველი უცხოელი კორესპონდენტი ან ესარგებლა მომსახურებით ისეთი ადამიანებისა, როგორებიც იყვნენ ჟურნალ „თაიმის“ ბერლინის განყოფილების ხელმძღვანელი და „ნიუსუიკის“ თანამშრომელი ტოკიოში“.

**დალესმა შექმნა პროპაგანდის მანქანა, რომელშიც შედიოდა 50-ზე მეტი საინფორმაციო ორგანიზაცია და ათობით გამომცემლობა. ჟურნალისტმა კარლ ბერნშტეინმა 1977 წელს დაწერა იმის შესახებ, როგორ ასრულებდა 400-ზე მეტი ამერიკელი ჟურნალისტი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დავალებებს და როგორ უქმნიდნენ ამ ორგანიზაციას დადებით იმიჯს 25 წლის განმავლობაში.**

მკვლევარებმა — **ტომ სეკერმა და მეტიუ ალფორდმა,** რომელთა ნაშრომი გამოაქვეყნა American Jornal of Economics and Sociology-მ, გამოარკვიეს, რომ ცსს-მ, სამხედროებთან ერთად, გავლენა იქონია 1800-ზე მეტ ფილმსა და ტელეშოუზე, რომელთა უმრავლესობა ცსს-თან ან სამხედრო თემებთან დაკავშირებული არ იყო.

## გონების კონტროლი მედიკამენტებით

1950-იან წლებში ცსს-მ დაიწყო ექსპერიმენტები ფსიქოტროპული საშუალებებით, რათა გაერკვიათ, შეიძლებოდა თუ არა ამ საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება.

**ჟურნალი Smitsonian Magazine წერდა პროექტ MK-Uetra-ზე: „პროექტი, რომელიც ათ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, თავდაპირველად, ჩაფიქრებული იყო იმისთვის, რომ აშშ-ის მთავრობა არ ჩამორჩენილიყო საბჭოთა სავარაუდო წარმატებებს გონების გასაკონტროლებელ ტექნოლოგიებში. პროექტი ფართოვდებოდა და შედეგად დაიწყეს ნარკოტიკების არაკანონიერი ტესტირება ათასობით ამერიკელზე“.**

ცსს-ს დირექტორის, სტენსფილდ ტერნერის, 1977 წლის ოფიციალური ჩვენების მიხედვით, პროექტის მიზანი იყო „ბიოლოგიური და ქიმიური მასალების შესაძლებლობების შესწავლა ადამიანის ქცევების შესაცვლელად“. პროექტი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული ეთიკური და იურიდიული სირთულეების, აგრეთე, საზოგადოებრიობის შესაძლო ნეგატიური რეაქციის გამო.

ცსს-მ გაანადგურა ამ პროგრამის თითქმის ყველა ჩანაწერი, მაგრამ დარჩენილი ფრაგმენტები იძლევა შესაძლებლობას ვარაუდისა, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში საიდუმლო ციხეებში ნარკოტიკების გამოყენებით მიმდინარეობდა ეჭვმიტანილების იძულებითი დაკითხვა.

## სასტიკი წამება

ცოტა ხნის წინათ ცნობილი შეიქნა, რომ ცსს აფინანსებს ტერორისტულ პრაქტიკას ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების წინააღმდეგ, რომლებიც ციხეებში არიან გამომწყვდეულნი.

აშშ-ის სენატის 2014 წლის მოხსენებაში ლაპარაკია შემთხვევებზე, როდესაც აგენტები სექსუალურ ძალადობას მიმართავდნენ დაკავებულების წინააღმდეგ, აიძულებდნენ მათ, დამდგარიყვნენ მოტეხილ ფეხებზე, აწამებდნენ წყლით ისე, რომ კრუნჩხვები ემართებოდათ და ა.შ. საერთაშორისო სასამართლო ვარაუდობს, რომ ცსს-სა და აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს ჩადენილი აქვთ სამხედრო დანაშაულებები.

## რადიკალების შეიარაღება

ცსს, დიდი ხანია, იარაღით ამარაგებს რადიკალურ ექსტრემისტულ დაჯგუფებებს, რომლებიც აშშ-ს მტრად მიიჩნევდნენ. 1979 წელს ცსს-მ ავღანეთში, საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის დამარცხების მიზნით, იარაღით მოამარაგა ავღანელი ამბოხებულები.

არავინ ფიქრობდა, რომ ისლამისტები, რომლებიც შეაიარაღეს, ბრძოლას დაიწყებდნენ აშშ-ის წინააღმდეგ. დასავლურმა მედიამ **უსამა ბენ ლადენი** მიიჩნია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლ ფასდაუდებელ პიროვნებად. ის ავღანეთში 1980 წელს ჩავიდა და შექმნა „ალ ქაიდა“, რომელიც, ცსს-ს პროგრამის მიხედვით, იღებდა დახმარებას.

სტენფორდის უნივერსიტეტი აღნიშნავდა, რომ უსამა ბენ ლადენმა და ცნობილმა პალესტინელმა სასულიერო პირმა **აბდულა აზამმა** შექმნეს „ალ ქაიდა“ იმ მებრძოლების, ფინანსური რესურსებისა და ინფრასტრუქტურისგან, რომლებიც ავღანეთში საბჭოთა კავშირთან ომის შემდეგ დარჩა.

ცსს-მ, როგორც ჩანს, სწორი დასკვნები ვერ გააკეთა ავღანეთის მოვლენებიდან და ამიტომ ათი წლის შემდეგ თითქმის ანალოგიური პოლიტიკის განხორციელება დაიწყო სირიაში — იარაღით მოამარაგა ისინი, ვინც თავს „ზომიერ ოპოზიციას“ უწოდებს და იბრძვის ბაშარ ასადის წინააღმდეგ. ეს ე.წ. „ზომიერი ოპოზიცია“ კი, როგორც გაირკვა, „ალ ქაიდასთან“ არის დაკავშირებული.

ZeroHedge.com

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყადაღას არ ექვემდებარება „პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისთვის“... პრაქტიკაში კი პირიქით ხდება და უმრავლეს შემთხვევაში ყადაღდება სწორედ ისეთი საყოფაცხოვრებო ნივთები (მაცივარი, გაზქურა, სარეცხი მანქანა, ტელევიზორი), რომლებიც გარკვეული კატეგორიის ადამიანებისთვის აუცილებელია საცხოვრებლად. ეროვნულ კანონმდებლობაში არათუ ევროსაბჭოს რეკომენდაციებია გათვალისწინებული, ჩანაწერის ზუსტი განმარტებაც არ არის. აღმასრულებელი კი იძულებულია, შეასრულოს კანონის მოთხოვნები ისევე, როგორც შესაბამისი მითითებები, და აღწერა-დაყადაღების აქტში შეიტანოს ასეთი ნივთები“.**

# პატიოსანი სახელმწიფო მოსამსახურის დამსახურებაა, რომ დღემდე არ მომხდარა მასშტაბური სოციალური ამბოხი

**საქართველოში სხვადასხვა მოუგვარებელ საკითხს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სააღსრულებო წარმოების პრობლემები. აღსრულება სამართლებრივი სახელმწიფოს საქმიანობის ელემენტია, მისი სამართლიანი და ეფექტიანი წარმოების გარეშე აზრს არის მოკლებული, საერთოდ, კანონის არსებობა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში, ერთი მხრივ, წინააღმდეგობებია საერთაშორისო შეთანხმებებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ზედმიწევნით ვერ სრულდება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები. სწორედ ამ საკითხებზე გვესაუბრება ადვოკატი, ბატონი ალექსანდრე ჩანქსელიანი.**




**«სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების მიმართ იძულებით მოქმედებაზე (მაგ., აღწერა-დაყადაღება) რეაქცია ხშირად არის ხელის შეშლა, მუქარა, შეურაცხყოფა, ძალის გამოყენება. სახელმწიფო მოსამსახურეები, რომლებიც ახორციელებენ ამ მოქმედებებს, სრულიად დაუცველნი არიან. აგრესიულად განწყობილი პირების წინაშე მარტოდმარტო დარჩენილი მოსამსახურე, იყენებს რა ე. წ. თმენის ვალდებულებას, საბოლოო ჯამში, სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილა»**

**— ბატონო ალექსანდრე, რატომ ვერ სრულდება ზედმიწევნით ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, სად არის ამ პრობლემების სათავე?**

— სამწუხაროდ, ადამიანი, როგორც ყველაზე დიდი ფასეულობა, რომლის დაცვასაც უნდა ესწრაფვოდეს ყოველი ხალხი და სახელმწიფო, საქართველოში ხშირად რჩება ყურადღებისა და დაცვის გარეშე. ევროპის საბჭოს რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ მოპასუხის (მოვალის) ძირითად საარსებო აქტივებსა და შემოსავალს ყადაღა არ უნდა დაედოს, რათა მას ჰქონდეს საკმარისი საშუალებები, ღირსეულად შეძლოს ცხოვრება და მისი სიცოცხლის უფლება არ ს შეილახოს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“' საქართველოს კანონის ერთ-ერთი მიზანი, რა თქმა უნდა, კრედიტორის (ფიზიკური თუ იურიდიული პირის) ინტერესების დაცვაა, მაგრამ რეალურად, საბოლოო ჯამში, ეს არის სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსება. მთავარი მიზანია სააღსრულებო მომსახურების საფასურისთვის გადასახდელი თანხების მოზიდვა, ბიუჯეტის შევსების ყველა ხერხის დაკანონება მოქალაქეებზე ზემოქმედების გზით, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებული „ჩაგვრის“ ელფერს ატარებს.

**— რაში გამოიხატება სახელმწიფო მექანიზმების გამოყენებით მოსახლეობაზე ზემოქმედება? კანონიერია თუ არა ეს?**

— სახელმწიფო იძულების აპარატის მეშვეობით იყენებს ყველა ხერხს გადაუხდელობის შემთხვევაში საკუთარი ხალხის თუ კომერციული ორგანიზაციების „გასაწირავად“. საჯარო სექტორის პერსონალი, რომელიც ემსახურება კანონმდებლობის შესრულებას, თვითონ არის „მოჯადოებული წრის“ მსხვერპლი, მათ უკანაც არის დიდი ოჯახები, დიდი ვალები, მძიმე სოციალური მდგომარეობა. ჩემი აზრით, **ბევრი უაღრესად პატიოსანი სახელმწიფო მოსამსახურის დამსახურებაა, რომ დღემდე არ მომხდარა მასშტაბური სოციალური ამბოხი. სწორედ მათ მორალურ და კანონმორჩილების ადამიანურ ფილტრში ტარდება ყოველდღიურად კანონის სიმახინჯისა და რეალური სოციალური პირობების ერთობლიობა, რათა შეძლონ გარკვეული ბალანსის შენარჩუნება, ტრადიციების, კანონის მოთხოვნების, ეროვნული თუ პიროვნული ღირსებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე.**

რეალურად რა ხდება? შესაძლებელია, რომ უდანაშაულო ადამიანებს შეექმნათ პრობლემები? მაგალითად, აღმასრულებლის მიერ ქონების აღწერა-დაყადაღების აქტის შედგენის შემდეგ მოვალის ოჯახის წევრებს (და არამხოლოდ ოჯახის წევრებს) ხშირად არ აქვთ საშუალება, მიმართონ სასამართლოს, რათა მათი ქონება განთავისუფლდეს ყადაღისგან და ჩაერთონ გართულებულ სამართლებრივ პროცედურებში. არის შემთხვევები, როდესაც ქონებაზე, რომელიც კანონის შესაბამისად ექვემდებარება აღწერა-დაყადაღებას, პრეტენზიას აცხადებს, მაგალითად, მოვალის ხანშიშესული ნათესავი, რომელსაც, გასაგები მიზეზების, მაგალითად, მცირე პენსიის გამო, არ აქვს ფინანსური სახსრები, მონაწილეობა მიიღოს კანონით დადგენილ სასამართლო დავებში და, საბოლოოდ, სხვისი ინტერესები ზარალდება.

**— სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა თუ განაპირობებს ზემოაღნიშნულს?**

— ყველა სახელმწიფო პრობლემა ურთიერთკავშირშია, მაგალითად, უმუშევრობა განაპირობებს მოქალაქეების მიერ ე.წ. ონლაინსესხების (ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ბევრია ასეთ სესხებთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოება) აღებას და შემდგომ ვალის გადაუხდელობას. არის შემთხვევა, როდესაც ადამიანმა, რომელსაც სესხის აღების მომენტში ჰქონდა სამსახური, ხოლო შემდგომ მძიმე ავადმყოფობის გამო შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა დამქირავებელთან, დაკარგა შემოსავალი და ვეღარ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. შემდგომ, კანონმდებლობით განსაზღვრული სააღსრულებო წარმოების შედეგად, მოქალაქეს უკანასკნელი ფასეული ნივთი, მაგალითად, საწერი მაგიდა, შეიძლება გაუყიდონ ონლაინაუქციონზე. ასეთი შემთხვევა ბევრია.

ზოგ შემთხვევაში ოჯახი, ფაქტობრივად, უკიდურეს გაჭირვებაშია, მაგრამ რატომღაც არ აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი ან, სოციალურად დაუცველის სტატუსის თვალსაზრისით, არის ზღვარს ოდნავ ზევით, თუმცა აქვს ისეთი საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორიცაა ტელევიზორი და მაცივარი, ხოლო სხვა რაიმე ღირებული არ გააჩნია. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული ტელევიზორი ან მაცივარი გარკვეულ ფასეულობას შეიძლება წარმოადგენდეს, ისინი კანონის შესაბამისად უნდა დაყადაღდეს და, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, გაიყიდოს. ანუ **მოვალის ოჯახი, რომელსაც არანაირი შემოსავალი არ აქვს ან აქვს არსებობისთვის მცირე შემოსავალი, რჩება იმ საყოფაცხოვრებო პირობების გარეშე, რომლებიც ელემენტარულად აუცილებელია ადამიანის მეტნაკლებად ღირსეული არსებობისთვის.**

**— არის თუ არა ჩამონათვალი იმ ნივთებისა, რომლებზეც არ უნდა გავრცელდეს იძულებითი ღონისძიებები?**

— დადგენილია ჩამონათვალი, რომლის მიხედვით ყადაღას არ ექვემდებარება გარკვეული ქონება, რომლითაც არ შეიძლება ვალი გადაახდევინო. **საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ ადგენს, რომ ყადაღას არ ექვემდებარება „პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის“.** ხაზგასასმელია სიტყვები: **„აუცილებელია“** და **„ცხოვრებისთვის“.**

საინტერესოა, რომ **პრაქტიკაში პირიქით ხდება და უმრავლეს შემთხვევაში ყადაღდება სწორედ ისეთი საყოფაცხოვრებო ნივთები (მაცივარი, გაზქურა, სარეცხი მანქანა, ტელევიზორი), რომლებიც გარკვეული კატეგორიის ადამიანებისთვის აუცილებელია საცხოვრებლად. ეროვნულ კანონმდებლობაში, არათუ ევროსაბჭოს რეკომენდაციებია გათვალისწინებული, ჩანაწერის ზუსტი განმარტებაც არ არის. აღმასრულებელი კი იძულებულია, შეასრულოს კანონის მოთხოვნები ისევე, როგორც შესაბამისი მითითებები და აღწერა-დაყადაღების აქტში შეიტანოს ასეთი ნივთები.**

**— საქართველოს კონსტიტუციაში თუ არის დათქმები აღსრულების თაობაზე?**

— საქართველოს კონსტიტუცია ადგენს, რომ არავის არ აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელში მის მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, ხოლო, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“' საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ მოვალე ბინაში არ შეუშვებს აღმასრულებელს, მას შეუძლია დასახმარებლად მიმართოს აღსრულების პოლიციას ან შინაგან საქმეთა სამინისტროს.

შესაბამისად, კონსტიტუციის დათქმა ზემოაღნიშნული პუნქტების მიმართ წინააღმდეგობრივია. **აღმასრულებელი არ უნდა იყოს უფლებამოსილი ბინაში შესვლაზე მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ის არ უნდა დარჩეს ბინაში შესაბამისი დახმარების აღმოჩენამდე (შესვლის შეუძლებლობის შემთხვევაში კი უნდა მიუთითოს, რომ გაუწიეს წინააღმდეგობა და არ შეუშვეს ბინაში, შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, მაგ., სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობა). ამჟამად კი აღმასრულებლებს ავალდებულებენ, დარჩნენ ბინაში და არ დატოვონ მისამართი შესაბამისი დახმარების აღმოჩენამდე,** რაც ხშირად ცუდ შედეგებს იწვევს.

**— აღმასრულებელს თუ იცავს კანონი? უსაფრთხოა მათი საქმიანობა?**

— უშუალოდ სააღსრულებო მოქმედებების განმახორციელებელი პირების მდგომარეობა არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს. ჩემ მიერ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში პოლიციის მხრიდან აღმასრულებლის დახმარება პრაქტიკულად მოკლებულია რეალურ შესაძლებლობებს და აბსურდულია. ქვეყანა, რომელიც, უკვე ათწლეულებია, სახელმწიფოს წნეხის ქვეშ ცხოვრობს, დაღს ასვამს მოქალაქეების განწყობაზე სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მიმართ. **კანონმორჩილება ეჭვითა და აგრესიით არის შეცვლილი და სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების მიმართ იძულებით მოქმედებაზე (მაგ., აღწერა-დაყადალება) რეაქცია ხშირად არის ხელის შეშლა, მუქარა, შეურაცხყოფა, ძალის გამოყენება. სახელმწიფო მოსამსახურეები, რომლებიც ახორციელებენ ამ მოქმედებებს სრულიად დაუცველნი არიან. აგრესიულად განწყობილი პირების წინაშე მარტოდმარტო დარჩენილი მოსამსახურე, იყენებს რა ე.წ. თმენის ვალდებულებას, საბოლოო ჯამში, სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილა.** ხშირად მოსამსახურე რჩება დაუხმარებლად პოლიციის შესაბამისი სამსახურის მხრიდან, ხოლო ზოგჯერ სხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან (მათი პირადი ინტერესის შემთხვევაში ყოფილა აგრესიისა და მუქარის შემთხვევებიც) თავის დაცვა და დამატებითი ახსნა-განმარტებები სჭირდება თავისი საქმიანობისა და უფლება-მოვალეობების შესახებ, რომ იგი ნამდვილად კანონის ფარგლებში მოქმედებს.

**— რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მოაგვაროს?**

— აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების სპექტრი ფართოა და მათი განხილვა ვერ მოხდება მხოლოდ ამ ინტერვიუს ფარგლებში, მაგალითად, საზოგადოებისთვის ისეთი მგრძნობიარე პრობლემის განხილვა, როგორიცაა შპს „სითი პარკის“ საქმიანობა. აქ აშკარაა ამ ორგანიზაციისთვის სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული „განუსაზღვრელი“ შესაძლებლობები და სახელმწიფოს სურვილი, მიიღოს მაქსიმალური ფინანსური სარგებელი იმ ხალხისგან, რომლის დასაცავადაც არის მოწოდებული. ზემოაღნიშნული პრობლემები იმიტომ არის გადაუწყვეტელი, რომ არ არსებობს შესაბამისი პოლიტიკური ნება.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ პრობლემები მრავლისმომცველია და დიდი მოზაიკის ცალკეულ ფრაგმენტებს წარმოადგენს, მაგრამ საკითხები უნდა გახდეს განხილვის საგანი და სახელმწიფომ კომპლექსურად უნდა იზრუნოს ქვეყანაში სამართლიანი და ადამიანზე ორიენტირებული სამართლებრივი გარემოს შესაქმნელად.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**დედაეკლესიის მცდელობა — კონკრეტულ ადამიანში სახელმწიფოს მოქალაქისა და მრევლის წევრის ჰარმონიული შერწყმა — მიუღებელია საქართველოს მტრებისთვის. მათ კარგად იციან, რომ მხოლოდ ასეთ მოქალაქეს ძალუძს, მოძებნოს თავისი ადგილი ცივილიზებულ თანამეგობრობაში, ინტეგრირებულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემაში და, ამასთანავე, შეინარჩუნოს პიროვნული და ეროვნული თვითმყოფადობა, ქრისტიანულ ღირებულებებსა და ქართული ყოფა-ცხოვრების ტრადიციულ წესებზე დაფუძნებული სისტემა, შეინარჩუნოს ერთიანი ეროვნული ცნობიერება და ქართული კულტურის ერთიანი სივრცე.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოზე შეტევის მთავარი ფრონტი სამოციქულო ეკლესიაზე გადის

**ჩვენს რეგიონსა და, საზოგადოდ, მსოფლიოში შექმნილ რთულ, შეიძლება ითქვას, დაძაბულ ვითარებაში საქართველოს მიმართ მრავალი პოლიტიკური მოთამაშის ინტერესი პროეცირდება. ბევრ მათგანს ხელს არ აძლევს, პოლიტიკურ მოედანზე არსებობდეს ძლიერი სუბიექტი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს გამოხატავს, გადაწყვეტს მის წინაშე მდგარ ისტორიულ ამოცანებს და უპასუხებს მიმდინარე გამოწვევებს.**



გამოცდილებით ვიცით, რომ ძნელბედობის ჟამს, როდესაც პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალები ვერ ახერხებს საქართველოს ინტერესების დაცვას ან, სულ ცოტა, ქართველი ერის პოზიციის გამოხატვას, დედაეკლესია ხდება მთავარი გოდოლი ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვის საქმეში.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, გარდა თავისი სამოციქულო და აღმსარებლობითი დანიშნულებისა, ყოველთვის იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, სახელმწიფოს მოქალაქეთა ინტერესების გამომხატველი და დამცველი.

**დღესაც, როდესაც საქართველოს ხელისუფლება, რბილად რომ ვთქვათ, „ამორფული და ჩამოუყალიბებელია", პოლიტიკური ძალები — სუსტი (უმეტესობა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, სხვის თამაშს თამაშობს), საზოგადოება — დეზორგანიზებული (სამოქალაქო სექტორის ძირითადი ნაწილი სახელმწიფოებრივად საეჭვო), ერთადერთ ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებების განეიტრალება, საქართველოს ეკლესიაა.**

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის არც ერთ ეტაპზე, სამწუხაროდ, არ შედგა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მჭიდრო თანამშრომლობა. **ეკლესია მარტო დარჩა ქართული სახელმწიფოსთვის ბრძოლაში, ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი და მოულოდნელი სახელმწიფო ინტერესების დაცვის საქმისგან ეკლესიის ჩამოცილების მცდელობა.** დღეს, როდესაც სხვა ინსტიტუციები ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, შეტევის მთავარი ობიექტი საქართველოს სამოციქულო ეკლესიაა, რათა მან ვერ იტვირთოს ისტორიული მისიის შესრულება: ერთი მხრივ, ერის სულიერი დაპურება და, მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში მოქალაქეთა თანადგომა.

**დედაეკლესიის მცდელობა — კონკრეტულ ადამიანში სახელმწიფოს მოქალაქისა და მრევლის წევრის ჰარმონიული შერწყმა — მიუღებელია საქართველოს მტრებისთვის. მათ კარგად იციან, რომ მხოლოდ ასეთ მოქალაქეს ძალუძს, მოძებნოს თავისი ადგილი ცივილიზებულ თანამეგობრობაში, ინტეგრირებულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემაში და, ამასთანავე, შეინარჩუნოს პიროვნული და ეროვნული თვითმყოფადობა, ქრისტიანულ ღირებულებებსა და ქართული ყოფა-ცხოვრების ტრადიციულ წესებზე დაფუძნებული სისტემა, შეინარჩუნოს ერთიანი ეროვნული ცნობიერება და ქართული კულტურის ერთიანი სივრცე.**

სწორედ ასეთი მოქალაქე ხდება საღმრთო ჭეშმარიტების დამცველი და ქართული სახელმწიფოს მთავარი მშენებელი! ასეთი ადამიანების მასობრივ არსებობას ვერც ერთი რეჟიმი ვერ ეგუება. ჰარმონიადაკარგული ადამიანი კი, რომლისთვისაც მაღალი სამოქალაქო კატეგორიები განყენებული თემაა, მაქსიმალურად სტიმულირდება, სამაგიეროდ, არის სამართავად მეტად კომფორტული და ნაკლებად საშიში ხელისუფლებისთვის.

**რეჟიმი აძლევს მას უფლებას, იაროს ეკლესიაში, ილოცოს, მაგრამ, როგორც კი გასცდება ეკლესიის გალავანს და ქრისტიანული მორალის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გატარებას დააპირებს, მმართველ, ოპოზიციურ თუ არასამთავრობო ძალებად გაშლილი მეხუთე კოლონა მისი დაუძინებელი მტერი ხდება.**

მრევლს, ანუ მოსახლეობის უმრავლესობას ჩამორთმეული აქვს ლიბერალური დემოკრატიის უმთავრესი მონაპოვარი — მის მიერ თავისი გარესამყაროსთვის (უწინარესად – თავისი სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის) იმ სახის მისაცემად ბრძოლის უფლება, რომელიც საუკეთესოდ მიაჩნია ამ სამყაროში, ამიტომაც გადის საქართველოზე შეტევის მთავარი ფრონტი თავისუფალი, დამოუკიდებელი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატრიოტი პიროვნებების აღზრდისა და ჩამოყალიბების კერაზე — საქართველოს ეკლესიაზე.

ამ ფრონტის „სარდლებმა" იციან, რომ მხოლოდ ეკლესიის მესვეურების დევნა (თუმცა არც უმაგისობაა) სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. ეკლესია, მასზე პირდაპირი შეტევით **ნერონმა, დიოკლეტიანემ** და **ლენინმა** ვერ გაანადგურეს. **ენვერ ხოჯამ** ალბანეთში ცოცხალი სასულიერო პირი არ დატოვა, მაგრამ ეკლესიის მისტიკურ სხეულს ვერაფერი დააკლო.

ამიტომაც **ეკლესიის მტრების აქტიურობის უკან აშკარად იკვეთება გეგმა, რომლის მიხედვით ეკლესიამ უარი უნდა თქვას სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების დაცვაში პოზიციის გამოხატვაზე, ანუ მიატოვოს მოქალაქეები! ეკლესიას კი უნდა გაემიჯნოს მისი მრევლი და ეს უკანასკნელი ჩამოშორდეს სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.**

**გეგმის მიზანია, სასულიერო პირებსა და მრევლს შორის, მთლიანად ეკლესიასა და საზოგადოებას შორის კავშირის გაწყვეტა ან, სულ ცოტა, შესუსტება. ეს ავტომატურად გამოიწვევს სამოქალაქო სივრციდან ეროვნულ და ქრისტიანულ ფასეულობათა გამოდევნას, ე.ი. ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ბალავრის მოშლას. ისწრაფვიან, რომ ქრისტიანობა საქართველოში გახდეს თავისთავში ჩაკეტილი, განყენებული მოძღვრება.**

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ეკლესიის შიგნით დაძაბულობის შექმნა და მისი გადაქცევა შიდა პრობლემებში ჩაძირულ მართულ დაწესებულებად. მიმდინარეობს კონკრეტული იერარქებისა და მოძღვრების კომპრომეტაცია, სასულიერო პირებისა და მრევლის ჩართვა საჯარო დაპირისპირებაში, მაღალი ემოციური ფონის შექმნა მეტი ინტრიგისა და დამაჯერებლობისთვის. ამის მიღწევა ხდება, ერთი მხრივ, ეკლესიის შიგნით არსებული განსხვავებული მოსაზრებების დაპირისპირებამდე გამწვავების ინსპირაციის და, მეორე მხრივ, ერთი ცენტრიდან მართულ ფსევდოლიბერალებსა და ე.წ. ორთოდოქს რადიკალებს შორის რელიგიური რყევების წახალისების გზით. მსგავსი „თვალსასეირო და გულგასახეთქი" პროცესები მედიით გაშუქდება, როგორც თითქოს საპატრიარქო ტახტისა და საეკლესიო გავლენებისთვის ბრძოლა. ეს კი მოსახლეობის თვალში ეკლესიის დისკრედიტაციასა და მისგან ხალხის ჩამოშორებას გამოიწვევს.

შედეგად ეკლესიამ უნდა დაკარგოს პარტნიორი და, თავის მხრივ, მოქალაქემ უნდა დაკარგოს თავისი ცნობიერების ერთ-ერთ მკვიდრი საფუძველი, ზნეობრივი მარეგულირებელი, ძლიერების წყარო და სულიერი ორიენტირი. **ეკლესია უნდა დარჩეს სამოქალაქო სივრცეში ორგანიზებული პარტნიორის გარეშე, სადაც დომინანტი იქნებიან ანტიეკლესიური ძალები, რომლებიც „წარმატებით" შეძლებენ, დაბლოკონ ეკლესიის ინდივიდუალური პარტნიორობის გამოვლენის ნებისმიერი მცდელობა.**

სწორედ ამ დიდი კამპანიის ერთ-ერთ ეპიზოდად იქნა გამოყენებული დასრულებული სისხლის სამართლის საქმე და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. შიდაეკლესიური აქტორებით, მაგრამ აშკარად გარედან წაქეზებით მიმდინარე ამ „დაპირისპირებას" მკაფიოდ გამოკვეთილი ანტიეკლესიური ფორმა აქვს და ნათელს ჰფენს ინსპირატორთა განზრახვას, ხელი შეუშალონ საქართველოს ეკლესიის მუშაობას.

აშკარაა საყოველთაო ეგზალტაციისა და ისტერიკის დაგეგმილ სპექტაკლში ეკლესიის ჩათრევის მცდელობა. ინსტრუმენტად კი კვლავ ბუნებისგან ამ „საქმისთვის" მოწოდებული სახეები მოგვევლინენ, რომელთა ლოზუნგია — **„დავანგრიოთ რისი დანგრევაც სააკაშვილმა ვერ შეძლო!"**, გამოვიყენოთ ყოველი შემთხვევა ამ მიზნის მისაღწევად; საქმეში ჩავრთოთ ხელთ არსებული ყველა რესურსი, ყველა, ვისი პირადი ინტერესიც შეიძლება მოვლენების ესკალაციისთვის გამოდგეს; გავსვაროთ ყველა, როგორც პიროვნება, ისე, ინსტიტუცია.

**ეკლესია თავისთავად ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც შეიძლება გარკვეული პრობლემა რეალურად ჰქონდეს — შეიძლება, ზოგიერთი სასულიერო პირი თუ მრევლის წევრი ვერ აკმაყოფილებდეს ჩვენს წარმოდგენაში არსებულ სტანდარტებს, მაგრამ ამის განზოგადება და არაეკლესიური ან ნაკლებად ეკლესიური ადამიანების მხრიდან ეკლესიური საკითხების საჯარო განხილვის მცდელობა დაუშვებელია. მით უმეტეს, რომ გარედან ჩარევა ხდება მიზანმიმართულად, ერთიანი ქართული მართლმადიდებლური სივრცის რღვევის მიზნით.**

## ყველას უნდა გავუფანტოთ ილუზია, რომ თითქოს მას ძალუძს, ისე მოექცეს საქართველოს ეკლესიასა და ქართველ ხალხს, როგორც სურს, და ამისთვის არავინ მოსთხოვს პასუხს; უნდა გავუფანტოთ ის ილუზიაც, რომ შესაძლებელია, რაიმე მოღალატური თუ დანაშაულებრივი ქმედება დაუსჯელი დარჩეს

ყველა ჯანსაღი ორგანიზმი და, მათ შორის, საქართველოს ეკლესია თვითონვე მოაგვარებს მის შიგნით არსებულ პრობლემებს გარედან ჩარევის შემცირების პარალელურად (ხაზს ვუსვამთ — გარედან ჩარევის შემცირების პარალელურად).

ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს (ან უნდა ვაიძულოთ, გააცნობიეროს), რომ ეკლესია დამოუკიდებელი და განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინსტიტუტია და სახელმწიფოს მშენებლობა და მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესების დაკმაყოფილება მხოლოდ მასთან პარტნიორობითაა შესაძლებელი. ამასთანავე, საზოგადოებას სჭირდება თანადგომა ათეულობით წლების განმავლობაში მებრძოლი ათეიზმისა და ბოლშევიზმის მიერ დატოვებული მეტასტაზებისგან გასათავისუფლებლად და რელიგიური და სამოქალაქო განათლების ასამაღლებლად.

**გაცნობიერება იმისა, რაც ხდება, უნდა დაგვეხმაროს გამოფხიზლებასა და სწორი ორიენტირების არჩევაში. შექმნილ ურთულეს ვითარებაში განსაკუთრებული დაფიქრება და ძალისხმევა გვმართებს, როგორც მორწმუნე საზოგადოებას, ისე სასულიერო პირებს. აღარ გვაქვს დრო და ფუფუნება, თვითდინებაზე მივუშვათ პროცესები.** ინიციატივა ხელიდან გაშვებულია და საჭიროა მისი დაბრუნება. საპატრიარქოს, ეპარქიების, სამრევლოების, მთლიანად მრევლისა და ეკლესიისადმი კეთილგანწყობილი საზოგადოების კონსოლიდაცია საერთო ინტერესების მქონე, სამოქალაქო სივრცეში აქტიურ, ერთიან და მთლიან ცოცხალ ორგანიზმად სახელმწიფო და საეკლესიო ცხოვრების გაჯანსაღების ერთადერთი საშუალებაა.

ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესიას დღეს თავისი სულიერებითა და ღვაწლით საქართველოში ყველაზე გამორჩეული პიროვნება ხელმძღვანელობს, არ უნდა იყოს უმოქმედობისა და თვითდამშვიდების საბაბი. **უწმინდესი და უნეტარესი ილია II,** ორმოცი წელია, ეწევა ეკლესიისა და ერის სულიერი ლიდერის ჭაპანს. სწორედ მისი ლოცვით, სიბრძნითა და მადლით ვუმკლავდებოდით ამ პერიოდში ჩვენს თავს მოწეულ ჭირსა და ვარამს. ჩვენი ქმედებებით ბევრჯერ გული ვატკინეთ, ვერ შევაჩერეთ ულირსი ადამიანების მიერ მისი მიმართულებით ნასროლი მრავალი ქვა. ადამიანური მორალი გვავალდებულებს, ამოვუდგეთ მას მხარში, რათა იქნებ ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ მძიმე ტვირთი.

**მკაფიოდ უნდა ვუთხრათ საკუთარ თავს, რომ მრევლისა და სასულიერო პირების სამოქალაქო აქტიურობა, წარმართული სამოქალაქო სივრცისთვის დამახასიათებელი ფორმებით, ორგანიზებულობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურის მაღალი სტანდარტებით, აუცილებელი პირობაა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი პირველი რიგის ამოცანის მოსაგვარებლად.**

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ სიმართლისთვის ბრძოლის მოტივი და უფლება ყველას გვაქვს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ეს უფლება შეიძლება გამოვიყენოთ სიბრძნის, მორალის ან ეკლესიისა და სახელმწიფოს ბედზე პასუხისმგებლობის გარეშე, ანუ განუკითხავად. **ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა ღმერთისა და ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში არ უნდა გადაიზარდოს!**

სასულიერო პირებისა და მრევლის იმ ნაწილმა, რომელიც სიღრმისეულად აცნობიერებს მდგომარეობას, გულწრფელად განიცდის შექმნილ საგანგაშო ვითარებას, თავი არ უნდა ჩავათრევინოთ ამ ბინძურ ქმედებებში, მოვთოკოთ ემოციები, საკითხები განვიხილოთ მხოლოდ შესაბამისი ფორმატითა და ამოცანების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. თანმიმდევრულად და ეფექტიანად უნდა იქნას გამოყენებული თეორიითა და პრაქტიკით დასაბუთებული ჩვენი ძლიერი პოზიციები. **ყველას უნდა გავუფანტოთ ილუზია, რომ თითქოს მას ძალუძს, ისე მოექცეს საქართველოს ეკლესიასა და ქართველ ხალხს, როგორც სურს, და ამისთვის არავინ მოსთხოვს პასუხს. უნდა გავუფანტოთ ის ილუზიაც, რომ შესაძლებელია, რაიმე მოღალატური თუ დანაშაულებრივი ქმედება დაუსჯელი დარჩეს.**

**მამუკა გიორგაძე,**
სახალხო პარტიის თავმჯდომარე;
**პაატა კოღუაშვილი,**
პროფესორი

# დაუწესებენ თუ არა სანქციებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს?

**მიგრანტების თავიანთ ქვეყნებში შეშვებაზე უარის თქმისთვის უნგრეთსა და სლოვაკეთს ევროკავშირის სასამართლოთი ხელები რომ გადაუგრიხა, ბრიუსელმა განხეთქილების ვაშლი შეაგდო ევროპულ ერთიანობაში, რომელიც უკვე აღარასოდეს იქნება ერთიანი.**




1957 წელს ხელმოწერილი რომის ხელშეკრულებიდან, რომლითაც მოიშალა ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გადაადგილების ყოველგვარი დაბრკოლება, 2007 წლის ლისაბონის ხელშეკრულებამდე, რომელმაც თითქმის სრულიად ევროპაში სათავე დაუდო ბრიუსელელი მოხელეების დიქტატურას, ანუ 60 წლის განმავლობაში, ევროკავშირმა გადალახა ადგილობრივი ეროვნული ელიტების წინააღმდეგობა და ეკონომიკური ზრდის იარაღიდან თანდათან გადაიქცა „ევროპოლიტბიუროდ“, რომელმაც ნახევარი მილიარდი ევროპელის ბედის განკარგვის უფლება მიითვისა.

ეროვნული საზღვრების მოშლა ევროპაში წარმოსახვითი პრობლემა რომ არ არის, ცხადზე უცხადესია. თუ უბაჟო ვაჭრობის სანაცვლოდ გიკარნახებენ, როგორ უნდა წარმართო საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სამართლის როგორი ნორმები უნდა დააწესო, თანაცხოვრების როგორი წესები უნდა აღიარო, მაშინ უფლებაც კი გაგიქრება, იწოდებოდე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ეროვნული ღირსებაც დაგავიწყდება.

**ბელგია, დასავლეთ გერმანია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, საფრანგეთი და იტალია, რომლებმაც 1957 წელს დააფუძნეს ევროპული ეკონომიკური გაერთიანება (საერთო ბაზარი), ცხოვრების დონითა და ღირებულებებით, მათ შორის, სულიერი ღირებულებებითაც, ცოტათი თუ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ მაშინაც კი მთავარი ეკონომიკური პოტენციალის ტრანსსასაზღვრო გათავისუფლების იდეა არ ემუქრებოდა ეროვნულ სუვერენიტეტს.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ მათთვის (ამ ქვეყნებისთვის) საერთო ბაზარში შესვლის უფლების მიცემა პოლიტიკურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მათი აღიარების პარალელურად ცუდი ბიზნესი იქნებოდა, ამიტომ ევროკავშირში ყოველ შემსვლელს მხოლოდ ფინანსური დახმარება კი არ უნდა მიეღო შესაბამისი საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებიდან, არამედ უნდა ეღიარებინა ევროკავშირის დამფუძნებელი ქვეყნების მიზნები და იდეოლოგია, დამორჩილებოდა მათ.

დამორჩილდნენ კიდეც: უნგრეთი და სლოვაკეთი — 2004 წელს. სხვები — მოგვიანებით, ერთმანეთის მიყოლებით. **სულ მალე გაცხადდა, რომ ევროკომისიის ძალაუფლება ევროპის დამოუკიდებელი ქვეყნების კანონიერად არჩეულ ხელისუფლებაზე გაცილებით მაღლა დგას. ევროკომისრების დიქტატი უამრავ პრობლემას წარმოშობს, რომელთა შორის მიგრაცია უმწვავესია.**

ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ იმოქმედებენ „კომისრები“, რომლებმაც ორი წლის წინათ მიიღეს იტალიიდან და საბერძნეთიდან შემოსული 160 ათასი მიგრანტის განსახლების პროგრამა. ორიოდე კვირის შემდეგ ეს პროგრამა უნდა დამთავრებულიყო, გაერთიანებულმა ევროპამ ამჯერად მხოლოდ 30 ათასი, ძირითადად, აფრიკელი, მიგრანტის პრობლემების მოგვარება ასე თუ ისე შეძლო. დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი თავიდან წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ, როცა მთავარი ევროკომისარი **ჟან-კლოდ იუნკერი** მომხრეა, ვინ შეძლებს მის შეჩერებას?!

გერმანული **Deutschlandfunk**-ი წერს, რომ მიგრაციული კვოტების დაწესების წინააღმდეგი იყო ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნები — უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი და ჩეხეთი. განკარგულების შესრულებაზე უარი თქვა დიდმა ბრიტანეთმა, აგრეთვე, დანიამ, მაგრამ მხოლოდ უნგრეთმა და სლოვაკეთმა გადაუკეტა საზღვრები ევრობედნიერების საპოვნელად თავიანთი ქვეყნებიდან გამოქცეულ საეჭვო პირებს. ამ ორმა ქვეყანამ შეიტანა სარჩელი ევროპის სასამართლოში და მოითხოვა, გაუქმებულიყო ევროკავშირის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილება „ლტოლვილების კვოტების განაწილების შესახებ“. უარყოფითი პასუხი ახლახან მიიღეს. **ქვეყნები, რომლებმაც ევროკავშირს საკუთარი სუვერენიტეტი მიჰყიდეს, ვერ ეწინააღმდეგებიან ევრობიუროკრატებს: დაადგინეს და მორჩა! წერტილი დაესვა!**

ორიოდ სიტყვა იმის შესახებ, რატომ დაუჭირეს მხარი ევროკომისიასა და მის კვოტებს გერმანიამ, იტალიამ, ავსტრიამ და შვედეთმა. მათ შორის მთავარი გერმანიაა. **Deutsche Welle** გულახდილად აღიარებს: „გერმანიის ეკონომიკა შრომითი მიგრანტების შევსების გარეშე მოკვდება“. გერმანიის სამუშაო ბაზარს სჭირდება კვალიფიციური კადრები, რომლებიც გერმანიას არ ჰყავს, ამიტომ უცხოელებზე უჭირავს თვალი. **„უახლოესი ორი ათწლეულის განმავლობაში, — წერს გამოცემა, — 20-დან 64 წლამდე შრომისუნარიანი მოსახლეობა გერმანიაში 10,5 მილიონი ადამიანით შეიძლება შემცირდეს. ბოლო სამ წელიწადში უცხოელთა რაოდენობა, რომლებიც გერმანიის მრეწველობაში არიან დასაქმებულნი, შეიძლება 22,5 პროცენტით გაიზარდოს, ჯანდაცვის სფეროში — თითქმის 35 პროცენტით. რუმინელების, ბერძნებისა და ავსტრიელების შემდეგ, სირიელი ექიმები მეოთხე ადგილზე არიან იმ უცხოელ სპეციალისტებს შორის, რომლებიც სამედიცინო სფეროში მუშაობენ — სტატისტიკოსებმა 1500 დიპლომიანი მედიკოსი დათვალეს. შედეგად, დღეს ყოველი მე-20 ექიმი გერმანიაში სირიის მკვიდრია“.**

მიგრანტები რომ არა, გერმანიის მრეწველობაში 74 ათასი სამუშაო ადგილი ვაკანტური დარჩებოდა, ჯანდაცვაში — 19 ათასზე მეტი. გერმანიის მრეწველობისთვის დიპლომიანი სპეციალისტების ყველაზე დიდი მიმწოდებლებია საფრანგეთი და ინდოეთი. შემდეგ მოდიან იტალიელები, ესპანელები, ავსტრიელები, ჩინელები, თურქები. სირიიდან, ავღანეთიდან, ერაყიდან და ერითრეადან სამუშაოზე მიღებული ლტოლვილების 44 პროცენტი დაბალკვალიფიციური საქმიანობითაა დაკავებული. თქვენ კი კითხულობთ, რატომ არის კანცლერი მერკელი იმიგრანტების მიღების მომხრე?! იგი ლტოლვილების ნაღებს ირჩევს და იტალიასა და საბერძნეთს უტოვებს ევროპული სოციალური დახმარებისა და უფასო საცხოვრებლის მძებნელი გადახვეწილების ბრბოებს.

დავუბრუნდეთ ბრიუსელის დიქტატურის წინააღმდეგ „აჯანყებულებს“. Deutschlandfunk-ი იუწყებოდა, რომ ბუდაპეშტი გაასაჩივრებს ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ლტოლვილთა განსახლების კვოტების განაწილების თაობაზე რომ აქვს მიღებული, რადგან იგი (გადაწყვეტილება) „პოლიტიკურად მოტივირებული და უპასუხისმგებლოა“, მაგრამ ევროკავშირს სჭირდება დევნილთა (იაფი სამუშაო ძალის) თავმოყრის ადგილები, რომლებიც აუცილებლად პერიფერიებზე უნდა იყოს განლაგებული. უნგრეთს კი არ სურს, იყოს „პერიფერია“. „ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება, ვერც ერთი ადამიანი ვერ ჩასახლდება უნგრეთში უნგრელი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ“, — განაცხადა უნგრეთის საგარეო საქმეთა და საგარეო ეკონომიკური კავშირების მინისტრმა **პეტერ სიიარტომ.**

სლოვაკეთიც ამავე პოზიციაზე დგას: „ჩვენ პატივს ვცემთ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას. ჩვენი პოზიცია უცვლელია. მომავალშიც ვიმუშავებთ იმ მიმართულებით, რომ სოლიდარობა სხვაგვარად იყოს გამოხატული და არა მაინცდამაინც ლტოლვილების მიღებით, რომლებსაც ჩვენთან დარჩენა არც სურთ“, — ასეთი იყო სასამართლოს ვერდიქტზე სლოვაკეთის პრემიერმინისტრ **რობერტ ფიცოს** რეაქცია.

ასე რომ, ევროპის სახელმწიფოების დამოუკიდებლობასთან დამშვიდობების მომდევნო აქტი შეიძლება იყოს ევროკავშირის მიერ სანქციების დაწესება... ევროკავშირის წევრი ქვეყნების წინააღმდეგ.

Fondsk.ru

# ლტოლვილმა მუსლიმებმა გერმანიას სახე შეუცვალეს

**წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა კრისტიან ლინდნერმა აღიარა, რომ არ ჰყოფნის წარმოსახვის უნარი ერთ მთავრობაში მწვანეების მხარდამხარ მუშაობის წარმოსადგენად.**

პოტენციურ უმცროს პარტნიორებთან მოლაპარაკების დაწყებამდე „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ერთმანეთში საერთო ენის გამოსანახავად დიდი დრო და ენერგია დახარჯეს. ამიტომ იყო, რომ **ანგელა მერკელის** „ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა“ და „ბავარიის ქრისტიან-დემოკრატთა კავშირმა“, რომლის ლიდერია **ჰორსტ ზეეჰოფერი**, დადეს კომპრომისული ხელშეკრულება ლტოლვილების შესახებ. ამ შეთანხმებას გერმანიის მედიამ ფართო რეკლამა გაუკეთა.

ზეეჰოფერმა კოალიციაში მონაწილეობის უპირველეს პირობად წამოაყენა ლტოლვილების მიღების ზემო საზღვრის დაწესება — 200 ათასი ადამიანი წელიწადში. კომპრომისმა, რომელიც დათქმების მთელი რიგით იყო წარმოდგენილი, ორივე პოლიტიკოსს მისცა საშუალება პოლიტიკური სახის ფორმალურად შესანარჩუნებლად. ექსპერტების აზრით, „კომპრომისული შეთანხმება“ იმ ქაღალდის ფასიც არ ღირს, რომელზეც დაწერილია.

**საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა თავისი შეფასება, რომლის თანახმად, მხოლოდ ერთი მიმართულებით, რომელიც ოჯახების გაერთიანებას გულისხმობს, 2018 წლის დასაწყისისთვის გერმანიაში გადმოსახლდება 280 ათასამდე მიგრანტი სირიიდან და ერაყიდან. ამ სტატუსის გამოყენების უფლება აქვს ლტოლვილების არასრულწლოვან შვილებსა და მეუღლეებს. 2015 წლის იანვრიდან 2017 წლის ივნისამდე საგარეო საქმეთა სამინისტრომ 230 ათასი ასეთი ნებართვა გასცა, მათ შორის, 102 ათასი — სირიელებისა და ერაყელებისთვის.**



გერმანიის ხელისუფლების მიგრაციული პოლიტიკის შედეგად გერმანიაში იცვლება მუსლიმური დიასპორის სტრუქტურა: უწინდელი წარმოდგენა, რომ გერმანელი მუსლიმები არიან თურქები, დღევანდელ რეალობას სრულად არ შეესატყვისება. ოფიციალური მონაცემებით, გერმანელი მუსლიმების უმრავლესობა (2,3 მილიონი ადამიანი) წარმოშობით თურქია; მათ შემდეგ 800 ათასი ახლო აღმოსავლელი მუსლიმია (ძირითადად, არაბები), 500 ათასი მუსლიმი წარმოშობით ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებიდანაა.

მუსლიმური ფაქტორი სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს გერმანიის პარტიების რიტორიკაზე. „ქრისტიან-დემოკრატების“ წინასაარჩევნო მიტინგზე გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა **თომას დე მეზიერმა** განაცხადა, რომ გერმანიაში შეიძლება ოფიციალურად შემოიღონ მუსლიმური დღესასწაული.

Fondsk.ru


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894